ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. აპრილი, №4 (56), ფასი 3 ლარი

26 დღევანდელობა ახალ ეკონომიკურ მექანიზმს მოითხოვს

ბრძოლა კავკასიისათვის და ოპერაცია «ედელვაისის» კრახი

4

ლავრენტი ბერიამ 46-ე არმიის ახალ სარდლად გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დანიშნა. ამ არმიამ, რომელიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს იცავდა, დაიწყო კავკასიონის უღელტეხილების დაცვა, რათა გერმანელ ფაშისტებს ნოვოროსიისკიდან ფოთსა და ბათუმში არ შეეღწიათ. საქართველოში მნიშვნელოვან გადასასვლელებსა და მარშრუტებზე მოაწყვეს წინაღობები, საქართველოს სამხედრო გზის ჩასახერგად დაიწყო მთის ფერდობების ჩამოსაშლელი სამუშაოები, გზებზე განალაგეს საცეცხლე წერტილები, გათხარეს სანგრები და ტანკსაწინააღმდეგო თხრილები. შეიქმნა სამთო-მსროლელთა ბატალიონები და სხვ.

პარტიზანული ბილიკებით

8

«როცა ღამით მივადგებოდით ვინმეს ოჯახს... საკმარისი იყო, გვეთქვა, ქართველები ვართო და ცხენსიმაგრესავით უბრალო ამართული სახლის კარი ერთბაშად გაიღებოდა, და ეს იმ დროს, როდესაც პარტიზანების, მით უმეტეს საბჭოთა პარტიზანების, მიღება-გასტუმრებაში ოდნავ ეჭვმიტანილ ოჯახებს გერმანელები დედაბუდიანად თხრიდნენ»

27 აპრილი დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღეა

გულთასრული კაცი

„იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“. დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი“.

ილია ჭავჭავაძე

23

ზურაბ ქაფიანიძე — ქართული კინოს ვარსკვლავი

«ვისაც ჩემი შეეშინდება, ე.ი. რაღაც მზაკვრული და არაქართული აქვს ჩაფიქრებული»

35

ავტორი ფელიქს ხოდოროვიჩი

სარჩევი

მართალი ისტორია
ბრძოლა კავკასიისათვის და ოპერაცია «ედელვაისის» კრახი 4

პარტიზანული ბილიკებით 8

«ასეთი ადამიანების სახელი
ხშირად უნდა ესმოდეთ ახალგაზრდებს!» 16

საეკლესიო ცხოვრება სამამულო ომის პერიოდში 18

ფარაჯიანი პოეტები 20

მამულიშვილი
გულთასრული კაცი 23

ეკონომიკა
დღევანდელობა ახალ ეკონომიკურ მექანიზმს მოითხოვს 26

მეგობრობა გზად და ხიდად
იური ტინიანოვი 28

ხელოვნება
ფელიქს ხოდოროვიჩი და თბილისი 33

ხსოვნა
ზურაბ ქაფიანიძე — ქართული კინოს ვარსკვლავი 35
ზურაბ ქაფიანიძე: ამერიკელებმა რაღაცა ღარიბები გვნახეს,
მოგვჩერებიან, როგორც დურაკებს 36

წინაპრები
დიდი ბჭობა 38

ეს საინტერესოა
წმიდა თამარ მეფის საკვირველი ხილვა 42

არქეოლოგია
აღმოჩენა, რომელმაც, შესაძლოა,
საქართველოს ისტორია შეცვალოს 43

ქართული იარაღი
რკინის მადნები, ლითონის დამუშავება
და ცივი იარაღის წარმოება საქართველოში 45

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
ი-892

ბრძოლა კავკასიისათვის და ოპერაცია «ედელვაისის» კრახი

კავკასიისთვის ბრძოლა, რომელიც 1942 წლის 25 ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა და ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: ფაშისტური გერმანიის, რუმინეთისა და სლოვაკეთის შეიარაღებული ძალების შეტევად (1942 წლის 25 ივლისი — 31 დეკემბერი) და საბჭოთა არმიის კონტრშეტევად (1943 წლის 1 იანვარი — 9 ოქტომბერი).

ლავრენტი ბერია

იმჟამინდელი სსრკ-ის ეკონომიკისთვის ნავთობის ძირითადი წყარო ჩრდილოეთ კავკასია და ბაქო იყო, გარდა ამისა, ფაშისტების მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ ძალიან გაიზარდა ყუბანის ოლქის როლი უზარმაზარი ქვეყნის ხორბლით მომარაგებაში. კავკასიის დაკარგვას შეეძლო, გადამწყვეტი როლი ეთამაშა სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ჰიტლერმა კავკასია ძირითად მიმართულებად აირჩია.

ვერმახტის არმიების ჯგუფმა, რომელიც კავკასიაზე შესატევად შეიქმნა, მიიღო **კოდი A.**

ჯგუფ A-ს ამოცანა იყო: სამხრეთის ფრონტზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების განადგურება და ჩრდილოეთი კავკასიის დაპყრობა; გროზნოსა და ბაქოს ნავთობსაბადოების დაუფლება; ამასთანავე, — კავკასიის ქედის უღელტეხილებიდან საქართველოზე იერიში; ხოლო ცოტა მოგვიანებით, სტალინგრადის ხელში ჩაგდების შემდეგ, — ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ ბრიტანულ საჯარისო ქედანაყოფზე შეტევა.

ფაშისტთა სარდლობამ გაითვალისწინა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაწილი, განსაკუთრებით — ჩეჩნები, მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (ჩეჩნეთში ანტისაბჭოთა გამოსვლები ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო ჰასან ისრაილოვის ხელმძღვანელობით და გააქტიურდა 1941-42 წლებში, როცა საბჭოთა არმია უკან იხევდა) და კავკასიაში კაზაკებისა და მთიელებისგან რამდენიმე ქვედანაყოფი ჩამოაყალიბა, რომლებიც ვერმახტს დაექვემდებარა.

დონის როსტოვის დაცემის შემდეგ კავკასიასა და რუსეთის სამხრეთ რაიონებთან კავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ კასპიის ზღვიდან მდინარე ვოლგითა და შემდეგ სალსკ-სტალინგრადის სარკინიგზო მაგისტრალით. ამ კომუნიკაციის გადაჭრით, გერმანელები სრულიად კავკასიას ხელში ჩაიგდებდნენ და საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს რესურსს წაართმევდნენ, ამიტომ სტალინგრადზე შესატევად შეიქმნა **არმიების ჯგუფი B**, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი **ფონ ვეიხსი.** 1942 წლის ნოემბრამდე სტალინგრადის მიმართულება დამხმარე მიმართულებად ითვლებოდა კავკასიის დაპყრობის გეგმაში.

გერმანელთა მხრიდან კავკასიაზე შეტევაში მონაწილეობდა ვერმახტის სამხრეთის არმიების ჯგუფი A:

*** 1 სატანკო არმია ფელდმარშალ ევალდ ფონ კლეისტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-17 არმია გენერალ-პოლკოვნიკ რიჰარდ რუოფის ხელმძღვანელობით;**

*** რუმინეთის მესამე არმიის სამთო კორპუსი და კავალერია;**

*** ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტი.**

თავდაპირველად არმიების ჯგუფს ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი **ვილჰელმ ლისტი**, მაგრამ, სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ შეტევის ტემპით უკმაყოფილო ჰიტლერმა სარდლობა თვითონ დაიკისრა, მოგვიანებით კი უფლებამოსილება ფელდმარშალ **პაულ ლუდვიგ კლეისტს** გადასცა. ბოლოს არმიების ჯგუფ A-ს გენერალ-პოლკოვნიკი **ებერჰარდ ფონ მაკენზენი** ხელმძღვანელობდა.

კავკასიის დაცვაში **სსრკ-ის მხრიდან მონაწილეობდნენ:**

***სამხრეთის ფრონტი (სარდალი როდიონ მალინოვსკი), რომელშიც შედიოდა მე-9, მე-12, მე-18, 24-ე, 37-ე, 51-ე და 56-ე არმიები. 1942 წელს სამხრეთის ფრონტი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტთან გაერთიანდა, 51-ე არმია კი სტალინგრადის ფრონტს გადაეცა.**

*** ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი (სარდალი — სემიონ ბუდიონი), რომელშიც გა-**

ერთიანებული იყო 47-ე არმია, პირველი მსროლელთა კორპუსი, კავალერისტების მე-17 კორპუსი და მე-5 საჰაერო არმია. 1942 წლის 4 სექტემბერს ეს ფრონტი დაიშალა, მისი ძვედანაყოფი კი ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შევიდა.

*** ამიერკავკასიის ფრონტი (სარდალი — ივან ტიულენევი), რომელშიც გაერთიანებული იყო: 44-ე არმია, 45-ე არმია, კავალერისტების მე-15 კორპუსი, 14 საავიაციო პოლკი. 30 აგვისტოს ჩამოყალიბდა 58-ე არმია. სექტემბერში კი ფრონტს გადაეცა მე-12, მე-18, 56-ე და 58-ე არმიები დაშლილი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან.**

*** შავი ზღვის ფლოტი (სარდალი — ადმირალი ფილიპ ოქტიაბრსკი).**

გერმანელებმა შეტევა წარმატებით დაიწყეს. საბჭოთა არმიების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დაეცა სევასტოპოლი, არმავირი, მაიკოპი, კრასნოდარი, ელისტა, მოზდოკი და ნოვოროსიისკის დიდი ნაწილი. 21 აგვისტოს კი გერმანელებმა იალბუზზე ფაშისტური დროშა აღმართეს.

საბჭოთა არმიამ გერმანელების შეჩერება მხოლოდ ტუაფსესთან მოახერხა.

ამის შემდეგ საბჭოთა არმიამ ნელ-ნელა მოიპოვა უპირატესობა. 1943 წლის დასაწყისში კი კონტრშეტევაზე გადავიდა და გერმანელებს უკანდახევა აიძულა.

კავკასიისთვის ბრძოლებში აღსანიშნავია გერმანელთა მიერ დაგეგმილი ოპერაცია „ედელვაისი“, რომლის კრახით დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველებმა.

„ედელვაისი“ (გერმ. — Operation Edelwei() — ეს არის კოდური სახელწოდება გერმანიის სარდლობის მიერ დაგეგმილი ოპერაციისა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის დაპყრობას და რომელიც 1942 წლის 23 ივლისს დაამტკიცა ჰიტლერმა. ოპერაციაში მონაწილეობდნენ შემდეგი ძალები:

*** არმიების ჯგუფი A ვილჰელმ ლისტის ხელმძღვანელობით;**

*** 1-ლი სატანკო არმია ევალდ ფონ კლეისტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-4 სატანკო არმია გერმან გოტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-17 არმია რიჰარდ როუფის ხელმძღვანელობით;**

*** ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტი (1000 თვითმფრინავი) გენერალ-ფელდმარშალ ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენის ხელმძღვანელობით;**

*** რუმინეთის მე-3 არმია გენერალ პეტრე დუმიტრესკუს ხელმძღვანელობით.**

არმიების ჯგუფ A-ს აღმოსავლეთიდან ეხმარებოდა არმიების ჯგუფი B, გენერალ-პოლკოვნიკ **ფედორ ფონ ბოკის** ხელმძღვანელობით. სახმელეთო ჯარებში იყო 167 ათასი ჯარისკაცი, 15 ათასი სამხედრო ინჟინერი, 4540 ტყვიამფრქვევი და 1130 ტანკი.

მზადება

კავკასიაზე შეტევის წინ გერმანიაში დაარსდა სანავთობე ფირმები — „ოსტ ოილი“ და „კარპატენ ოილი“, რომლებმაც გერმანიის ხელისუფლებასთან ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვეს ექსკლუზიური უფლება, 99 წლის განმავლობაში გაეწიათ ექსპლუატაცია კავკასიის ნავთობსაბადოებისთვის. ამ მიზნით, გერმანიაში ჩამოასხეს უამრავი მილი, რომლებიც მოგვიანებით ხელში ჩაიგდო და გამოიყენა საბჭოთა კავშირმა.

გერმანელებმა შექმნეს სპეციალური ეკონომიკური კომისია, რომელმაც აკრძალა ნავთობსაბადოების დაბომბვა. ნავთობის მწარმოებელი ობიექტის დასაცავად და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების შესაჩერებლად კი ეს-ესისა და კაზაკების სპეციალური პოლკები შეიქმნა.

ოპერაცია

1942 წლის 23 ივლისს, დონის როსტოვის დაცემის შემდეგ, ევალდ ფონ კლეისტის სატანკო შენაერთები კავკა-

ᲡᲘᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲜᲔᲜ. ᲡᲐᲛᲗᲝ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ „ᲔᲓᲔᲚᲕᲐᲘᲡᲘᲡ“ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲛᲐ ᲰᲣᲑᲔᲠᲢ ᲚᲐᲜᲪᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲔᲢᲘᲐ — ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲣᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲚᲣᲮᲝᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲔᲑᲖᲔ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘᲪ ᲢᲘᲠᲝᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲡᲐᲜᲩᲐᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ.

ᲑᲔᲥᲜᲣ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲮᲡᲜᲔᲡ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲖᲔ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ

დივიზია „ედელვაისის“ ფლანგების დასაცავად და იალბუზისკენ მიმავალი ბილიკის ხელში ჩასაგდებად შეიქმნა სპეციალური რაზმი. 1942 წლის 21 აგვისტოს ჰაუპტმან **ᲰᲐᲘᲜᲪ ᲒᲠᲝᲢᲘᲡ** რაზმმა კავკასიონის უმაღლეს წერტილზე — იალბუზზე — გერმანული დროშები (ტევტონების შტანდარტები) აღმართა — ნაცისტთა იდეოლოგები თვლიდნენ, რომ იალბუზი იყო არიელთა წმინდა მთა, რომელშიც დამალულია ლეგენდარული შამბალას (მითური ქვეყანა) შესასვლელი. ნახევარი წლის შემდეგ კი, 1943 წლის 13 თებერვალს, გერმანელთა დროშები საბჭოთა სამხედრო ალპინისტებმა ჩამოხსნეს და მათ ნაცვლად საბჭოური დროშები და სიმბოლოები აღმართეს.

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐᲡ 20-25 ᲙᲛ-ᲖᲔ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲜᲔᲜ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲐᲪ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲡᲡᲠᲙ-ᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲓ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲑᲔᲑᲐ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ — ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘ, ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

1942 წლის 18 აგვისტოს სტალინმა თავის კაბინეტში გამოიძახა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია და მას კავკასიის დაცვის ორგანიზება დაავალა.

„23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ, თავისი საუკეთესო თანამშრომლებისა და ქართველი გენერლების თანხლებით, მოსკოვიდან შუა აზიის გავლით (ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე ფაშისტები იდგნენ) თბილისში ჩაფრინდა, სადაც მას ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პირველი პირები: საქართველოს — ᲙᲐᲜᲓᲘᲓ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, სომხეთის — ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘ, აზერბაიჯანის — ᲛᲘᲠ ᲯᲐᲤᲐᲠ ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘ და ამიერკავკასიის ფრონტის სარდალი, **გენერალი ᲘᲕᲐᲜ ᲢᲘᲣᲚᲔᲜᲔᲕᲘ** დახვდნენ. ისინი ისე დათრგუნვილები ჩანდნენ, რომ ბერიამ თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე გალანძღა — „რატომ ხართ გაუპარსავები? პანიკურად

1942 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲖᲔ

გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე

რატომ ხართ განწყობილი? ქალაქში რატომ დადის ხმები, რომ წყალი არ არის, და რატომ არ დადის ტრამვაი? რა, ტრამვაიც ფრონტზე წავიდა?"

სამი საათის შემდეგ ბერიას მოადგილე, პოლკოვნიკი პიაშევი შინაგან ჯართან ერთად სოხუმისკენ გაემგზავრა. მათ იმავე დღეს დაიკავეს ქლუხორის უღელტეხილი, ხოლო მეორე დღეს დაიწყეს ოპერაცია გერმანელების გასანადგურებლად. გარდა ამისა, ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შექმნა სნაიპერთა სპეციალური ჯგუფები. იმხანად კავკასიონის უღელტეხილებზე ერთ სნაიპერს მთელი ბატალიონის შეკავება შეეძლო. რა როლი ითამაშეს სნაიპერებმა სტალინგრადის დაცვისას, ვიცით, მაგრამ ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ ქართველმა გენერალმა ნესტორ ლაბაძემ სნაიპერთა რაზმები შექმნა, რომლებიც კავკასიის დაცვის პერიოდში ყოველდღიურად 100-200 გერმანელ ჯაშუშსა და დივერსანტს ანადგურებდნენ.

ამ მძიმე ვითარებაში, საქართველოში ჩამოსვლიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ, ლავრენტი ბერიამ 46-ე არმიის ახალ სარდლად გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დანიშნა. ამ არმიამ, რომელიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს იცავდა, დაიწყო კავკასიონის უღელტეხილების დაცვა, რათა გერმანელ ფაშისტებს ნოვოროსიისკიდან ფოთსა და ბათუმში არ შეეღწიათ. საქართველოში მნიშვნელოვან გადასასვლელებსა და მარშრუტებზე მოაწყვეს წინაღობები, საქართველოს სამხედრო გზის ჩასახერგად დაიწყო მთის ფერდობების ჩამოსაშლელი სამუშაოები, გზებზე განალაგეს საცეცხლე წერტილები, გათხარეს სანგრები და ტანკსაწინააღმდეგო თხრილები. შეიქმნა სამთომსროლელთა ბატალიონები და სხვ. ლესელიძის შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი, შემდგომში კი გენერალი — მიხეილ მიქელაძე. სხვათა შორის, მანამდე ლესელიძე ხელმძღვანელობდა 50-ე არმიის არტილერიას, რომელიც ტულას იცავდა, შემდეგ — 47-ე და მე-18 არმიებს და, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო, მარშლის წოდებასაც მიაღწევდა, ისეთი ნიჭიერი გახლდათ.

ასე რომ, კავკასიის დაცვაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა ლავრენტი ბერიამ, დიდი როლი ითამაშეს სხვა ქართველმა სამხედროებმაც: გენერალ-მაიორმა ვარლამ კაკუჩაიამ, გენერალ-ლეიტენანტმა გრიგოლ კარანაძემ; ჩეკისტებმა: შალვა წერეთელმა, ილარიონ გაგუამ, მიხეილ მიქელაძემ და სხვ. კავკასიის დაცვაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ლავრეტი ბერიას მარშლის წოდება მიანიჭეს", — ამბობს დიდი სამამულო ომის მკვლევარი, უამრავი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, დამსახურებული ჟურნალისტი **ლევან დოლიძე.**

შედეგები

კავკასიისთვის ბრძოლებში გერმანელმა ფაშისტებმა 100 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგეს, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს კავკასიის დაპყრობა. სტალინგრადის ომში გამარჯვებისა და საბჭოთა არმიის შეტევის შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასია სრულიად გათავისუფლდა ფაშისტებისგან.

აღსანიშნავია, რომ **სამთო მსვლელთა იმ დანაყოფში, რომელმაც 1943 წლის 13 თებერვალს გერმანელთა დროშები ჩამოაგდო და მათ ნაცვლად საბჭოთა კავშირის დროშები აღმართა, ქართველებიც იყვნენ — გაბრიელ** და **ბექნუ ხერგიანები.**

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

პარტიზანული ბილიკებით

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №3)

ჩვენს ხელთ არსებული მასალით, პოლონეთის პარტიზანულ მოძრაობაში ქართველები 1942 წლის დამდეგიდან ჩანან. ქართველი მეომრების კეთილშობილებასა და დაუვიწყარ გმირობაზე, უაღრესად კრიტიკულ მომენტში საკუთარი სიცოცხლის ფასად პარტიზანული რაზმის განადგურებისგან გადარჩენაზე უამრავი მოგონება არსებობს, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ბევრი ასეთი შესანიშნავი ადამიანის ვინაობა უცნობი დარჩა და არ შემოენახა შთამომავლობას.

„კაზიკ ქართველის“ პარტიზანული რაზმი

1942 წლის ივნისში ამოქმედდა გვარდია ლიუდოვას პარტიზანული რაზმი, რომელსაც სათავეში ედგა **სიმონ ჩიქოვანი**. იგი პარტიზანთა შორის ცნობილი იყო „კაზიკის“ ან „კაზიმეჟის“ ფსევდონიმებით. ცნობები ამ რაზმისა და მისი მეთაურის შესახებ მეტად მწირია. პირველად „კაზიკ ქართველი“ მოიხსენია საბჭოთა კავშირის გმირმა დავით ბაქრაძემ. შემდეგ ორიოდე ცნობა ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა. შედარებით ვრცლად მასზე აღნიშნულია პოლონურ ლიტერატურაში, თუმცა იგიც ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს ამ პიროვნების ვინაობის და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი რაზმის შესახებ.

ი. გარასის ცნობით, კაზიკი 1942 წლის გაზაფხულზე გაიქცა ნეპენჩოვეს (ლიუბლინის დასავლეთით) ტყვეთა ბანაკიდან და უკვე ივნისში მეთაურობდა პოლონეთის მუშათა პარტიის კრასნიკის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ჯგუფს, რომელიც 6 კაცს მოითვლიდა. მალე №5 სამხედრო ოლქის მეთაურ თადეუშ შიმანსკისთან მოლაპარაკების შედეგად მას შეუერთდა 15 მებრძოლი, უმეტესად — პოლონელი. რაზმი ჯერ ტშიდნიკას ტყეში, ხოლო შემდეგ ტომაშევ-ლიუბელსკის რაიონში მოქმედებდა.

რაზმი თავდაპირველად დივერსიებით იფარგლებოდა. პარტიზანები არბევდნენ პოლიციისა და ჟანდარმერიის საგუშაგოებს, თავს ესხმოდნენ მტრის აღალს, მაგრამ შემდეგ, როცა მისი შემადგენლობა გაიზარდა (1944 წლის დამდეგს მოითვლიდა 56 მებრძოლს), აღარც მოწინააღმდეგესთან ხელჩართულ შეტაკებას ერიდებოდა. 1943 წლის ზაფხულში სხვა ნაწილებთან ერთად რაზმი მონაწილეობდა ცნობილ იანოვის ტყის ბრძოლებში, რის შესახებაც ლიუბლინის სავოევოდოს არალეგალურ გაზეთში რამდენიმე წერილიც დაიბეჭდა. იმავე წლის ნოემბერში „კაზიკ ქართველის“ რაზმმა სასტიკი ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლა სოფ. მიკულინი, ხოლო 1944 წლის დამდეგს შეუერთდა კოვპაკის დივიზიას (გ. ზედგენიძე წერს „ვერშიგორის დაჯგუფებას“). რეიდის დამთავრების შემდეგ, როგორც დ. ბაქრაძე აღნიშნავს, კაზიკი მებრძოლთა ნაწილით კვლავ დარჩა პოლონეთში და მტრის ზურგში გააგრძელა საომარი მოქმედება. აქ წყდება კვალიც. აღნიშნული რაზმისა და მისი მეთაურის შემდგომი ბედი უცნობია.

სხვათა შორის, „კაზიკ ქართველის“ რაზმში მცირე ხანს იმყოფებოდა ბათუმელი **სულეიმან ხახვა.** მისი სიტყვით, სიმონ ჩიქოვანმა მეთაურის პოსტზე შეცვალა ლენინგრადელი კარლ ლემიშევსკი. მალე თავად ს. ხახვა დაიჭრა მძიმედ ფაშისტებთან ხელჩართული შეტაკებისას და 1943 წლის დეკემბერში საბოლოოდ ჩამოშორდა რაზმს. მისივე ცნობით, კაზიკი „საოცრად გამბედავი და მოუხელთებელი კაცი იყო. ლეგენდები დადიოდა მასზე“, მამაც თანამემამულეთაგან ს. ხახვამ მოიგონა, აგრეთვე, **ვანო ტოპეშაშვილი** და **ნიკოლოზ გორდეზიანი.**

„პეტრეს რაზმი“

1942 წლის ნოემბერში შეიქმნა გვარდია ლიუდოვას პრავა-პოდმეისკას ოკრუგის სარდლობას დაქვემდებარებული ე. წ. პეტრეს რაზმი უფროსი ლეიტენანტის — პეტრე ფინანსოვის ხელმძღვანელობით. იგი თავდაპირველად აერთიანებდა 17 საბჭოთა ოფიცერსა და ჯარისკაცს, რომლებიც გაექცნენ გერმანელებს ვეშაპს ტყვეთა ბანაკიდან. რაზმში იყო ორი ქართველი ლეიტენანტიც — ლენინგრადელი **გიორგი გადაშვილი** და თბილისელი **ვალერიან გეგიძე.** ნოემბრის დამლევს რაზმს დაემატა ებრაელთა გეტოდან გაქცეული 9 მებრძოლი. „პეტრეს რაზმი“ იბრძოდა სედლეცის, გარვოლინისა და ლუკოვის რაიონებში და განახორციელა „მრავალი აქცია ჟანდარმერიის, პოლიციისა და ოკუპანტების ადმინისტრაციის წინააღმდეგ“, კერძოდ, მინსკ-მაზოვეცკეს პარტიზანულ ჯგუფთან ერთად დაარბია ადამოვის სათემო უწყება (მოკლეს ერთი ჟანდარმი); დომანიცეში მოსპო 6 პოლიციელი, დასწვა პოლიციის შენობა და საგუშაგო; ვოდინიახში სათემო უწყების დარბევისას გაიტაცა 20 ათასი ზლოტი; დემბლინის მახლობლად თავს დაესხა მტრის აეროდრომს და დახოცა 7 მფრინავი (პარტიზანებს დაეღუპათ ორი მებრძოლი) და ა. შ. 1943 წლის მარტში რაზმი

გადავიდა ვიშკოვას რაიონში. სწორედ აქ მოღალატემ გასცა მისი ადგილსამყოფელი და პარტიზანებს თავს დაესხა „ჟანდარმთა ძლიერი რაზმი“, უთანასწორო შეტაკებაში პ. ფინანსოვი და მისი თანამებრძოლები დაეცნენ მამაცთა სიკვდილით. მხოლოდ ორმა შეძლო ალყიდან გასვლა. დაღუპულთა შორის იყვნენ ქართველი პარტიზანებიც.

ცხადია, აღნიშნული რაზმის ყველა ამ აქციაში იგულისხმება ქართველი მებრძოლების მონაწილეობაც, მაგრამ ი. გარასის ნაშრომიდან ან სხვა მასალიდან არ ჩანს, კონკრეტულად როგორი იყო მათი წვლილი ამა თუ იმ ოპერაციაში.

ბიალა-პოდლიასკას ბანაკი

აღმოსავლეთ პოლონეთში, კერძოდ პარჩევის ტყის მასივში ე. წ. გლეხთა ბატალიონების რაზმის შემადგენლობაში მოქმედებდა ქართველ მებრძოლთა ჯგუფი, რომელიც 20-მდე მეომარს ითვლიდა. ჯგუფი შეადგინეს ბიალა-პოდლიასკას ბანაკის ტყვეებმა, რომლებიც სოფ. ლიპში (კოზენეცკის მაზრა) გერმანელი მემამულის მეურნეობაში მუშაობდნენ. **„ნამდვილი გოლიათი, ბრძოლაში შეუპოვარი, რკინის გულის პატრონი“ შალვა ბაბუნაშვილი** აქ დაუახლოვდა ცოლ-ქმარ სოფია და თადეუშ პოდბელსკებს (ეს უკანასკნელი მეურნეობაში ვეტექიმად მუშაობდა), რომლებიც პატრიოტები იყვნენ და კავშირი ჰქონდათ პარტიზანებთან. ქართველები გაეცნენ მათ, ითხოვეს დახმარება წინააღმდეგობის მოძრაობასთან დაკავშირებასა და ბანაკიდან გაქცევაში. პოლონელები დათანხმდნენ და „გლეხთა ბატალიონების“ ადგილობრივ ორგანიზაციასთან შეთანხმებით შეიმუშავეს ოპერაციის გეგმაც. თ. პოდბელსკი გამართავდა ვახშამს, მოიწვევდა ბანაკის გერმანელ ხელმძღვანელებს და, როგორც კი ისინი შეზარხოშდებოდნენ, ტყვეები თავს დაესხმოდნენ, იარაღს აყრიდნენ და თან გაიტაცებდნენ. ასეც მოხდა. ოცმა ქართველმა (ქრისტიფორე კილაძე, შალვა კობიაშვილი, გრიგოლ მოდებაძე, კუნჭულია, მ. ჩომახიძე, სტეფანე ნოზაძე, ვ. დარსაველიძე, ლევან გამცემლიძე, მიხეილ გურაშვილი, სოსო ჩხიკვაძე და სხვ.) თავი დააღწია ტყვეობას და დიდძალი იარაღით (ტყვიამფრქვევი, ავტომატები, ხელყუმბარები და სხვ.) 1943 წლის ივლისში ტყეში გავიდა (გერმანელების წაყვანა არ მოხერხდა. კომენდანტი ფანჯრიდან გადახტა და მოკლეს. სროლის ხმაზე ბანაკში გამოცხადდა განგაში. საჭირო იყო სისწრაფე და ამიტომ ტყვეები იარაღის აყრით დაკმაყოფილდნენ. გვაქვს ცნობა, რომ ბიალა-პოდლიასკას ბანაკში ყოფნისას ივანე აბრამიძემ (შემდეგ საფრანგეთში დახვრეტილმა), 1943 წლის ადრე გაზაფხულზე, პარტიზანებთან გააპარა 12 ტყვე თანამემამულე.) მეკავშირემ ქართველები „გლეხთა ბატალიონების“ სპეციალური დივერსიული ჯგუფის უფროსთან პეტრე მიკოსთან („პტახი“) მიიყვანა.

ქართველთა ჯგუფი პოლონელ პატრიოტებთან ერთად მონაწილეობდა ოპერაციებში ლიუბლინ-ჩჩინის ტერიტორიაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო თავდასხმა სადგურ ვიგოდაზე, სადაც ააფეთქეს ეშელონი (აქ განაიარაღეს 120 გერმანელი), აგრეთვე სარკინიგზო მაგისტრალი და რამდენადმე საათით შეაჩერეს მატარებლების მიმოსვლაც (აქ დაიღუპა ქრისტეფორე კილაძე. ეშელონის შეჩერებისთანავე მიეჭრა იგი ფაშისტი ოფიცრების ვაგონს და ხელყუმბარა ესროლა. ამ დროს ამოქმედდა ბოლო ვაგონის კართან დაყენებული ტყვიამფრქვევიც. ქრისტეფორე კილაძემ იგი ვერ შენიშნა და დაეცა მტრის ტყვიით განგმირული. შალვა კობიაშვილის ცნობით, ამ ოპერაციაში დაიღუპა, აგრეთვე, ვლადიმერ დარსაველიძეც, „მძიმედ დაიჭრა“ ქართველთა ჯგუფის მეთაური მიხეილ გურაშვილი). მალე გვარდია რაზმმა ოსოლოტუნოვის ტყეში გადაინაცვლა და 1943 წლის შემოდგომაზე მონაწილეობდა დომაჩევის გერმანელთა გარნიზონის განადგურებაში, ტომანუვსკის გარეუბანში ფაშისტთა სამხედრო დაბის დაწვაში, იაბლოჩნაიას სასაზღვრო საგუშაგოს დარბევაში და ა. შ. გლუხოვის ტყეში ქართველებს შეუერთდა რუსი პარტიზანი ვალოდია, რომელიც საუცხოო მეგზური აღმოჩნდა და ჯგუფი მდ. ბუგთან გაიყვანა. აქ, ჟილივშეს სასაზღვრო საგუშაგოს განადგურებისა და მდინარის გადალახვის შემდეგ, ქართველი მებრძოლები ბრესტის რაიონში შეუერთდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა პარტიზანულ შენაერთს. ბრესტისკენ გზის გაკაფვისას ბრძოლებში დაიღუპნენ: **გიორგი საჯაია, სტეფანე ნოზაძე, შაქრო ღვთისიაშვილი; დაიჭრენ შალვა ბაბუნაშვილი, კარლო რამიშვილი და სხვ.**

ყველა შეტაკებაში, რომელშიაც კი მონაწილეობდნენ, ქართველები გამოირჩეოდნენ გაბედულებითა და საზრიანობით. „გლეხთა ბატალიონების“ ხელმძღვანელობის დოკუმენტში შალვა ბაბუნაშვილის შესახებ ნათქვამია, რომ პოლონელები „საყოველთაო აღტაცებას გამოხატავდნენ ვერაგ ფაშისტ თავდამსხმელებთან ბრძოლაში მისი უდიდესი პატრიოტიზმისა და მამაცობის გამო“, ქართველთა თავდადება პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მადლიერმა ხალხმა იმითაც აღნიშნა, რომ ამ ჯგუფის ზოგი მებრძოლი ლიუბლინის საპატიო მოქალაქედაც აირჩია.

ლიუბლინჩჩინაში, კერძოდ პარჩევის ტყის იმ ნაწილში, რომელიც ადმინისტრაციულად შედიოდა ვლოდავას რაიონში, იბრძოდა ადამ მიცკევიჩის სახელობის პოლონელ და საბჭოთა პარტიზანთა გაერთიანებული რაზმი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ თევდორე კოვალიოვი (იგივე „თევდორე“, „თევდორე ალბრეხტი“) და პოლონელი იან ხოლოდი. მასში ჯერ საბჭოელები სჭარბობდნენ, შემდეგ კი — პოლონელები. საბჭოელთაგან იყვნენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, ებრაე-

ლები და სხვ. 1942 წლისათვის მისი პირადი შემადგენლობა 80-მდე მეომარს მოითვლიდა.

რაზმმა დიდი ბრძოლა გადაიხადა 1943 წლის აპრილში. „გერმანელთა არმიის მსხვილმა ძალებმა“, რომლებიც „შეიარაღებულები იყვნენ ავტომატებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით, ალყა შემოარტყეს პოლონელ და საბჭოთა მეომრებს. პარტიზანები ჩაებნენ ბრძოლაში შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგესთან და გაბედული დარტყმით გაარღვიეს გარემოცვა... გერმანელებმა დაკარგეს 50 ჯარისკაცი და 3 თვითმფრინავი. პარტიზანებს დაეღუპათ ათზე მეტი კაცი“, მათ შორის **რაზმის „გმირი ქართველი დავითი. ხელმძღვანელობდა რა ათ მებრძოლს, ის რამდენიმე საათის განმავლობაში აკავებდა გერმანელთა თითქმის მთელ ბატალიონს, რომელიც ცდილობდა ტყეში შეჭრას. საღამოთი ნახეს ტყვიებით დაცხრილული მისი სხეული“, ქართველი მეომრის თავგანწირვამ რაზმი გადაარჩინა და მან გაზაფხულ-ზაფხულში მეზობელ ლიუბარტოვის რაიონში რამდენიმე ოპერაციაც განახორციელა.**

„შავი ვალოდია“ – ვლადიმერ ძნელაძე

ამ რაზმის ბირთვი შეადგინა იმ 18 ქართველმა, რომლებიც 1943 წლის მაისში გაიქცნენ რადომის ლეგიონერთა ბანაკიდან პოლონეთის მუშათა პარტიის აქტივისტის — იუზეფ კუტილას მეშვეობით (მათ, ვლ. სულევსკის ცნობით, თან „გაიტაცეს 17 შაშხანა და ერთი ტყვიამფრქვევი“). **ტყეში გასვლის შემდეგ ისინი ორად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი დაიძრა აღმოსავლეთისკენ საბჭოთა არმიის ნაწილებთან შესაერთებლად, მეორე კი დარჩა ადგილზე, რადგან იმ პირობებში საზღვრის გადალახვა შეუძლებლად მიაჩნდათ. თანდათანობით ამ უკანასკნელს შეუერთდნენ პოლონელები და ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეული სხვადასხვა ეროვნების**

«ქართველები ისე ძლიერად უტევდნენ», რომ მათი მიახლოებისთანავე ჟანდარმები უბრძოლველად გარბოდნენ.

საბჭოთა მოქალაქეები, მათ შორის 25 ქართველი ლეგიონერი. ამის შედეგად ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი რაზმი (55 მეომრით), რომელსაც სათავეში ვლადიმერ ძნელაძე ჩაუდგა (ფსევდონიმი „შავი ვალოდია“).

აღნიშნული რაზმი თავდაპირველად დამოუკიდებლად იბრძოდა ლუკოვის რაიონში სოფლების — გრაბოვასა და პოლიციას ტყიან მასივში. მისი პირველი ნათლობა იყო სოფ. გრაბოვას საგუშაგოს განადგურება. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ტანსაცმელი, შემდეგ კი თავს დაესხნენ რკინიგზის შემკეთებელ სახელოსნოს და წაიღეს ხელსაწყოები, რომლებითაც, იმავე ვლ. სულევსკის სიტყვით, აყარეს ლიანდაგი პიონკი-დემბლინის სარკინიგზო მაგისტრალზე სოფ. გარბატკასთან და მტრის ეშელონიც გადაჩეხეს. პირველი წარმატებით აღფრთოვანებული მებრძოლები თავს დაესხნენ სოფ. კიანკის გარნიზონს. 40 ფაშისტი ჯარისკაცისგან „არავინ გადარჩენილა“, უკან დაბრუნებისას მათ გერმანელთა დამზადების პუნქტიც დაარბიეს. ამას მოჰყვა ლიუბლინ-ვარშავის გზის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრზე სატელეფონო კავშირის მოშლა, სოფ. ზაბოლოტიეში ფაშისტი პოლკოვნიკის დატყვევება, ანტოპოლში სპირტის ქარხნისა და უსტიმოვში ფოსტის აფეთქება და ა. შ.

1943 წლის აგვისტოში თ. კოვალიოვმა თავისთან მიიწვია ვლ. ძნელაძის რაზმი პარჩევის ტყეში მოქმედ პარტიზანთა გაძლიერების მიზნით. ამისათვის სოფ. ჟეშინაში დაბანაკებულ ქართველ მეთაურს მიუგზავნა მიჩესლავ ვიტკოვსკი („სტალი“) და მისი დივერსიული ჯგუფი. მასში იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც, რომელთაგან ერთი ექიმი „თბილისელის“ ფსევდონიმით იბრძოდა. მ. ვიტკოვსკი წერს, რომ **ამ „მამაცმა და გმირმა“ ქართველმა არ ისურვა თავისი ვინაობის გამხელა. ვიცოდით მხოლოდ, რომ ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა, ხოლო თავად ი. ბ. სტალინის „ახლო ნათესავი“ იყო.** ამასვე აღნიშნავს პროფ. ი. ვილჩურაც სტატიაში „ქართველთა საბრძოლო გზა“. პოლონელი ისტორიკოსის სიტყვით, იგი სამხედრო ექიმი იყო, რის გამოც თურმე უარი განაცხადა წინადადებაზე, მიეღო გვარდია ლიუდოვას ერთ-ერთი რაზმის მეთაურობა. 23 აგვისტოს მ. ვიტკოვსკი შეხვდა „შავ ვალოდიას“, მოხდა შეთანხმება. ამის აღსანიშნავად პარტიზანებმა, იმავე დღესვე განახორციელეს ერთობლივი ოპერაცია და მოკლეს ხუთი პოლიციელი, ხოლო 28 აგვისტოს, პარჩევის ტყისაკენ მიმავლებმა, მილიანოვ-ბეზვოლიას რკინიგზაზე რელსები გადახსნეს და ეშელონი გადაჩეხეს (დაიმსხვრა ტანკებითა და მანქანებით დატვირთული 9 ვაგონი).

ა. მიცკევიჩის სახელობის რაზმში გაერთიანების შემდეგ ქართველებმა, სხვა საბჭოელ და პოლონელ პარტიზანებთან ერთად, იმავე წლის შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში, განახორციელეს არაერთი დივერსია რკინიგზებზე, თუ გაბედული თავდასხმა მტერზე. მ. ვიტკოვსკის ცნობით, 2 სექტემბერს სოფ. პჟევლოკასთან ისინი თავს დაესხნენ გერმანელთა აღალს და ხელთ იგდეს დიდძალი სურსათი (ამ ოპერაციისას დაიჭრა ქართველი მებრძოლი ლევანი); 5 სექტემბერს სად-

გურებს გრუდკასა და პარჩევს შორის გადაჩეხეს სხვადასხვა ტექნიკით დატვირთული ეშელონი (დაიმსხვრა 23 ვაგონი, მოჰკლეს 22 გერმანელი); 2 ოქტომბერს მილკოვის ტყეში მოსპეს გრაბოვსკის ბანდა (ზედ მიაყოლეს 4 ფაშისტი ჯარისკაციც); 10 ოქტომბერს თავს დაესხნენ გერმანელ მფრინავთა დასახლებას დაბა კონინის აეროდრომთან და მოკლეს 8 გერმანელი (აქ დაიჭრნენ ქართველები გოგი და ჟირარდი); 7 და 10 ნოემბერს დაარბიეს პოლიციელთა საგუშაგოები; 14 დეკემბერს შეებრძოლნენ გალიციელ ესესელთა 70 კაციან რაზმს და გაიმარჯვეს (ამ ბრძოლაში დაიჭრნენ დავითი, კარლო და გენო ჯაველიძე) და ა. შ. ამავე დროს, პარტიზანებმა გაათავისუფლეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიც (ზაგაკი, ტისმენიცა და სხვ.). ვლ. სულევსკის სიტყვით, **„ქართველები ისე ძლიერად უტევდნენ“, რომ მათი მიახლოებისთანავე ჟანდარმები უბრძოლველად გარბოდნენ.**

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობით, აგრეთვე, დისციპლინითა და მოსახლეობისადმი გულთბილი დამოკიდებულებით ვლ. ძნელაძემ და მისმა თანამემამულეებმა მახლობელი რაიონების მცხოვრებთა დიდი პატივისცემა დაიმსახურეს. **გენო ჯაველიძე** აღნიშნავდა: **„როცა ღამით მივადგებოდით ვინმეს ოჯახს... საკმარისი იყო, გვეთქვა, ქართველები ვართო და ციხესიმაგრესავით უბრად ამართული სახლის კარი ერთბაშად გაიღებოდა“, და ეს იმ დროს, როდესაც პარტიზანების, მით უმეტეს საბჭოთა პარტიზანების მიღება-გასტუმრებაში ოდნავ ეჭვმიტანილ ოჯახებს გერმანელები დედაბუდიანად თხრიდნენ. მართლაც, გარვოლინთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა პარტიზანი მიხეილ ცუცქირიძე. სამკურნალოდ იგი მახლობელ ხუტორ იანოვეკში სანდო გლეხის ოჯახმა შეიფარა. ფაშისტებმა მიაგნეს დაჭრილს და საჯაროდ დახვრიტეს. სიკვდილით დასაჯეს, აგრეთვე, ოჯახის ყველა წევრი.**

1944 წლის დამდეგს აღნიშნულმა რაზმმა გადმოლახა მდინარე დასავლეთი ბუგი და შეუერთდა პარტიზანთა იმ შენაერთს, რომელსაც ალ. ფეოდოროვი მეთაურობდა. რამდენიმე ქართველი მებრძოლი, მათ შორის „თბილისელი“, კი დარჩნენ პოლონეთში. 1944 წლის 14 ივნისს ეს უკანასკნელი მამაცთა სიკვდილით დაეცა გერმანელ ესესელებთან უთანასწორო ბრძოლაში გლინოსტოცკის ტყეში პარჩევ-რაძინ-პოდლიასკის გზაზე. პროფ. ი. ვილჩურა დაწვრილებით აღწერს ამ ტრაგიკულ აქტს: **„გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა“, პარტიზანთა „მდგომარეობა ყოველ წუთს უარესდებოდა. ჰიტლერელები იმყოფებოდნენ რაღაც 150 მეტრზე მათი განლაგებიდან და თავს უვლიდნენ ფლანგებიდან. ვიტკოვსკიმ გადაწყვიტა უკანდახევა... „თბილისელმა“ ვიტკოვსკის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მეტყვიამფრქვევეები დაიჭრნენ და არ შეეძლოთ ტყვიამფრქვევთან დარჩენა. მე წავალ — გადაწყვიტა ექიმმა და, არ მიაქცია რა ყურადღება მეთაურის პროტესტს, სწრაფად, ნახტომით მიირბინა ტყვიამფრქვევთან. დაჭრილებმა ოკონმა და სტანისლავ პანასიუკმა ძლივს მიაღწიეს რაზმს. „თბილისელი“ კი წინა პოზიციაზე მარტო ისროდა ტყვიამფრქვევიდან. პარტიზანებმა დაიხიეს ტყის სიღრმეში. უცებ მათ შეამჩნიეს, რომ „თბილისელი“ დადუმდა. რიშარდ ხირა და ედმუნდ ნევლაჩინი წამოხტნენ, რომ მიერბინათ ამხანაგთან, მაგრამ ფაშისტები ახლოს იყვნენ ადგილთან, სადაც გაბედული პარტიზანი დაიღუპა. ვიტკოვსკიმ აღიარა, რომ რაზმს განადგურება ემუქრებოდა, რომ მის ბედს წყვეტდა თითოეული წამი. ჩაიკლა რა ტკივილი გულში, ბრძანა, წაეყვანათ დაჭრილები და დაეხიათ უკან“.**

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის მოვიტანეთ, რომ პოლონური მასალის საფუძველზე გვეჩვენებინა ქართველი მეომრის კეთილშობილება და დაუვიწყარი გმირობა. უაღრესად კრიტიკულ მომენტში მან ნებაყოფლობით შეცვალა დაჭრილი თანამებრძოლები, მარტოდმარტო დარჩა არიერგარდში, შეაჩერა მტერი და საკუთარი სიცოცხლის ფასად პარტიზანული რაზმი განადგურებას გადაარჩინა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავი ადამიანის ვინაობა უცნობი დარჩა და არ შემოენახა შთამომავლობას.

გენო ჯაველიძე აღნიშნავდა: «როცა ღამით მივადგებოდით ვინმეს ოჯახს... საკმარისი იყო, გვეთქვა, ქართველები ვართო და ციხესიმაგრესავით უბრად ამართული სახლის კარი ერთბაშად გაიღებოდა», და ეს იმ დროს, როდესაც პარტიზანების, მით უმეტეს საბჭოთა პარტიზანების, მიღება-გასტუმრებაში ოდნავ ეჭვმიტანილ ოჯახებს გერმანელები დედაბუდიანად თხრიდნენ.

ლუიბლინის საგოეგოდოში

საბჭოთა ტერიტორიაზე დაბრუნების შემდეგ ვლ. ძნელაძე და სხვა თანამემამულენი მტერს უკრაინაში, ვოლინის მიწაზე ებრძოდნენ, მაგრამ მალე კვლავ მოუწიათ დაბრუნება პოლონეთში. იმავე წლის თებერვალში ალ. ფეოდოროვის პარტიზანული შენა-

ერთიდან ჩამოყალიბდა ბრიგადა ნიკოლოზ პროკოპიუკის მეთაურობით, რომელსაც დაევალა ღრმა რეიდი მტრის ზურგში პოლონეთის ტერიტორიაზე. ბრიგადას დაზვერვის უფროსად გაჰყვა ვლ. ძნელაძე, როგორც მომავალი სამოქმედო რაიონის მცოდნე. მასთან იყვნენ პოლონეთის ადრინდელ ლაშქრობაში გამობრძმედილი მისი ქართველი თანამებრძოლებიც.

აღნიშნული ბრიგადის ოპერაციებიდან აღსანიშნავია 1944 წლის ზაფხულის ბრძოლა. საგულისხმოა, რომ ამ გრანდიოზულ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ლიუბლინშჩინას ტყეებში მოქმედი პოლონელი და საბჭოთა პარტიზანების სხვა რაზმებიც. მათში კი მრავლად იყვნენ ჩვენი თანამემამულენი, რომლებმაც ღირსეულად იბრძოლეს და ზოგმა თავიც კი შესწირა გამარჯვების საქმეს.

ლუიბლინის სავოევოდოში პარტიზანული მოძრაობის ცენტრი იყო ბილგორაისა და იანოვის ტყიანი მასივი. აქ 60X12 კვ. კმ ფართობის ტერიტორიაზე წარმოებდა პარტიზანთა ძალების შეკრება, რეორგანიზაცია და გადაჯგუფება; აქ იყო ძირითადი ბაზები, სადაც ხდებოდა საბჭოთა თვითმფრინავებიდან მიწოდებული ტვირთის მიღება და განაწილება. ამიტომ მტერმა შეიმუშავა პარტიზანთა ამ თავისუფალი ზონის განადგურების ოპერატიული გეგმა („შტურმვიუნდ-1“), რომლის მსგავსი „პოლონეთის ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელებს არ გაუტარებიათ“, მიზნის მიღწევისთვის მათ გამოიყენეს სამი დივიზია (თითქმის 30 ათასამდე მებრძოლი), დიდძალი ტექნიკა და ავიაცია და 1944 წლის ივნისის დამდეგს დაიძრნენ პარტიზანების წინააღმდეგ.

13 ივნისს შედგა ლიუბლინშჩინას პარტიზანული რაზმების მეთაურთა თათბირი. გადაწყდა, უკან კი არ დაეხიათ, არამედ აქ, მდინარე ბრანევის მისადგომებთან, დახვედროდნენ მტერს. 14 ივნისს ფაშისტებმა დაიწყეს შეტევა. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. მოკლულთა და დაჭრილთა სახით მტერმა ყველა უბანზე დაჰკარგა ათასამდე კაცი, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა იერიშებს და ბრძოლის ველზე ახალახალი ძალები შეჰყავდა. მაშინ პარტიზანებმა სამხრეთ-აღმოსავლეთით სოლსკის ტევრისკენ გადაინაცვლეს. გერმანელები ფეხდაფეხ მიჰყვნენ და სცადეს მათი ალყაში მოქცევა. მართალია, პარტიზანებს მიეშველნენ ვ. შანგინის, ს. ჩიჟოვისა და გ. კოვალიოვის რაზმები (800-ზე მეტი მებრძოლით), მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. ამიტომ 20 ივნისს პარტიზანთა სარდლობამ გადაწყვიტა ალყის გარღვევა ორი მიმართულებით: **პოლონელები წავიდოდნენ ჩრდილოეთით ლიპსკის ტყისაკენ, საბჭოთა პარტიზანები კი სამხრეთ-აღმოსავლეთიმთ ლვოვის ოლქის ნემიროვის რაიონისაკენ.** ასეც მოხდა, რის გამოც გერმანელებმა ვერ შეძლეს გეგმის განხორციელება.

ნ. პროკოპიუკის ბრიგადის ქართველთა ჯგუფი, სხვა პარტიზანებთან ერთად, იბრძოდა თავდაცვის მარცხენა ფლანგზე. „ეს იყო ყველაზე დაუცველი და სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი. დაეცემოდა ზღუდე და გერმანელები სოლივით შეიჭრებოდნენ შენაერთის მთლიან დაცვაში“, ამიტომ „დღეში ათჯერ მიჰქონდა იერიში მტერს“, მაგრამ „უკუქცეული ბრუნდებოდა უკან“, მალე პოლონელთა და ქართველთა ნაკრები ჯგუფი სარდლობამ გადაისროლა სოფლების — ზოფინასა და გურნას მიმართულებით, სადაც „იმყოფებოდა გერმანელთა არტილერიის შტაბი“, **მამაცმა პარტიზანებმა „მოსპეს ყველა გერმანელი და ოთხი ქვემეხი, წამოიღეს ერთი, რომლითაც იერიშზე წამოსული რამდენიმე ტანკი დაამსხვრიეს“.**

იანოვის ტყის ბრძოლაში მტერს დიდი ზარალი ჰქონდა. საგრძნობი იყო პარტიზანთა მსხვერპლიც. საკმარისია, ითქვას, რომ **აქ დაიღუპა 30-მდე ქართველი მებრძოლიც. აი ისინი: გიორგი მახაროგლიშვილი, მეთოდე ადეიშვილი (ვლ. ბორტნოვსკის სიტყვით, იგი ტყვიამფრქვევის „შეუნელებელი ცეცხლით აკავებდა მტრის ძეწკვისებურ წინსვლას და დაჭრილი სიკვდილამდე იფარავდა ამხანაგების უკანდახევას“), ლევან ნემსაძე, ერმილე მიქიაშვილი, ექიმი დავით ბუხრაშვილი, იოსებ ჩომახიძე, სპირიდონ ხვედელიძე, ვარლამ თოფურია, ვლადიმერ ფერაძე, ვლადიმერ შარიქაძე („წითური ვალოდია“) და სხვ.**

სახალხო პოლონეთის მთავრობამ ორდენებითა და მედლებით აღნიშნა იანოვის ბრძოლის მონაწილეთა გმირობა. ჯილდოები გადაეცათ ქართველებსაც. **ვლ. ძნელაძემ მიიღო „მამაცობის ჯვარი“ და „პოლონელი პარტიზანი“, ოცმეთაურ ამბროსი ყვავაძის დაჯილდოების ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ის „იმყოფებოდა პოლონურ პარტიზანულ რაზმში, გამოირჩეოდა კარგი ქცევით და აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში... განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1943 წლის 13 სექტემბერს, როცა ააფეთქა გერმანელ დამპყრობთა ეშელონი“, ვლ. ბორტნოვსკიც ადასტურებს, რომ ეს ოცმეთაური „პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა პარტიზანებს კონტრშეტევაზე გადასვლის დროს და არ დაუშვა, რომ გერმანელები ორგანიზებულად უკანდახევამდე შეჭრილიყვნენ პარტიზანთა მიერ დაკავებული ტერიტორიის სიღრმეში“ (ვლ. ძნელაძისა და მის თანამებრძოლებს პოლონელმა კინემატოგრაფისტებმა 1970 წელს სპეციალური ფილმიც მიუძღვნეს).**

„მცირე პოლონეთის“ ტყიან მასივში

ქართველები იბრძოდნენ ე. წ. „მცირე პოლონეთის“ ტყიან მასივში (სამხრეთ-აღმოსავლეთი პოლონეთი). ისინი 1943 წლის 25 სექტემბერს გაიქცნენ რადომის

ტყვეთა ბანაკიდან და კოვალკოვის ტყეში შეუერთდნენ „ვეხას“ რაზმს, რომელიც ე. წ. ოშკას ბატალიონს ექვემდებარებოდა. 7 ქართველი მასში გაერთიანდა, როგორც „დამოუკიდებელი მსროლელი ათეული და მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან აქციაში“.

1943 წლის 13 ოქტომბერს ქართველები, პოლონელებთან ერთად, თავს დაესხნენ მტრის გარნიზონს დაბა ცეპელიუვში და გამოიჩინეს განსაკუთრებული სიმამაცე, პარტიზანებმა დაარბიეს საგუშაგო, მოსპეს რამდენიმე გერმანელი და ნადავლი იარაღით დაბრუნდნენ უკან. ოპერაციისას დაიჭრა ერთი ქართველი პარტიზანი.

1944 წლის მარტის დამლევს ამ რაზმის ორი მებრძოლი პოლონელი „ბაცა“ და ქართველი ილია გაბრიელის ძე (პარტიზანული ფსევდონიმი „სერჟანტი“) ერთად წავიდნენ დაზვერვაზე სკარიშევის რაიონში. ვლ. ბორტნოვსკის სიტყვით, სოფელ ბოროვში მათ ალყა შემოარტყეს ჟანდარმებმა. „გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა“, რომელშიც „გმირულად დაიღუპა“ ქართველი მებრძოლი. მისმა სიკვდილმა „მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა რაზმის პირად შემადგენლობაზე. იმ დღიდან „ბაცა“ ახალგაზრდა პარტიზანებს დაღუპულ ილია გაბრიელის ძეს, როგორც ჯარისკაცული სიმამაცის მაგალითს, ისე უხსენებდა.

მალე „ვეხას“ ქართველები გადავიდნენ სამხრეთ პოლონეთში და ე. წ. სონდეცის ბესკიდის ტერიტორიაზე გაერთიანდნენ საბჭოთა მზვერავ-დივერსიულ რაზმთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივ. ზოლოტარი. 1944 წლის დეკემბერში პარტიზანებმა ააფეთქეს ორი ხიდი და რამდენიმე ათეული ავტომანქანა, ქალაქ ნოვი-სოჩნის დიდი არსენალი და სხვ. ამ ოპერაციების განხორციელებისას მათ გაულიტეს მტრის 3 ათასამდე ჯარისკაცი, 300-მდე კი ტყვედ წაიყვანეს. 1945 წლის იანვარში ივ. ზოლოტარის რაზმის მებრძოლები, მათ შორის ქართველები, საბჭოთა არმიას შეუერთდნენ.

ივ. ზოლოტარის რაზმის მახლობლად, მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძის ტარნუვის მიდამოებში, პოლონელებთან ერთად, იბრძოდა ერთი ქართველი პარტიზანიც. იგი 1943 წლის 15 დეკემბერს გაიქცა კრაკოვის საკონცენტრაციო ბანაკიდან. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ სოფელ პეკარში (ლიშკის რაიონი) ანდრია ოლშოვსკის ოჯახმა შეიფარა. ანდრიას პარტიზანებთან ჰქონდა კონტაქტი და ქართველი სტუმარი 1944 წლის 5 იანვარს გვარდია ლიუდოვას პარტიულ წარმომადგენელს მარტინა ფრანცისკას შეახვედრა. მისი მეშვეობით ჩვენი თანამემამულე პარტიზანი გახდა და რამდენიმე დღის შემდეგ სამ თანამებრძოლთან (ერთი რუსი, ორი პოლონელი) ერთად პირველ დავალებაზეც წავიდა — მათ იარაღი უნდა ეშოვნათ. აფეთქებული მანქანა, მოკლული ერთი უნტეროფიცერი და ორი ჯარისკაცი, 15 ყუთი ვაზნა და 3 ავტომატი — ასეთი იყო ამ წარმატებული აქციის შედეგი.

პირველი ოპერაციის შემდეგ ქართველი პარტიზანი რაზმის ოცმეთაურად დააწინაურეს და თავის ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა დივერსიულ აქტებში: — გზებისა და ხიდების აფეთქებაში, გერმანელთა ეშელონების გადაჩეხვაში, მტრის გარნიზონებზე თავდასხმაში. მისი დამსახურების შესახებ პოლონეთის მუშათა პარტიის კრაკოვის სავოევოდოს 1945 წლის 18 თებერვლის ცნობაში ნათქვამია: „იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ გერმანელთა ღრმა ზურგში, ააფეთქა საომარი მასალით დატვირთული მტრის ეშელონები (300 ვაგონი), ორთქლმავალი, 3 სამხედრო დანიშნულების ხიდი, 40 ავტომანქანა, იარაღის სამი საწყობი, 6 ხიდი, გზები“.

პარტიზანული ჯგუფი მენიას ტყეში

გვარდია ლიუდოვას ვარშავის სავოევოდოს ორგანიზაციამ 1943 წლის ზაფხულში მენიას ტყეში ჩამოაყალიბა პარტიზანული ჯგუფი. მისი მეთაური იყო ალფრედ რინგერი. 11 სექტემბერს მათ შეუერთდა 7 ქართველი, რომელთა ვინაობა უცნობია. არსებობის ექვსი კვირის განმავლობაში ამ ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე დივერსია: 15 აგვისტოს სედლეცეკალუშინის გზაზე თავს დაესხა მტრის ავტომანქანების კოლონას და ხელთ იგდო სხვადასხვა იარაღი; სადგურ დებნე-ველკესთან ააფეთქა ორთქლმავალი (ცეცხლი მოედო ბენზინითა და ზეთებით დატვირთულ ვაგონებს); 23 აგვისტოს, ღამით, დანაღმა რკინიგზა ცეგლოვსა და მენიას შორის — აფეთქდა სატვირთო მატარებელი. მოძრაობა ამ გზაზე 15 საათით შეფერხდა; სექტემბრის დამდეგს პარტიზანებმა აიღეს დაბა ცეგლოვი და წამოიღეს ოკუპანტების მიერ მოსახლეობისათვის ჩამორთმეული დიდძალი ტყავეული და ა. შ. იმავე წლის **12 სექტემბერს სოფელ კიჩკიში ფაშისტებმა ალყაში მოაქციეს პარტიზანული ჯგუფი. უთანასწორო ბრძოლა 4 საათს გაგრძელდა. 22 მეომარი დაეცა მამაცთა სიკვდილით. გერმანელებს „რამდენიმე ათეული მოკლული და დაჭრილი ჰყავდათ“, მხოლოდ ორმა პარტიზანმა შეძლო ალყიდან გასვლა.**

1943 წლის დამლევს ქ. რადომსკის მახლობლად რადომშჩანის რაიონში (კელეცკის სავოევოდო) გვარდია ლიუდოვას რაზმს შეუერთდა ჩენსტოხოვის ტყვეთა ბანაკიდან გაქცეული საბჭოთა ადამიანების ჯგუფი იაკობ სალნიკოვის მეთაურობით. მასში იყვნენ ქართველებიც. ჯგუფმა ოკუპანტების წინააღმდეგ გაბედული ოპერაციები განახორციელა ლოძის სავოევოდოში (ეს რეგიონი უშუალოდ „რაიხის“ შემადგენლობაში ერთიანდებოდა, რაც დამატებით სიძნელეებს უქმნიდა პარტიზანებს, მით უფრო რომ აქ არ იყო ტყის ფართო მასივები.) ამ მხრივ აღსანიშნავია 1943 წლის დეკემბრის ბრძოლა დიაბლო-გურასთან (ოპოჩინის რაიონი), სადაც 50-ზე ნაკლები პოლონელი და საბჭოთა პარტიზანი „ორი

დღის განმავლობაში ზედიზედ იგერიებდა ჰიტლერელთა 200-კაციანი სადამსჯელო ექსპედიციის იერიშებს“, იმავე წლის 24 დეკემბერს ი. სალნიკოვის მებრძოლებმა მოსპეს ხიდი შეპოგიცთან (მდ. ვარტაზე). 1944 წლის თებერვალში მათვე დაიკავეს სადგური ტელკინოვი, ააფეთქეს იგი და რამდენიმე დღით სარკინიგზო მიმოსვლაც შეაფერხეს. საბჭოთა პარტიზანებმა დიდი ბრძოლა გადაიხადეს 1944 წლის 30 ივლისს რადომსკიდან 12 კმ-ზე ე. წ. გიდელსკის ტყეში. აქ ისინი იცავდნენ ლოძის სავოევოდოს კრაიოვა რადა ნაროდოვას არალეგალურ დამფუძნებელ კრებას. მოულოდნელად გამოჩნდა გერმანელთა რაზმი. პარტიზანები ჩაებნენ ბრძოლაში. მტერი დიდი ზარალით უკუიქცა, მაგრამ შეტაკებისას გმირთა სიკვდილით დაეცა რამდენიმე მებრძოლი, მათ შორის, ვლ. გურას სიტყვით, ჯგუფის უფროსი ი. სალნიკოვი და **ქვეგანაყოფის მეთაური გაბედული ნიკოლოზ აკულაშვილი**.

ქართველი ექიმები

პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საპატიოა ქართველი ექიმების წვლილიც. 1943 წლის ზაფხულიდან ოტვოცკის ბანაკში იმყოფებოდა და ტყვეთა ექიმის მოვალეობას ასრულებდა ჩვენი თანამემამულე. იგი პოლონელი ტყვეების მეშვეობით დაუკავშირდა მუშათა პარტიის წარმომადგენლებს ელენე პოლოტნიცკაიას („მარია“) და ანა რუბლევსკაიას. მათი დახმარებით გაიქცა ბანაკიდან და ანტონ პეტრენკოს სახელზე გამოწერილი ყალბი პასპორტით ჩავიდა ლოძის სავოევოდოს ჩენსტოხოვის რაიონში, სადაც შეუერთდა გვარდია ლიუდოვას გენ. ი. ბემის სახელობის რაზმს. აქ ექიმად დაინიშნა, მაგრამ პოლონელ პარტიზანებთან — რიშარდ ნაზარევიჩთან (შემდგომ პროფესორი, ისტორიკოსი), კარელ ზაგურსკისთან, მარიან ცინიაკთან და სხვ. ერთად ხშირად მონაწილეობდა „სადივერსიო ოპერაციებში, ხიდებისა და ეშელონების აფეთქებაში“.

ქართველი ექიმი იყო იაზოვის (ვარშავის მახლობლად) ლაზარეთშიც. მან კარგად ისარგებლა გერმანელთა ნდობით და შემოიკრიბა ერთგული თანამემამულენი, რომელთა მეშვეობით ლაზარეთიდან აპარებდა გაჯანსაღებულ საბჭოთა ტყვეებს. მოკლე ხანში ამ გზით თავისუფლებას ეზიარა 200-მდე კაცი, რომლებიც პარტიზანებს მიუვიდნენ. 1943 წლის დამდეგს ქართველი ექიმი და სხვა შეთქმულნი გაიქცნენ ლაზარეთიდან და ჩენსტოხოვ-რადომის რაიონში მოქმედ გვარდია ლიუდოვას მესამე ბრიგადას (მეთაური ვლადიმერ პეტშიკოვსკი) შეუერთდნენ. ქართველი ექიმი აღნიშნულ შენაერთში მივიდა გერმანელებთან გახურებული ბრძოლის დროს და თავისი სამსახურით დიდი ამაგი დასდო პოლონელ მეომრებს.

ქართველები მონაწილეობდნენ ვარშავის 1944 ცნობილ აჯანყებაშიც. ეს საკითხი საერთოდ შეუსწავლელია, რის გამოც მასზე სქემატური ცნობები გვაქვს. ჟურნალისტმა ლ. ხუბულურმა დაადგინა ამ აჯანყების ერთი მონაწილის, პოლონეთის მფრინავ-ოფიცრის (პოლონური არმიის ემიგრანტ ქართელთა მამაცობის შესახებ თავის დროზე მიხ. კვალიაშვილმა წერილობით გვაცნობა (და შემდეგ პრესითაც დაადასტურა): „84 ოფიცერი ვიყავით პოლონეთის არმიაში, რომლებიც ომისა და ოკუპაციის წლებში მონაწილეობას ვიღებდით ბრძოლებში“, მათგან ძალიან ბევრმა „უმაღლესი ჯვრები დავიმსახურეთ“, რის გამოც სხვები „შურის თვალით გვიყურებდნენ“.) **გორელი არკადი სხირტლაძის** 16 წლის ქალიშვილის **ირინე სხირტლაძის** ვინაობა, ოჯახური წრე და, რაც მთავარია, მტერთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობა. ვ. გლიშჩინსკას მოგონებითა და სხვა პოლონური მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ **ი. სხირტლაძე, თავის მეგობრებთან ერთად, დაწყებისთანავე შეუერთდა აჯანყებას, იყო ახალგაზრდული ბატალიონის „ზონტის“ მეკავშირე, მონაწილეობდა მტერთან მრავალ შეტაკებაში, გამოირჩეოდა გაბედულებით. კიდეც ამიტომ იგი „მამაცობის ჯვრით“ დაუჯილდოებიათ. ი. სხირტლაძე დაიღუპა გერმანელებთან ბრძოლაში 1944 წლის 14 სექტემბერს. მან ლუდნის ქუჩაზე №5 სახლთან „არ მიატოვა დაჭრილი პოლონელი პორუჩიკი“ და, „გააფთრებული ცეცხლის“ მიუხედავად, ცდილობდა მის გაყვანას სამშვიდობოზე.** ეს შენიშნა მტერმა და იგი ტყვიებით დაცხრილა. ვარშავის აჯანყებაში ქართველთა მონაწილეობაზე მიუთითებენ პოლონელი ისტორიკოსები ე. რუტკოვსკი და ს. დატნერი. ისინი, მაგალითად, მოიხსენიებენ „ტყვეობიდან გაქცეულ უფროს ლეიტენანტს, ეროვნებით ქართველს“, თბილისელ ისტორიის მასწავლებელს (ვინაობა უცნობია), რომელიც არმია ლიუდოვას შემადგენლობაში ებრძოდა მტერს და ერთ-ერთი შეტაკებისას 1944 წლის სექტემბრის დამლევს დაიღუპა ვარშავის მუშათა რაიონში — ჟოლიბოჟში.

არსებობს ცნობა, რომ აჯანყებაში მონაწილეობდა და დედაქალაქის ერთ-ერთ ბარიკადზე ბრძოლას ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. შემდეგ იგი გერმანელებს დაუტყვევებიათ და სხვა პოლონელ პარტიზანებთან ერთად დაუხვრეტიათ.

ქართველები ცალკე ქვეგანაყოფის (მე-6 სექციის) სახით იყვნენ, აგრეთვე, კანონოვიჩის სახელობის პარტიზანულ შენაერთშიც, რომელიც „პოლონეთის პარტიზანული მოძრაობის ცენტრში“ — ვარშავის ოლქის პრავა პოდმეისკას ოკრუგში მოქმედებდა. აქაურ ქართველებს, პოლონური მასალების მიხედვით, მეთაურობდა და „სიმამაცით გამოირჩეოდა“ ვიქტორ გუჩუა („ვიქტორი“) — მოგვიანებით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ს. კოვპაკის პარტიზანული დივიზია პოლონეთში

დასასრულ, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ს. კოვპაკის პარტიზანული დივიზიის ცნობილი რეიდი პოლონეთში. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ შენაერთში მრავლად იყვნენ ქართველებიც, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი ამ გრანდიოზული ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებაში.

აღნიშნული დივიზია ჩამოყალიბდა იმ ორი დამოუკიდებელი რაზმისაგან, რომლებიც მოქმედებდნენ სუმის ოლქში. გაერთიანების შემდეგ მისი ხელმძღვანელი გახდა ს. კოვპაკი. დივიზიის პირველი მსხვილი საბრძოლო ოპერაცია იყო ე.წ. **„სტალინური რეიდი“** 1942 წლის დამლევს, როდესაც შეუპოვარი ბრძოლებით მტრის ზურგში გაიარა 1600-მდე კმ. ბრიანსკის ტყიდან პოლესიემდე, კერძოდ მდ. პრიპიატამდე. 1943 წლის ზაფხულში დივიზიამ მოაწყო ე.წ. კარპატების რეიდი დასავლეთ უკრაინაში, ხოლო 1944 წლის 8 თებერვალს გადალახა მდ. ბუგი და ცეშანოვას რაიონზე გავლით შევიდა პოლონეთში (ამ რეიდის დროს დივიზიას მეთაურობდა პ. ვერშიგორა, რადგან დაჭრილი ს. კოვპაკი „დიდ მიწაზე“ მკურნალობდა). პარტიზანებმა მძიმე ბრძოლით გაიარეს ჟეშოვისა და ლიუბლინის სავოევოდოები, ვარშავისა და ბელოსტოკის სავოევოდოების აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები და იმავე წლის მარტში კვლავ გადმოვიდნენ ბელორუსიის ტერიტორიაზე. კოვპაკელებმა დაფარეს 2 ათასზე მეტი კმ, გადაიხადეს 138 დიდი და მცირე ბრძოლა, ააფეთქეს 3 ელექტროსადგური და 2 სამხედრო ქარხანა, აგრეთვე 1176 მ. სიგრძის რკინიგზის ხაზი და 2045 მ. სიგრძის სხვადასხვა ტიპის ხიდი, რითაც კარგა ხნით მოშალეს სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა ბილგორაია-ზვეჟინეცის, ლვოვ-კრაკოვისა და ლვოვ-ვარშავის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზებზე; გადაჩეხეს ათობით ეშელონი, გაანადგურეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, ფაშისტური მონობისაგან იხსნეს ათი ათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, მათვე გასწიეს დიდი პროპაგანდისტული მუშაობაც, რითაც გაფანტეს ემიგრანტული მთავრობის მონაჭორი პოლონეთის მიმართ საბჭოთა კავშირისა და მისი არმიის მიზნების შესახებ და სხვ.

დავით ბაქრაძე

რეიდის მონაწილე ქართველებმა, სხვა თანამებრძოლების მხარდამხარ, თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ლაშქრობის სირთულენი. ისინი სხვებთან ერთად დადიოდნენ დაზვერვასა და დივერსიებზე. მონაწილეობდნენ ბრძოლებში და სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ბევრი მათგანი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული გამარჯვებით დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

პოლონეთის ლაშქრობის მონაწილე ქართველთაგან უდავოდ აღსანიშნავია **დივიზიის პირველი პოლკის მეთაური დავით ბაქრაძე.** ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ იგი კოვპაკის შენაერთში მოხვდა. ჯერ მეთაურობდა ბატალიონს, შემდეგ კი დივიზიის სამაგალითო პირველ პოლკს. მტერთან შეტაკებისას გამოირჩეოდა მამაცობითა და გამჭრიახობით, რის გამოც თანამებრძოლთა შორის პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. დ. ბაქრაძე აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის ლაშქრობის მომზადებაში და, როგორც ერთ-ერთმა მეთაურმა, მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მის წარმატებით განხორციელებაში. ვლ. გურა რამდენჯერმე აღნიშნავს პოლონეთში ქართველი კოვპაკელის რეიდისდროინდელ საბრძოლო ეპიზოდებს. კერძოდ, „19 თებერვალს 45 მმ და 76 მმ ქვემეხების ბატარეამ, რომელსაც მეთაურობდა ინჟინერი ბაქრაძე, ცეცხლი დაუშინა ელექტროსადგურს მდ. სანს გაღმა სოფ. პიშნიცას მიდამოებში და ქალაქ სტალიოვა-ვოლიას წყალსაქაჩს“, 20 თებერვალს ღამით მანვე არტილერიის ცეცხლით მოსპო სტალიოვა-ვოლიას საბრძოლო მასალის ქარხანა და გაანადგურა სანზე არსებული ხიდები, რის გამოც მდინარის გაღმა პარალიზებული იქნა ფაშისტური ადმინისტრაცია. დ. ბაქრაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დომბროვიცის (ლიუბლინის დასავლეთით) ბრძოლაში. თურმე მტრის დაზვერვას დაუდგენია, რომ იქ იმყოფებოდა დივიზიის შტაბი და რჩეული მოტო-მექანიზებული ძალებით მასზე იერიში მიიტანა. შტაბს იცავდნენ „ბაქრაძისა და კულბაკას პოლკები“, მტერი ცდილობდა რადაც არ უნდა დასჯდომოდა ხელთ ეგდო იგი და ამ მიზნით „არ ზოგავდა ტყვიებს“, გერმანელების იერიშები იმდენად მძაფრი იყო, რომ პარტიზანები „მთლიანი მოსპობის“ საშიშროების წინაშეც იდგნენ. ამის მიუხედავად ორივე მეთაურმა, საზრიანი მოქმედებით, შეძლო შეტევების მოგერიება და ბრძოლის ველიდან შტაბისა და თავიანთი პოლკების გაყვანაც.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და პოლონეთის რეიდის წარმატებით დაგვირგვინებაში დამსხურებისათვის დავით ბაქრაძეს მიენიჭა გმირის საპატიო წოდება. მოგვიანებით პოლონეთის მთავრობამ მასვე გადასცა უმაღლესი ორდენი „ვირტუტი მილიტარის“ ოქროს ჯვარი ქვეყნის განთავისუფლებაში პირადი დიდი ღვაწლისთვის.

ა. სურგულაძე,

წიგნიდან „ქართველები ევროპის ხალხთა ანტიფაშისტურ მოძრაობაში“, 1995 წ.

«ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ!»

პირველი ქართველი მფრინავი, ავიაციის პოლკოვნიკი
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ
დაიბადა 1893წლის 3 მარტს თბილისში.

გიმნაზისტმა შიუკაშვილმა 1908 წლის 5 მაისს რუსეთის იმპერიაში პირველმა იფრინა თავისი კონსტრუქციის პლანერით, აფრინდა მახათის მთიდან (თბილისი). 1912 წელს შექმნა ორიგინალური კონსტრუქციის თვითმფრინავი „უტკა“, შემდეგ — მოქანავე ფრთებიანი საცდელი თვითმფრინავი. **მან პირველმა მსოფლიოში შექმნა და გამოიყენა სამთვლიანი შასი** (წინა თვალი ასაკეცი ჰქონდა). 1941 წელს დაამთავრა გატჩინის ოფიცერთა საავიაციო სკოლა.

ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ; ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐᲡ; 1923 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

შიუკაშვილი იყო ამიერკავკასიის საავიაციო ფლოტის დაარსების ინიციატორი და მისი ხელმძღვანელი. დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945) ხელმძღვანელობდა სამხედრო-საჰაერო ძალების (სსძ) ობიექტების თავდაცვას. ომის შემდეგ იყო სსძ შტაბის სარედაქციო-საგანონცემლო განყოფილების უფროსი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის (მაი) სამხედრო კათედრის მასწავლებელი. არის მრავალი სტატიისა და წიგნის ავტორი ავიაციის დარგში, მათ შორისაა სახელმძღვანელო „ავიაციის საფუძვლები“ (რუსულ ენაზე).

დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

გარდაიცვალა მოსკოვში 1985 წლის 9 დეკემბერს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მისი დაბადებიდან 115 წლის აღსანიშნავი რუბრიკით **„ჩვენებურები“** დაიბეჭდა ზაურ ფიფიას წერილი, რომელსაც ავტორი ამთავრებს სიტყვებით: **„ასეთი ადამიანების სახელი ხშირად უნდა ესმოდეთ ახალგაზრდებს!“**

ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲓᲐᲜ ᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ

იმ ხანებში ცნობილ ქართველ ავიაკონსტრუქტორზე, საბჭოთა კავშირში ჰიდროთვითმფრინავების პირველ მშენებელზე გიორგი ბერიაშვილზე ტელენარკვევს ვწერდი. მოვიარე პეტრეს ქალაქი, მოსკოვი, ტაგანროგი, ქერჩი, აზოვი და პალიასტომი, სადაც თავის დროზე საცდელ გაფრენებს ატარებდა ბერიაშვილის პირველი ჰიდროთვითმფრინავი — „МБР-2“. ტაგანროგში ავიაქარხნის (მაშინ, კონსპირაციისათვის, უბრალოდ, მანქანათმშენებელი ქარხანა ერქვა), ე.წ. „დაცულ“ განყოფილებაშიც „შევაღწიე“ და ის კინოფირებიც გადმომცეს, რომელშიც პირველი, საცდელი გაფრენები იყო ასახული. მათ უკვე გასვლოდა ყავლი „საიდუმლო“ გრიფისა.

მერე, ეს ზღვა მასალა ერთ დიდ „ხურჯინში“ მოვათავსე და კვლავ მოსკოვს დავუბრუნდი, რათა ბატონ გიორგისთან ერთად დამელაგებინა, შემეჯერებინა ერთმანეთთან და... საწერ მაგიდას მივჯდომოდი.

ორი თვის შემდეგ მოვრჩით „შეჯერებას“. დავიხურე ქუდი და თბილისში ვაპირებში გამომგზავრებას, რომ ბატონმა გიორგიმ ბრძანა:

— ყმაწვილო, ჯერ კიდევ, მეტი თუ არა ერთი კვირა მაინც მოგი-

წევს მოსკოვში დარჩენა... მე, როგორც იქნა, მოვახერხე და, ახლა მოგვეცა უფლება, შეგახვედრო ერთ მეტად საინტერესო პიროვნებას... იგი ღრმა მოხუცებულობაშია გადამდგარი და ბარვიხაში ცხოვრობს განცალკევებით...

იქ გველოდება **ალექსი ვლადიმერის ძე შიუკაშვილი, საბჭოთა ჰაერნაოსნობის უხუცესი ფიგურა!..**

...ბარვიხას სამთავრობო აგარაკები, თითქოსდა, სხვა სახელმწიფო იყოს, მკაცრად არის იზოლირებული გარე სამყაროსგან, მაგრამ სამაგიეროდ აქ არის „მთელი ქვეყანა“ — სანადირო ტყე-ველებიც კი, რადგან აქ „უმაღლესი გვამები“ ატარებენ დროს. ალექსი შიუკაშვილი კი აქ მუდმივად ცხოვრობს!

...მართლაც, ერთი კვირა დამაგვიანდა თბილისში დაბრუნება, სამაგიეროდ ათობით ფოტოკადრი და საინტერესო ამბავი წამოვიღე „საგზლად“.

საქართველოში მფრინავი აპარატების მშენებლობის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კი ამ ისტორიამ ფართოდ გაშალა მხრები და არაერთი წარმატება ჩაიწერა თავის ფოლიანტებში. მათზე საუბარი ამ მცირე საგაზეთო სტატიაში შორს წაგვიყვანდა, ამიტომ 1908 წლის 5 მაისიდან დავიწყოთ:

ამ დღეს გიმნაზისტი ალექსი შიუკაშვილი, რუსეთის იმპერიაში პირველად, თავისი კონსტრუქციის პლანერით მახათასმთიდან გაფრინდა! აქედან დაიწყო შიუკაშვილის „როგორც ავიამშენებელ-ავიატორის ბიოგრაფია და მას შემდეგ, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთი დღითაც არ მიუტოვებია მოღვაწეობა ამ დარგში. მისმა უმტკიცესმა ხასიათმა შექმნა ე.წ. მოძრავფრთეებიანი საფრენი აპარატი „უტკა“. შიუკაშვილმა მსოფლიოში პირველმა გამოიყენა სამთვლიანი შასი, რომლის წინა თვალი ასაკეცი იყო; მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო შორეული აღმოსავლეთის, მოსკოვის, თურქმენეთის საავიაციო ესკადრილიების მეთაური; 1923 წლიდან ალექსი შიუკაშვილის ინიციატივით დაარსდა ამიერკავკასიის საავიაციო ფლოტი. დიდ სამამულო ომში ხელმძღვანელობდა სამხრეთის საჰაერო ძალებს. ომის შემდგომ იყო სამხედრო საჰაერო ძალების საგამომცემლო განყოფილების უფროსი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის („მაი“) სამხედრო კათედრის ლექტორი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი და სტუდია საავიაციო სფეროში.

გიორგი ბერიაშვილი

ალექსი შიუკაშვილი

მოსკოვის ოფიცერთა სახლის დიდ საგამოფენო-სამუზეუმო დარბაზში დღესაც დგას შიუკაშვილის მოძრავფრთიანი „უტკა“ — „მახალიოტის“ მაკეტი და მასთან დიდხანს შეგაჩერებთ გიდი, რადგან ეს დარბაზი ხაზს უსვამს ალექსი შიუკაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობას ავიაციის განვითარებაში.

...ბატონ გიორგი ბერიაშვილთან ერთად ვიდექი ამ „მახალიოტთან“ და ჩვენ თვალწინ იშლებოდა კიდევ ერთი ქართველის ნიჭი.

გამოვედით მუზეუმიდან და ფეხით დავუყევით ქუჩას.

— უნიჭიერესი ადამიანია ალექსი ვლადიმერის ძე, დაუდეგარი და მიზანსწრაფული... იცით, ახლაც, ამ ოთხმოცი წლის კაცმა განცხადება შეიტანა ზემდგომ ორგანოებში, კოსმოსში უნდოდა გაფრენა!.. ხომ ხედავდით, რამხელა ცეცხლი იყო მის გამოხედვაში... **ასეთი ადამიანების სახელი ხშირად უნდა ესმოდეთ ახალგაზრდებს!**

ამიტომაც გავიხსენეთ დღეს ეს დაუდგრომელი კაცი, ოდესღაც მახათას მთიდან რომ ააფრინა თავისი ოცნების შევარდენი.

ზაურ ფიფია

მოსკოვის ოფიცერთა სახლის დიდ საგამოფენო-სამუზეუმო დარბაზში დღესაც დგას შიუკაშვილის მოძრავფრთიანი «უტკა» — «მახალიოტის» მაკეტი და მასთან დიდხანს შეგაჩერებთ გიდი, რადგან ეს დარბაზი ხაზს უსვამს ალექსი შიუკაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობას ავიაციის განვითარებაში.

საეკლესიო ცხოვრება სამამულო ომის პერიოდში



სამამულო ომის წლები იყო ომამდე ძალზე შეზღუდული ქართული ეკლესიის ერთგვარი აქტივიზაციის პერიოდი. 20-იანი წლებისათვის საქართველოს საპატრიარქოში 1500 მოქმედი ეკლესია, 1600 მღვდელი და ამდენივე დიაკონი-წიგნის მკითხველი ითვლებოდა. 1937 წლის 1 იანვრისათვის კი ეკლესიების დანგრევისა და დახურვის შედეგად დარჩენილი იყო მხოლოდ მოქმედი 187 ეკლესია, 203 მღვდელი და 43 დიაკონ-წიგნის მკითხველი. 1937 წელს მრავალი ეკლესია დაიხურა. სამღვდელონი ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოშორდნენ ეკლესიას. ზოგი მრევლმა არ გაუშვა და სთხოვა, ტაძრის გარეშე გაეწიათ ღვთისმსახურება. ისინიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, სახელმწიფოს უხდიდნენ გადასახადს, იძენდნენ სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს, მონაწილეობდნენ ფრონტის დასახმარებლად თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში და ა.შ.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ომის წლებში სათავეში ედგა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. მას უეკლესიოდ დარჩენილი მღვდლების მდგომარეობა მიაჩნდა არაკანონიერად, ამიტომ დაიწყო სამოქალაქო ხელისუფლებასთან მოთათბირება, რის შედეგადაც მიაღწია შეთანხმებას. მღვდლები კათოლიკოსმა აიყვანა აღრიცხვაზე. მათ მისცეს ხელისუფლებასთან ერთად შემუშავებული ფორმის მოწმობა, რომლის წარმომდგენი მღვდელი უფლებამოსილი იყო შეესრულებინა ყოველგვარი ქრისტიანული ღვთის მსახურება და წესები თავისი მრევლისა, აგრეთვე გარეშე პირთა მიმართ, როდესაც ისინი მიმართავდნენ მათ თხოვნით, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა შეესრულებინათ პირობა — თუ მთხოვნელები იყვნენ ისეთი ადგილიდან, სადაც მღვდელი არ იყო და იქ მიიწვევდნენ მღვდელს, ამის შესახებ უნდა ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

ამრიგად, მღვდლები იქნენ რეგისტრირებული და მრევლს მიეცა საშუალება დაეკმაყოფილებინა თავისი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა ნაწილი, რაკი უეკლესიოდ მორწმუნე მაინც რჩებოდა უზიარებელი.

ომის პირობებში ძლიერ გაიზარდა მორწმუნეთა რიცხვი. ეკლესიებში პოულობდნენ ნუგეშსა და სასოებას ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ჭირისუფალნი.

1943 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან დაარსდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომლის კომპეტენცია ვრცელდებოდა მთელი კავკასიის, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. ამიტომ სამრევლოებმა კათოლიკოს-პატრიარქს გადასცეს მოთხოვნები ეკლესიების გახსნისათვის. ეს მოთხოვნები 1944 წლის 10 იანვარსა და 17 თებერვალს გადაეგზავნა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებულს საქართველოში კ. ქადაგიშვილს, რომელმაც აღძრა სათანადო შუამდგომლობა მართლმადებელი ეკლესიის საქმეთა საკავშირო საბჭოს წინაშე. **1945 წლის მარტისათვის გაიხსნა სამი ეკლესია — მანგლისში, სტალინირში (ცხინვალში) და ბათუმში, სადაც ამოქმედდა სამების სახელობის ეკლესია. ამ დროისათვის საკათალიკოსოში მოქმედებდა 29 ეკლესია, რომლებშიც მოღვაწეობდა 5 მღვდელმთავარი, 41 ძირითადად მომუშავე მღვდელი, ორი პროტოდიაკონი და 3 წიგნის მკითხველი, ზედმიწერილი 77 მღვდელი და 2 მედავითნე, საკათალიკოსოში ირიცხებოდა სულ ეკლე-**

ქართულმა ეკლესიამ წითელი არმიის დასახმარებლად სახელმწიფო ბანკში შეიტანა 85 ათასი მან.; ხოლო 1944 წლიდან 1945 წლის 26 მარტისათვის ეკლესიების მიერ შეკრებილი იქნა 102 274 მან.

სიის 135 მსახური.

ქართული ეკლესია ომის წლებში მონაწილეობდა თავდაცვის ფონდში პირად და მორწმუნეთა შორის შეგროვილი თანხების შეტანით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ი. სტალინს 1942 წლის 5 ივნისის ტელეგრამით აუწყა, რომ **ქართულმა ეკლესიამ წითელი არმიის დასახმარებლად სახელმწიფო ბანკში შეიტანა 85 ათასი მან.; ხოლო 1944 წლიდან 1945 წლის 26 მარტისათვის ეკლესიების მიერ შეკრებილი იქნა 102 274 მან.**

ამრიგად, 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. 31 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მთავარეპისკოპოს ანტონთან თანამწირველობით სიონის ტაძარში შეასრულა საღვთო ლიტურგია. ამ ფაქტით რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად პირველად სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ ამცნო მართლმადიდებელ მწყემსმთავრებს. 1943 წლის 31 ოქტომბერს მოხდა კანონიკურ-ევქარისტული კავშირის აღდგენა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც შეწყვეტილი იყო 1917 წლიდან, როდესაც აღსდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და გამოეყო რუსეთის სინოდს.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე)

1945 წლის იანვარ-თებერვალში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე მიწვეულ იქნა მოსკოვს „ფრიად საპატიო სტუმრად“ სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნებზე დასასწრებად. ამ აქციაზე მიწვეულნი იყვნენ უცხოეთის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურნი, რომელთაგან პირადად გამოცხადდნენ ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები, ხოლო კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, სერბიისა და რუმინეთის საპატრიარქოების წარმომადგენელნი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გაემგზავრა მოსკოვს 1945 წლის 13 იანვარს.

მიტროპოლიტის სერგეის შემდეგ სრულიად-რუსეთის პატრიარქის ალექსის კურთხევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი გენერალი შალვა მაღლაკელიძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „ცნობილია, რომ სტალინმა კალისტრატეს აკურთხებინა სრულიად რუსეთის პატრიარქი“. ამ ფაქტს შ. მაღლაკელიძე იმით ადასტურებს, რომ თვით ჰქონია ნანახი გერმანულ გაზეთებში კალისტრატე რომ ადგამს გვირგვინს ალექსის.

ამ ფაქტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჰქონდა მორალური უფლება რუსეთის პატრიარქის კურთხევისა, ვითარცა ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარს.

აღსანიშნავია, რომ ომის წლებში ქართულად და რუსულად ცალკე ფურცლებზე დაიბეჭდა „ღვთისმსახურების დროს სავედრებელი თხოვნანი“ და „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“ 1945 წლის, წიგნაკი და ტაბულა.

სამამულო ომის დროს ეს ერთგვარი შემობრუნება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისა ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში აიხსნებოდა იმით, რომ ეკლესიამ მხარი აუბა თავისი ხალხის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ სულიერადაც და მატერიალურადაც. თითქოს გაცოცხლდა ისტორიული ტრადიცია იმისა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარში ედგა თავის ხალხს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ასე იყო ამჯერადაც. ეს გარემოება ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას გათავისებული ჰქონდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების მხარდამხარ.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარში ედგა თავის ხალხს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ეს გარემოება ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას გათავისებული ჰქონდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების მხარდამხარ.

ფარაჯიანი პოეტები

საინტერესო ფრონტული პოეზია შექმნეს ქართველმა მებრძოლმა პოეტებმა, მათ საკუთარი სისხლით დაიცვეს ჩვენი სამშობლოსა და ხალხის თავისუფლება, არასოდეს ავიწყდებოდათ ორი რამ: სამშობლოსათვის თავდადება და ლექსი.
ომი ადამიანების რიცხვს ამცირებს, გმირების რიცხვს კი ზრდისო, ამბობენ. ეს ჭეშმარიტება ყველაზე უფრო შთამბეჭდავად დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში გამომჟღავნდა. აქ აშკარად გამოჩნდა მრავალეროვანი და მრავალმილიონიანი სახელმწიფოს ხალხების გმირული სული. მარტო ციფრების ენით რომ ვისაუბროთ, ისიც კმარა.
ქართველმა პოეტებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს სამამულო ომში ისინი, როგორც კალმით, ისევე ხიშტით იბრძოდნენ ვერაგი მტრის გასანადგურებლად. მათი ლექსების მღელვარე სტრიქონები მეომრებს ამხნევებდა. თავიანთი ლექსების გმირებთან ერთად ისინიც გაუყვნენ ომის ძნელ გზას და ბევრმა მათგანმა საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ დამარცხებული რაიხსტაგის თავზე.

შალვა ამისულაშვილი

შალვა ამისულაშვილისთვის ომის სინამდვილე მკაცრია. ეს სიმკაცრე იგრძნობა მის ლექსებში: პოეტისათვის ომის დღეების ხსოვნა არ იბინდება. ამის გამოა, რომ პოეტს, 1971 წელს გამოსულ კრებულშიც „ლექსები სამშობლოზე“ შეაქვს ლექსი „უცნობი ჯარისკაცის გახსენება“.

აქ მოხსნილია ყოველგვარი წინაპირობა, თითქოს თარიღიც არ აწერია ლექსს, მაგრამ მის შინაგან მდინარებაში კი ნათლად ამოიცნობა დროცა და გმირის სახელიც:

შენ მოსკოვის კარიბჭესთან
დაეცი,
მიგაბარეს იქვე საძმო
საფლავს,
სამშობლოსთვის ფოლადივით
დალეწილს
კრემლის კალთა გაფარია
ახლა...
... გუშაგები დგანან,
დგანან ძეგლებად
ყარაულში კარაბინით ხელში;
შენი სუნთქვა მათ სუნთქვაში
გრძელდება,
ყინვაა თუ თოშიანი თქეში.

შ. ამისულაშვილის ლექსში „ორი ობელისკი“ ოსტატის ხელითაა გამოკვეთილი დაღუპული ძმის, ქართველი მეომრის ღრმად განზოგადოებული სახე. ყოვლად შეუძლებელია ამ ლექსის ლირიკული გმირის დავიწყება, დავიწყება იმ გმირული და ხიფათიანი გზისა, რომელიც მან გაიარა საქართველოდან ბოლო სანგრამდე, იმ ადგილამდე, სადაც დაეცა, სადაც მისი ობელისკი დადგეს.

მახსოვს, როცა სამშობლოში
ვბრუნდებოდი,
გზად შევჩერდი,
აღარ ეცხო ლოდებს სისხლი,
ბუდაპეშტში მშობლიური
მზრუნველობით,
აღემართათ მარმარილოს
ობელისკი.
ზედ ეწერა ოქროსფერი
ასოებით:
„აქ უმუხთლა ბედმა მზვერავ
ჯარისკაცებს“,
სადარაჯოდ შემორტყმოდნენ
გარს ლომები
და ხეივნებს გაჰყურებდნენ,
ჯანღით სავსეს.
სახელგანთქმულ ციმბირელთა
გვარებშორის
გულმართალი ქართვლის
გვარიც ანათებდა.
ძმა ვიხილე ვალმოხდილთა
სამეფოში,
თვით სიკვდილშიც ამაყობდა
ამაყებთან...

პოეტს, იქვე, მეორე ლექსში, რომელსაც „**ქართველი მეომრები**“ ჰქვია, ორიგინალური ხერხი აქვს გამოძებნილი მეომრის ფიქრთა გამოსახატავად:

ქედიდან ქედზე ქვემეხების
გრიალი ატყდა,
უღრუბლო სივრცეს ეფინება
გუგუნი მძაფრი,
და საქართველოს მობრიალე
დროშების ალყას
უძლეველობას უდასტურებს
ყოველი ზალპი...

...წელიწადობით უწივლია ქარს
ხიშტის წვერზე,
წელიწადობით უწვიმიათ
სისხლიან წვიმებს.
თავქვეშ ბალიშად უნაგირი
გვდებია ბევრჯერ,
გვილახავს ღამე სიკვდილზე
მძიმე...

ომგადახდილი პოეტი წერს თოფზე, ქვემეხზე, მუზარადზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, მაგრამ ეს არის ლექსი, რომელიც სულის სიმებს შეურხევს ყველას, იმათაც, ვისაც ომი უნახავს და იმათაც ვისაც სხვათა გადმოცემით ან წიგნებიდან გაუგიათ ომის შესახებ. ეს ჭეშმარიტი პოეტის თვისებაა... ერთ-ერთ ლექსში — „მუზარადი“ ასეთი აზრია გატარებული: ხეზე შერჩენილ მუზარადში ჩიტებს ბუდე გაუკეთებიათ. ამ ამბავს პოეტური დასკვნა მოჰყვება. იმ საგანში, რაც ომისათვის იყო განკუთვნილი, დღეს მშვიდობას ჩაუბუდებია, სიცოცხლეს გაუხარია.

აკაკი გეწაძე

აკაკი გეწაძე ცნობილი მწერალია. მისი რომანები და მოთხრობები შეიყვარა მკითხველმა. მისი შესანიშნავი პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ მრავალგზისაა პრემირებული. ძლიერ გახმაურდა მისი პროზაული ნაწარმოებები ომზე. მაგრამ აკაკი გეწაძე ლექსებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. იგი სტალინგრადში ნაბრძოლი კაცია. მისი შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს სამამულო ომის თემებით ნასაზრდოები ლირიკა წარმოადგენს. ლექსები „დუნაისთან“, „ბორცვი“, „ფარაჯიანი ლექსები“ მართლაც რომ ხმალამოღებული მეომრებია, სადაც ჯარისკაცი პოეტი სამშობლოს სადარაჯოზე დგას და ვაჟკაცობას, ნამუსიანობას, შეუდრეკლობას ლირიკული ხმით განადიდებს.

გულში ჩამწვდომი მწუხარებითა და პოეტური სისადავით აქვს გადმოცემული აკაკი გეწაძეს ძმის დაკარგვის ამბავი ლექსში „სულში შრიალებს იმედის ოლე“:

ჰა, ოცზე მეტი გაფრინდა წელი,
მინდვრად ბალახი ბევრჯერ
გადახმა.
ომში დაკარგულს მე ისევ გელი,
გელი, გეძახი, ძმაო, სადა ხარ?
...ზეცა უძირო, ზეცა მოწყალე,
სავსეა ჩემი ფიქრთა ღრუბლებით...
ჩემს გულში მაინც ხომ
ხარ ცოცხალი,
ჰოდა, ჩემს გულში გესაუბრები.

მეტად ორიგინალური პოეტური საღებავებით იპყრობს ყურადღებას „ჩემი ასეული“. აქაა დიდი ტკივილი, გამოწვეული მხარდამხარ მდგომი მეგობრის დაცემით. ეცემა ერთი, ეცემა მეორე. ასეული მაინც წინ მიდის. რისხვით ანთებული მათი სახეები სხვებსაც მოუწოდებენ, ანადგურონ მტერი, მოსპონ მისი ფესვი და ძირი, არ დაინდონ ვერაგი ფაშისტი, რომელმაც მოისურვა ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის ბინძური ჩექმით გათელვა. წინ მიდის ასეული. სპობს და ანადგურებს ფაშისტებს. და აი, აქ, საოცრად გულში ჩამწვდომად ისმის ბრძოლის ველზე მყოფი პოეტის ნათქვამი:

სიცოცხლით გული
მან ვერ იჯერა;
სიმღერით გული მან ვერ იჯერა.
მე გავაგრძელე მისი სიცოცხლე,
მე გავაგრძელე მისი სიმღერა...
და თუ ოდესმე ისევ წამოვა
ვერაგთა ურდო ჩვენზე საომრად,
მნახეთ ფარაჯით
კვლავ შემოსილი,
ტყვიების ცეცხლში ასჯერ
ნავალი...
და თუ დავეცე, სამშობლოსათვის
ჩემი სიცოცხლე იყოს ალალი.
დაცემულს ნურვინ
ნუ შემიცოდებს,
პოეტს ბრძოლაში
სიკვდილიც შვენის:
თქვენ გააგრძელეთ
ჩემი სიცოცხლე,
თქვენ გააგრძელეთ
სიმღერა ჩემი.

ვასილ გვეტაძე

სითბოთი და ოსტატობით გამოირჩევა ვასილ გვეტაძის ომზე დაწერილი ლექსები, რომლებიც უფრო ტკივილია ომში განცდილი, ფიქრები.

საინტერესო ლექსია „საპუნგორაზე“. პოეტი ლირიკოსის თვალით ხედავს ქართველთა საფლავის ბორცვებს:

გახსნილ ჭრილობას
რა გაამთელებს,
გულის ქვად ქცევა ვის გაუგია...
შეხედე, ველზე სძინავთ
ქართველებს
და მაზარები თავქვეშ უგიათ.

ვასილ გვეტაძის წიგნი „შემოღამება საპუნგორაზე“ პოეტური გაცოცხლება და გახსენებაა ომში დაღუპული ახალგაზრდა კაცისა. ოციოდე წლისა არც კი იყო ის ჭაბუკი, სევასტოპოლში, საპუნგორაზე რომ დაეცა. ახლა ამ ადგილებზე ნაძვები და ფიჭვები შრიალებენ. ამ შრიალში თითქოს უკვდავება სუნთქავს, სიჭაბუკე ცოცხლობს.

ლექსის ყოველი ცალკეული მონაკვეთი გვაახლოებს გმირი ჭაბუკის სულთან, გვაახლოებს იმ პიროვნებასთან, რომელშიც ვხედავთ ჩვენი არმიის რიგით ჯარისკაცს, ძლიერს, მედგარს, შეუდრეკელს. ზემოთ აღნიშნული ციკლის ლექსებიდან განსაკუთრებით ძლიერია „საპუნგორა“:

ძირს მოწრიალე ზვირთების
ცემით
ზღვა თავის ბოღმას ნაპირს
აღვრიდა,
და საპუნგორა — ფარივით თხემი,
წითლად ღუოდა კვლავ სიმაღლიდან.

„სერჟანტი — ოცი წლის ბიჭი“ ბალადისათვის დამახასიათებელი პოეტური ხერხებითაა დაწერილი. წინა პლანზეა წამოწეული ლექსის ლირიკული გმირის შინაგანი სამყარო, გრძნობა, რომლითათაც გაჟღენთილია მისი სული. იგი ეცემა ბრძოლის ველზე, ეცემა სამშობლოსათვის, ქვეყნის გადარჩენისათვის. აქაა პოეტური სახეები, სხარტი და ოსტატური შედარებები. პოეტი სიმართლეს წერს. არ აუბრალოებს ფრონტზე დაცემული მეომრის სულისკვეთებას ბოლო წუთებში.

ამ რწმენისა და აზრის გამგრძელებელია და ბევრის მთქმელია ვ. გვეტაძის ლექსი „ჩვენ ვართ ძეგლები“. ამ ლექსში პოეტმა ხმა აღიმაღლა იმათ წინაშე, ვისაც ჰგონია, თითქოს ფრონტზე ჩვენი ახალგაზრდები სიცილით, განათებული სა-

ხეებით კვდებოდნენ, თითქოს ისინი სიხარულით ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს:

არა, ტყუილია... ცივი, შემზარავი,
არავის გვინდოდა სიკვდილი,
არავის.
და თუკი ვკვდებოდით,
ვკვდებოდით ვაშათი,
სიმწრით ვეყრდნობით სულსა
და ხორცსაცა.
უთოვლო რიჟრაჟო,
შენ რომ არ გაშავდი,
ჩვენ მტერმა ამისთვის
სიცოცხლე მოგვტაცა.

ამბობს პოეტი და ლექსის ყოველ სტრიქონში ხატოვნად იკვეთება სახე გმირი ჭაბუკებისა, რომლებიც ვაჟკაცურად კვდებიან, კვდებიან ბრძოლის წინა ხაზზე, სანგრების წინ, ყუმბარებით დათხრილ მინდორზე, საყვარელი სამშობლოს დასაცავად. და აი, ომში დაღუპულები ამბობენ თვითონ (ეს ერთგვარი პოეტური ხერხია და ძალზე ეფექტურიც):

შეხედე: რამდენი
ზედ სანგარს დააკვდა,
ეს მიტომ, რომ შუქად
სიცოცხლემ იდინოს.
ჩვენ მოვკვდით, მაგრამ ჩვენს
ფუძეს და ნააკვნარს,
ვერასდროს, ვერასდროს
ვერ მოკლავ, სიკვდილო!

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ სტრიქონების დამწერი კაცი, ბრძოლაგამოვლილია. იცის მან, როგორ ეწირებოდნენ ადამიანები ქვეყანას. აქ მახსენდება კონსტანტინე სიმონოვის სიტყვები: ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ იმით, რომ ფრონტებზე არ ვიყავით, როგორც ჯარისკაცები. ეს თქვა დიდმა რუსმა მწერალმა, რომელიც ფრონტზეც იყო, ომიც ნახა, მაგრამ ომში იყო, როგორც სამხედრო კორესპონდენტი.

ალექსანდრე გომიაშვილი

ალექსანდრე გომიაშვილის შემოქმედებაში, მის სულიერ სამყაროში, სისხლხორცეულად არის შედუღაბებული მშობლიური მთების, ცადაწვდილი მყინვარების, მორაკრაკე ნაკადულების, მხნე, რაინდ მონადირეთა მამაცობა. თუ არა მთები, სიმღერას რა გამაბედინებდაო, — ამბობს პოეტი:

არა და არა, სილაღით სავსე
მხოლოდ მთებია სიმღერის დედა,

და ვით არწივებს,
მყინვარის თავზე
ჩემთა წინაპართ აჩრდილებს
ვხედავ.

რაზეც უნდა ეწერა, იგრძნობოდა არწივისებური შემართება, ქარიშხლების შხუილი, წყალვარდნილების სტიქია, რაც ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა მგოსანმა. ა. გომიაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი ნიმუშია „წუთისოფელი“:

მაინც რა არის წუთისოფელი,
სიცოცხლე წუთით
ვის მოსწყინდება?!
შენი მზე — სულის მანათობელი
როდესაც ქვეყნად
გამობრწყინდება, —
მაშინ გაჩნდება სიბერეც მწველი,
თვალთა გუგებში შუქი ბინდდება,
და ჭაბუკს ქვეყნად
არც გიცხოვრია,
სული ჩიტივით გაგიფრინდება.

„ეს ლექსი დაფიქრებაა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულობაზე. მაგრამ ყოველივე ამქვეყნიურის წარმავლობში ულმობელი კანონზომიერების ასეთი სევდიანი განცდა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში სულიერი განიარაღების, დაუძლურებისა და დაცემულობის საშიშროებას კი არ ბადებს, არამედ ცხოვრების გონივრული მოწესრიგების, გააზრებული აქტივობის, შეგნებული მოქმედების მისწრაფებას“, — წერდა ამ ლექსის შესახებ კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

წუთი რა არის ამ საწუთროში,
რა უნდა იყოს წუთისოფელი?!
მაგრამ რადგანაც დღისით
და ღამით
წამი წამწამთა არის მსწრობელი,
უნდა მზესავით გაანაწილო
აწმყო დრო —
სულის მანათობელი,
რომ შეედავოს საუკუნეებს
შენგან განვლილი წუთისოფელი.

ეს ლექსი ეხმაურება ნ. ბარათაშვილის ბრძნულ სტრიქონებს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

როგორც კი ევროპის შუაგულში ფაშიზმი აღმოცენდა და მმართველობის სადავეები იგდო ხელთ, ა. გომიაშვილმა ზიზღით ამხილა ბარბაროსთა ბოროტება პუბლიცისტურ პოემაში „ისევ ეძახიან გერმანიას“.

აჰა, დაჰბერა ქარიშხალმაც,
ჩაქრა ვარსკვლავი,
ღამის წყვდიადის ნაპრალები
ნაპრალებს ხრავენ.
— ჰიტლერ, ჩაძაღლდი!
დგება ღამე უკანასკნელი,
უკანასკნელი რეაქციის
ვალპურგის ღამე!

ომის დაწყებისთანავე პოეტმა მეომრის ფარაჯა გადაიცვა და სხვა მეგობრებთან ერთად ფრონტს მიაშურა. სწორედ ბრძოლის ქარცეცხლში შექმნა მან ისეთი ლექსები, როგორიცაა: „სამშობლოსათვის“, „მოსკოვი“, „ყირიმი — 1942“, დიდი მღელვარებით დაწერილი ლექსი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „დარიალის ბალადა“ და „საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში“.

ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახე გამოძერწა პოეტმა ლექსში „საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში“, სადაც საბჭოთა ჯარისკაცი სიმბოლური ხატია მშვიდობისა.

ახლა დგას მაღლა რაიხსტაგის
ნანგრევთა შორის
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული
მისი სახება
და ვით გუშაგი სინათლისა,
დღისით და ღამით
ის ბერლინიდან სტალინგრადის
ვარსკვლავებს ხედავს.
ხედავს, ილიჩის ნათურების
ნათელ ციალში
ახალ კაშხალებს გაუშლიათ
არწივის ფრთები, —
დგას სტალინგრადი
ომგადახდილ ვოლგის სილაში,
რკინის ჯებირებს ამაგრებენ
გოლიათები.

ბორის მირცხულავა

დასასრული
შემდეგ ნომერში

27 აპრილი დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღეა

გულთასრული კაცი

„ვინც კი სარწმუნოებას შეურყევლად ადგია, ვისაც გონება ისე აქვს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვირველება საკვირველებას დაჰყვეს, არ შეირყევა აღსარება მისი, რომ ღმერთი არის ყოვლის შემძლებელი, ყოვლის დამმყარებელი, ძლიერებით ყოვლად გარეშე უწერელი, ყოველ ზომასა და განსაზღვრების გარეშე მყოფი“.

დიმიტრი ყიფიანი

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიტერატორი და მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს გორის მახლობლად, სოფელ მერეთში. შვიდი წლის ობლის გაზრდა ძმამ იკისრა.

დიმიტრი ყიფიანმა სწავლა სასულიერო სემინარიაში დაიწყო, 1830 წელს დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე დაინიშნა მასწავლებლად.

დ. ყიფიანი იმთავითვე გამოირჩეოდა მრავალმხრივი ცოდნითა და ნიჭიერებით. 16 წლის ჭაბუკი გიმნაზიაში ქართულსა და რუსულ ენებს, არითმეტიკასა და გეოგრაფიას ასწავლიდა. მუყაითობისა და ნიჭიერების წყალობით კარიერაშიც სწრაფად წაიწევდა წინ, რომ არა 1832 წლის შეთქმულება. 18 წლის ყიფიანი შედარებით მსუბუქი ბრალდებით, რომ „შეთქმულთა განზრახვაზე თანხმდებოდა“, დააპატიმრეს და სასჯელიც შედარებით მსუბუქი გამოუტანეს — ვოლოგდაში გადაასახლეს. მისივე მემუარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყიფიანის შეთქმულებაში მონაწილეობა „თავისუფალი მსმენელის“ სტატუსს არ გასცილებია: დადიოდა შეკრებებზე, მეტწილად დუმდა და გამომსვლელებს უსმენდა. ერთხელაც შეკითხვაზე: „რას ფიქრობთ?“, უპასუხა: „სულ ვფიქრობ, რით დაბოლოვდება ყველაფერი“, შედეგად, ერთ-ერთმა შეთქმულმა მას „მოსაწყენი კაცი“ უწოდა.

გადასახლებამ ერთხანს შეაფერხა ნიჭიერი ახალგაზრდის სამსახურეობრივი კარიერა, თუმცა იქაც შეძლო, საგუბერნიო მმართველის მდივნობამდე მიეღწია (1835).

1837 წელს საქართველოში დაბრუნდა. ამ დროიდან 1864წლამდე მთავარმართებლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ის კავკასიის მეფისნაცვალმა 1845 წლის ოქტომბერში თავისი კანცელარიის დირექტორად დანიშნა და კოლეგიის მრჩევლის ტიტული მიანიჭა; მომდევნო პერიოდში დ. ყიფიანი მეფისნაცვლის საბჭოს წევრად (1862 წლამდე) დაინიშნა, რაც იმ დროისთვის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო; 1859-1867 წლებში მუშაობდა სამეგრელოს მთავრის ქონება-მამულის მეურვედ; 1864-1870 წლებში — თბილისის გუბერნიის, ხოლო 1885-1886 წლებში — ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენაში; სათავეში ედგა ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალურ ფრთას; 1876-1879 წლებში იყო თბილისის ქალაქისთავი.

ეს „ნამსახურობის სია“, ერთი შეხედვით, იმპერიის სამსახურში ჩამდგარი კაცის მოღვაწეობის შესანიშნავი ნიმუშია. რაღა ერთი შეხედვით, ასეც იყო. მიაჩნდა, რომ, არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ რუსეთის იმპერიის ძლევამოსილი ფრთის ქვეშ შეეძლო მის სამშობლოს მშვიდად ეცხოვრა და განვითარებულიყო, წინსვლის საფუძვლად კი კეთილსინდისიერი შრომა მიაჩნდა. გულწრფელად ფიქრობდა, რომ ასე უნდა ეცხოვრა და ქვეყნის წარმატებასაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ყიფიანის ნააზრევში ქვეყნის, საზოგადოების განვითარების თაობაზე, პროგრესული იდეები სჭარბობს. იგი ემხრობოდა სათავადოების საკუთრებაში არსებული ვრცელი მამულების დანაწილების დაჩქარებას და ცალკეული მემამულეების სრულ კომლობრივ საკუთრებაში მათ გადაცემას; მომხრე იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ევროპულ ყაიდაზე რადიკალური გარდაქმნისა.

ის გვევლინება საადგილმამულო ბანკისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთ ინიციატორად და სულისჩამდგმელად, ზრუნავს ქართული ბიბლიოთეკის დაარსებაზე, ანუ **მისი თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით ხორციელდება ის უმნიშვნელოვანესი პროექტები, რომელთა საშუალებით მე-19 საუკუნის საქართველო გადაგვარებას გადაურჩა.**

დიმიტრი ყიფიანი „მამების“ თაობას მიეკუთვნებოდა, რომლებთანაც, არცთუ უსაფუძვლოდ, ვერა და ვერ თანხმდებოდნენ „შვილები“, ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ... არა დიმიტრი ყიფიანთან. **ყიფიანი ის იშვიათი გამონაკლისი იყო, რომელიც თითქოს განგებამ მოავლინა, რათა თაობებს შორის გაბმული ძაფი არ გაწყვეტილიყო...**

დიმიტრი ყიფიანი — უაღრესად პატიოსანი და ერთგული ბუნების, არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე და უპრეტენზიო ადამიანი, სრულიად მიუდგომელი, ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ ფიცხი, მოუთმენელი, უკანმოუხედავად თავგანწირული იყო მაშინ, როდესაც მის მრწამსს შეეხებოდნენ.

როგორ თავსდებოდა ერთ პიროვნებაში ეს თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი თვისებები?

ამას ილია საუკეთესოდ განმარტავს: **„იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“. დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი, იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა სთქვა, როცა გული „არას“ ამბობს. „მართალიო, — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, — ის კი არ არის, რომ კაცმა სთქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ ისა, რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო“. ცხადია, რა კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთასრული კაცი“.**

ეროვნულ საკითხში ყიფიანისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ისტორიულ უფლებას, რომელსაც ქართველ ხალხს ანიჭებდა 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი. დიდი იყო ყიფიანის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, მის ეროვნულ კონსოლიდაციაში. მისი სწრაფვა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად, საზოგადო-პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის ფართო გზაზე გასაყვანად სრული გაგებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა ხალხში.

დ. ყიფიანი ფლობდა რამდენიმე უცხოურ ენას და იცნობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურას. ლიტერატურილი მოღვაწეობა ყიფიანმა თარგმნით დაიწყო. 1841 წელს მან თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1896წ.); 1851 წელს დაიბეჭდა მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი გ. ერისთავის „გაყრა“; 1857 წლიდან თანამშრომლობდა „ცისკარში“; აქვე დაიბეჭდა ჟანლისის, ოქტავ ფელიეს, მოლიერის, შექსპირის, ბომარშესა და სხვების თხზულებათა თარგმანები, 1882 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა „ახალი ქართული გრამატიკა“, რომლის გამოცემას იმ პერიოდში არა მარტო პრაქტიკულ-პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

ყიფიანს ეკუთვნის ლექსი — პასუხი ვახტანგ ორბელიანის მიძღვნის ლექსზე — „ძველი მეგობრობის პასუხი“ (გაზეთი „დროება“, 1883წ., ფსევდონიმით ბაქარ ქართლელი), აგრეთვე, მემუარები რუსულ ენაზე (1884-1885).

სამსახურს ჩამოცილებული, 72 წლის ყიფიანი მეტწილად საკუთარ მამულში, ქვიშხეთში ატარებდა დროს. მიმსვლელი და მნახველი არ აკლდა. სპეციალური დურბინდიც გაიჩინა — აივანზე გადამდგარი შორიდანვე თვალს ჰკიდებდა მომავალ სტუმარს და უკვე ბინაზე მოსულს გაშლილ სუფრას ახვედრებდა. ბოლოს აკაკი ესტუმრა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, ქართველთა მოძულე პავლე ჩუდეცკი გამოასალმა სიცოცხლეს. ამის გამო ეგზარქოსმა პავლემ ქადაგების დროს დაწყევლა ის „წრე და გარემო“, რომელმაც მკვლელი შვა. ეს მთელი ერის დაწყევლის ტოლფასი იყო. ეკლესიაში შეგროვილმა წარჩინებულმა ქართველობამ პროტესტის ნიშნად ტაძარი დატოვა. სულ ეს იყო, რაც გაბედეს. ამ უმაგალითო შეურაცხყოფის ამბავი ყიფიანმა ქვიშხეთში გაიგო. აღშფოთებულმა იქიდანვე გაუგზავნა წერილი ეგზარქოსს, რომელშიც მისთვის ჩვეული ტაქტითა და პირდაპირობით მოუწოდებდა იმ ქვეყნის დატოვებისკენ, რომლის შვილებსაც, ლოცვის ნაცვლად, წყევლიდა. ეგზარქოსმა წერილი მთავარმართებელს მიურბენინა. დიმიტრი ყიფიანს, მღვდელმთავრის შეურაცხყო-

ფისთვის სტავროპოლში გადასახლება გადაუწყვიტეს. როგორ შეხვდა ამ ამბავს წლებით დამძიმებული მოხუცი? **„მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. სიცილით მითხრა: ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობა, უკეთეს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდი. ერთი საუკუნეა, ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა. დე, პირველი მერცხალიც მე ვიყო. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვა“,** — იგონებდა მისი სულიერი სიმხნევით მოხიბლული **აკაკი.**

გაემგზავრა სტავროპოლს, საიდანაც დაბრუნება არ ეწერა. იქ, აკაკის თუ დავესესხებით, „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“.

დიმიტრი ყიფიანის ცხედარს ქართველები საბურთალოს მიდამოებში (მაშინ ქალაქგარეთ) დახვდნენ. თურმე, ხალხი დამუნჯებულა და ვერავინ ხმას ვეღარ იღებდა, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ეთქვათ ან რა მოემოქმედათ. იდგნენ მტვრიან შარაზე დაზაფრულები. ამ სიჩუმეში კუბოსთან ქუთაისში მოღვაწეობის დროს მისი მოადგილე დავით ნიჟარაძე მისულა და ამოუთქვამს: ვაი ჩემს თავს, რომ ცოცხალი ვარ და შენ კი მაგ კუბოში გხედავო. ამან ხალხი გონს მოიყვანა და მცირე პარაკლისის შემდეგ პროცესია ქალაქისკენ დაიძრა. განზრახული ჰქონდათ გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) ქუჩის გავლით ასულიყვნენ მთაწმინდაზე. მსვლელობას წინ სამღვდელო პირები და ცხენზე ამხედრებული რამდენიმე ხმალამოღებული ქართველი მიუძღოდა.

1887 წლის 8 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანის ნეშტი მთაწმინდის მიწას მიაბარეს. მის ხსოვნას უძღვნა **აკაკი წერეთელმა** „განთიადი“. 1894 წელს თავად-აზნაურთა ბანკის კრებამ მხცოვანი მოღვაწის საფლავზე ძეგლის აღმართვა დაადგინა. ძეგლის მოდელი 1898 წელს დაამზადა სკულპტორმა ფ. ხოდოროვიჩმა, ხოლო თეთრი მარმარილოს ბიუსტი მოდელის მიხედვით იტალიაში გააკეთებინეს. ძეგლი 1899 წლის 24 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა.

2007 წელს საქართველოს საპატრიარქომ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა.

აკაკი წერეთელი
განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

დღევანდელობა ახალ ეკონომიკურ მექანიზმს მოითხოვს

საქართველოს ეკონომიკას დიდი ჩამორჩენა აქვს და ძალინ უჭირს. ეს. დღითიდღე თვალსაჩინო ხდება. არადა, ქვეყანა რომ გაძლიერდეს და გამთლიანდეს, ხალხის ცხოვრების დონე რომ ამაღლდეს და სტაბილური გახდეს, დემოგრაფიული სიტუაცია რომ გამოსწორდეს და სოციალური პრობლემებიც მოგვარდეს, ამის ძირითადი საყრდენი და საფუძველი სწორედ რომ ეკონომიკაა.

ეკონომიკის განვითარება, არსებული და ახლად შესაქმნელი პირობებისა და პოტენციური შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებისა და სოციალური მოთხოვნების თანხვედრის პრინციპს ემყარება.

დღევანდლამდე, ამის რეალიზაციას დიდი წინააღმდეგობები ახლდა თან. გაუმართავი და ხშირ შემთხვევაში მიუღებელი ეკონომიკური მექანიზმი თვალშისაცემ და აშკარა დისპროპორციებს ქმნიდა და ახლაც ქმნის, გამოუყენებელი რჩება დიდძალი რესურსი და საშუალება, ამას თან ახლავს ფარული (და არა ჩრდილოვანი — როგორც ზოგიერთი ხმარობს არასწორად) ეკონომიკა და იქმნება არაბუნებრივი, ძალად შექმნილი წრედი, რომლიდანაც თავის დაღწევა თადათან უფრო ძნელდება.

გარკვეული მიღწევები არის, მაგრამ, მძიმე ეკონომიკური ვითარება სახელმწიფომ ჯერ ვერ დაძლია. მეჩვენება, რომ ეკონომიკა არასწორი სისტემური მოდელით იმართება, კარგად არ არის დანახული პრიორიტეტები, დასაბუთებულად ვერ არის შერჩეული მისი რეალიზაციის გზები.

ეს იმის ბრალია, რომ **მთავრობა ჯეროვნად და ეფექტურად ვერ (ან, არ) იყენებს მეცნიერულ პოტენციალს, მათ კვალიფიციურ და აკადემიურ რჩევებსა და რეკომენდაციებს.**

ასე კიდევ დიდხანს რომ გაგრძელდეს, სულ მოკლე ხანში დაიკარგება ის ძალა, დიდი ტრადიციები, დაგროვილი მდიდარი გამოცდილება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის აღდგენასა და განახლებას ათეული წლები დასჭირდება. საქართველომ ამ თვალსაზრიზით უკვე განიცადა დიდი დანაკარგი და ჩამორჩა დროის მოთხოვნებს.

ამას წერტილი უნდა დაესვას. ხალხი უნდა დაირაზმოს და განიმსჭვალოს ახალი სულისკვეთებით, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავამსხვრიოთ ძველი და რუტინული, დავძლიოთ წინააღმდეგობები და საქართველოს ეკონომიკა მყარად დავაყენოთ ახალ, პერსპექტიულ მაგისტრალზე.

ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, მთავრობის დონეზე შეიქმნას (გინდაც დროებით) საგანგებო, სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარების სტარტეგიული ამოცანის შესრულებაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მრავალვარინტული, ოპტიმიზირებული პროგნოზების შემუშავების გზით.

საქართველოს შეუძლია, ძლიერი ეკონომიკისა და მაღალგანვითარებული ქვეყანა გახდეს. ამის საფუძველს იძლევა:

— მრავალმხრივი და უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობები (საგულისხმოა, რომ საქართველოში გვხვდება თიქმის ყველა ტიპის ნიადაგი, რაც განფენილია მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე), ამასთან აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალებას იძლევა დაბლობ ადგილებში, წელიწადში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ორი-სამი მოსავალი მივიღოთ;

— მდიდარი ჰიდროლოგიური პოტენციალი (საქართველოში 25 ათასი დიდი და მცირე მდინარეა, რომელთა ენერგიასაც რაციონალური გამოყენება სჭირდება);

— მეურნეობის გაძღოლის მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციები, რომე-ლიც ცალკეული ზონის მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება;

— საუკუნეების მანძილზე გამოყვანილი და ჩვენს პირობებს მორგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალპროდუქტიული, ენდემური და აბორიგენული ჯიშები (ხორ-ბლის, ვაზის, ხეხილის და სხვა);

— მდიდარი, მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებადი, მსოფლიო დონის რეკრე-აციული რესურსები, წიაღისეული მარაგი, ტყის რესურსები, მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა და ა.შ;

— მდიდარი ინტელექტუალური (მეცნიერული, კულტურული და სხვა) პოტენციალი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა;

* საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ ჩამოვაყალიბო რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომლის სრულყოფითაც უნდა დავიწყოთ საქართველოს ეკონომიკის ახალ რელსებზე გადაყვანა და რომელიც ამავე დროს დინამიურად და სტაბილურად უნდა ვითარდებოდეს;

* ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი ამოცანაა თანამედროვე პრი-

ნციპებზე და რეალურ პირობებზე მორგებული, გამართული და კომპლექსური ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება.

გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ ქვეყანას მართავს არა პრეზიდენტი და მთავრობა, არამედ ეკონომიკური მექანიზმი. სახელმწიფოს მეთაური როგორ მიმართულებასაც აძლევს ეკონომიკურ მექანიზმს, ისეთივეა მისი როლი და ავტორიტეტი საზოგადოების წინაშე.

ეკონომიკური მექანიზმი ყველას ერთნაირად როდი ესმის.

ეკონომიკური მექანიზმი, როგორც წარმოების პროცესის სამართავი სისტემა, უცილობლად მოიცავს: ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, საფინანსო-საბანკო სისტემას, ფასებსა და ფასწარმოქმნას, საგადასახადო მექანიზმს, ეკონომიკურ სტიმულირებას, მენეჯმენტს (სხვადასხვა დონეზე), საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს (კავშირებს), საბაზრო სეგმენტების გაჯერების საექსპორტო-საიმპორტო პროპორციებს, ინოვაციურ და მეცნიერტევადობის დონეს (ამას მე ვთავაზობ), ნორმატიულ, სამართლებრივ აქტებს, სტანდარტებს და ა.შ.; ეკონომიკურ მონიტორინგს და სხვა სპეციფიკაციებს.

აი, რა რთული სისტემაა, რომლის მართვაც საკმაოდ ძნელია, ამიტომაც აქვს ხოლმე ჩავარდნები ეკონომიკას.

ერთი ფილოსოფიური ნათქვამის ინტერპრეტაციისა არ იყოს, **აიღეთ ხელში ეკონომიკური ბერკეტი და თქვენს ჭკუაზე ატრიალებთ ეკონომიკას.**

ეკონომიკურ მექანიზმში უნდა გამოიყოს საგადასახადო სფერო და უნდა ითქვას, რომ ჩვენთან იგი თითქმის თავიდანაა ასაგებ-გასამართი. საგადასახადო კოდექსი უნდა მოერგოს დროის მოთხოვნებს, სხვადასხვა სპეციფიკას, ამასთან მარტივი, ადვილად გასაგები, დაუძაბავად შესასრულებელი უნდა იყოს.

საერთოდ, ეკონომიკური მექანიზმი, როგორც იტყვიან, დროს უნდა მისდევდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სრულყოფა დინამიური პროცესია;

— რეკომენდაციას ვიძლევი მმართველობის სფეროს გასამარტივებლად, იმ თვალსაზრისით, რომ შემცირდეს და, შესაბამისად, გამსხვილდეს სამინისტროები და მათი შიგასტრუქტურული ფორმირებები;

— პრიორიტეტული სფეროა სოფლის მეურნეობა. ეს დარგი ყოველთვის იყო და უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკის საერთო სურათის შემქმნელი. მის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა ედოს მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრეთვე, ტექნოლოგიის მიღწევები.

— ცნობილია, რომ ძირითად წარმოებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურას — სერვისის სფეროს. ამ მხრივ, ჩვენ დიდი ჩავარდნები გვაქვს. საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს აგროტექსამსახური, აგროქიმსამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, სატრანსპორტო სამსახური, სოციალური მომსახურება და სხვა;

— პრივატიზაციის პროცესმა გარკვეული დაღი დაასვა საქართველოს სოფლის მეურნეობას. ეს გარდაუვალი ეტაპი იყო, მაგრამ ყურადღებიდან გამოგვრჩა პარალელური ინტეგრაციის პროცესის საჭიროებაც. ახლა ინტეგრაციის პროცესი მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა, ამიტომ, **ახლებური მიდგომით უნდა გადავწყვიტოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინტეგრირებული საწარმოო და ინფრასტრუქტურული ფორმირებების, რეგიონული სპეციფიკის შესაბამისად ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.**

— ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ადგილობრივი წარმოების ნედლეულისთვის საბაზრო სივრცის დათმობა, მათთვის კონკურენტუნარიანი, მარკეტინგული გარემოს შექმნა. ამაში ეკონომიკური ბერკეტები უნდა დაგვეხმაროს. საიმპორტო გატაცებამ ადგილობრივი წარმოება არ უნდა ჩაახშოს. ამ საქმეში სწორი ეკონომიკური ალღოს აღება და გამართლებული გადაწყვეტილებების მიღება გვჭირდება.

— განსაკუთრებული პრიოპიტეტი უნდა მიეცეს მეცნიერებას. მიჩნეულია, რომ ქვეყნების სიძლიერის ერთ-ერთი პარამეტრი მეცნიერტევადობაა, რომელიც ჩვენთან ძალზე დაბალია. სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ის მთავარი, რაც ქვეყნის ეკონომიკას სჭირდება.

მეცნიერის სტატუსის შესაბამისად სახელმწიფომ ვალდებულება უნდა აიღოს და მმართველობის მორგებული მეთოდებისა და სათანადო სამართლებრივი ბაზის საფუძველზე მეცნიერი უზრუნველყოს ცხოვრებისა და შემოქმედებითი მეცნიერული მოღვაწეობისათვის რეალურად აუცილებელი ხელფასით; ხელი შეუწყოს მისი, როგორც სახელმწიფოსათვის მნიშნელოვანი ფიგურეს, სამუშაო პირობების, მორალური და ფსიქოლოგიური, ასევე საპენსიო უზრუნველყოფის დონის ამაღლებას;

— პრიორიტეტული სფეროა ტექნოლოგიური გარდაქმნები. XXI საუკუნე ტექნოლოგიების სრულყოფის საუკუნეა. ჩვენი ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი გასაღები სწორედ ტექნოლოგიურ არსენალში დევს. ტექნოლოგიური სრულყოფა, ყველგან და ყველაფერში — ასეთი უნდა იყოს ჩვენი მოწოდება. ტექნოლოგიურ სფეროში განსაკუთრებით გამოიყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლის გარეშეც ეკონომიკის წინსვლას დიდი ზღუდე შეექმნება. შეიძლება ითქვას, რომ ახლა, ეკონომიკა ისე გადაეჯაჭვა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რომ ეკონომიკის პრობლემები მის გარეშე უკვე აღარც განიხილება. ამის გამოძახილია თანამედროვე გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ინტეგრაციასთან ერთად ინფორმაციულ ტექნოლოგიებზეც აღმოცენდა. უკვე მკვიდრდება ტერმინი „ეკონომიკური ტექნოლოგიები“.

საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის პრიორიტეტები, როგორც წესი, გზადაგზა კიდევ გამოიყოფა, რასაც მეცნიერული დაკვირვება და გაანალიზება, ამასთან, საბაზრო ეკონომიკის მოტივაციურ მექანიზმში ჩაღრმავება სჭირდება.

ომარ ქეშელაშვილი,
აკადემიკოსი

იური ტინიანოვი

ტიციან ტაბიძის ოჯახში წლების განმავლობაში თავს იყრიდნენ პოეზიის ქურუმები. ტიციანისა და მისი მეუღლის — ნინო მაყაშვილის მეგობრები იყვნენ ბელი, ესენინი, ბალმონტი, ზაბოლოცკი, პასტერნაკი, ფადეევი... ნინო მაყაშვილმა-ტაბიძემ, ამ საოცარმა ქალმა, მათთან გატარებულ ყოველ წუთს დავიწყების ბურუსი არ მიაკარა და ერთ საინტერესო წიგნად შეკრა. გთავაზობთ ამონარიდს ამ წიგნიდან, რომელსაც „ტიციანი და მისი მეგობრები“ ჰქვია.

1933 წელს თბილისში იური ტინიანოვი ჩამოვიდა. ჩვენს ბინაზე დარეკა და ტიციანი იკითხა:

— ტიციანი შინ არ არის, ვინ კითხულობს?

როცა ტინიანოვმა მითხრა, ვინც იყო, მაშინვე შევიპატიჟე, ტიციანი სადაცაა დაბრუნდებამეთქი. იური ნიკოლოზის ძე შემოვიდა. მე და ტინიანოვი ერთმანეთს გავეცანით.

მის სახეს ხშირად თბილი და კეთილი ღიმილი აცისკროვნებდა, ყურადღებას იქცევდა მისი ძლიერი, ღრმა და გულშიჩამწვდომი თაფლისფერი თვალები.

ტინიანოვი გაოგნებული დარჩა, როცა ჩვენი ნაცნობობის პირველ წუთებიდანვე მე უეცრად ვუთხარი:

— იცით, თუ გსურთ, რომ ჩვენ დავმეგობრდეთ, მაშინ გულახდილად უნდა გაგანდოთ, რა მომწონს თქვენს რომანში „ვაზირ-მუხტარის სიკვდილი“ და რა — არა.

ჩანს, იური ნიკოლოზის ძეს ძალიან იშვიათად უხდებოდა ამ გზით ადამიანების გაცნობა. მან მხრები აიჩეჩა, ჩაიღიმა და თქვა:

— გისმენთ.

— კი მაგრამ, როგორ შეგეძლოთ დაგეწერათ, — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დავიწყე მე, — რომ გრიბოედოვი, ახვერდოვასთან ყოფნისას, მეტად ინტელიგენტურ და განათლებულ ხალხში ტრიალებდა, მისი დენშჩიკი გრიბოვი კი უფლისწულებთან ერთად იჯდა და ღვინოს შეექცეოდაო. სხვათა შორის, ქართველი უფლისწულები ძალიან განათლებულები იყვნენ, იცოდნენ მრავალი ენა: თურქული, სპარსული და სხვა. ბევრი მათგანი ცნობილი მწერალი და ისტორიკოსიც გახლდათ. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ისინი მდაბიო კაცს იუკადრისებდნენ, არამედ იმისი, რომ თავიანთი ინტელექტით და განათლებით ახვერდოვას წრეს, არათუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ უფრო მაღლაც იდგნენ მასზე. და კიდევ ერთი: ერთგან თქვენ აღნიშნავთ, რომ გრიბოედოვმა ნინოს დედას შეხედა და გაიფიქრა, მოხუცებულობის ჟამს ნინოც აუცილებლად ასეთი იქნებაო, ცნობილია, რომ ნინო ალექსანდრეს ასული სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ლამაზი იყო.

ტინიანოვი ძალზე ყურადღებით მისმენდა და, როცა ლაპარაკი დავამთავრე, ღიმილით მომმართა:

— ტიციანმა უკვე მომწერა ეს შენიშვნები, მე მათ სავსებით ვიზიარებ!

აი, ამ საუბრიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

დამამახსოვრდა ქართველ მწერლებთან ერთად ტინიანოვის მოგზაურობა წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მოსანახულებლად. დავათვალიერეთ მუზეუმი და პარკი, შემდეგ თელავში გავემგზავრეთ. ქალაქში დიდი ბაზრობა იყო გამართული. შემდეგ ყველამ სახინკლეში შევუხვიეთ. რატომღაც ჩანგლები მოიტანეს, იური ნიკოლოზის ძემ ხინკალს ჩანგალი ჩაარჭო, წვენი დაიქცა, ყველამ გაიცინა და ტინიანოვს სიცილ-სიცილით ხინკლის ჭამა ასწავლეს: ხინკლის ორივე ხელით დაჭერა და წვენის ამოხვრეპა. ნატო ვაჩნაძე ფაქიზად უჩვენებდა, თუ როგორ კეთდება ეს.

როგორღაც სადილი გაგვიგრძელდა. მგზავრობით დაქანცული ტინიანოვი ნელ-ნელა წამოდგა და ხრამს მიადგა, სადაც ძველ ნანგრევებადქცეულ ეკლესიასთან გრძელი სკამი იდგა, სკამზე წამოწვა და ჩათვლიმა. ყველა, ვისაც მაგიდასთან ჯდომა მობეზრდებოდა, დგებოდა, სარგებლობდა ასეთი უწყინარი საბაბით:

— წავალ, ტინიანოვს მოვძებნი!

უკვე გვიანი შემოდგომა, ნოემბრის დასაწყისი იყო, მაგრამ მზიანი, ნათელი დღეები იდგა. გვეჩვენებოდა, თითქოს თექის ხალიჩებზე მივქროდით, ფეხქვეშ ყოველნაირი შეფერილობის ფოთლები გვეგებოდა, ხასხასა წითელიც კი.

ტინიანოვთან ერთად შუამთაც მოვიარეთ, ვნახეთ იქაური დაბურული ტყეები. ამის მერე ტიციანის მშობლიურ სოფელში გავემგზავრეთ.

ერთხელ იური ნიკოლოზის ძე გიორგი ლეონიძესა და ტიციანთან ერთად მამადავითის მთაზე ავიდა, გრიბოედოვის საფლავი მოინახულა, დიდხანს იდგა ჩუმად

საფლავის გისოსებთან და თვალზე თურმე ცრემლი მოადგა, მარწმუნებდა ტიციანი.

მწერლები ჩვენთან თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ. ტიციანი ბევრს ჰყვებოდა შამილის შესახებ. იგი შამილზე რომანის დაწერას აპირებდა, კითხულობდა მის მიერვე შეგროვილ მასალას. ტინიანოვი კი პუშკინის ცხოვრებაზე მიკვლეულ მისეულ საინტერესო ცნობებს გვიზიარებდა, ლაპარაკობდა თავის ახალ ჩანაფიქრზე — რომანზე პუშკინის შესახებ. საღამოები მხიარულად და საინტერესოდ ილეოდა. მხოლოდ სერიოზული ლაპარაკით არ ვკმაყოფილდებოდით, ამ შეხვედრებს დიდ ხალისს მატებდა მწერალი სერგო კლდიაშვილი, რომელიც ძალზე სასაცილოდ ხან ჰამლეტის მამის აჩრდილს წარმოადგენდა, ხან იტალიელ მათხოვარს, ხანაც ცეკვავდა მომაკვდავ გედს. ტინიანოვი შემდგომში ტიციანისადმი მოწერილ წერილში იგონებდა ამ ამბავს.

მალე ტინიანოვი ლენინგრადში დაბრუნდა. ტიციანმა შემდეგი წერილი მისწერა მას:

„10 დეკემბერი, 1933 წელი.

თბილისი.

ძვირფასო იური ნიკოლოზის ძევ!

ნიკოლოზ ტიხონოვი და ოლგა ფორში მოგითხრობთ თბილისში გატარებულ ერთ თვეზე. მე და ბორის პასტერნაკს განსაკუთრებით გვწყდებოდა გული, რომ თქვენ ჩვენ გვერდით არ იმყოფებოდით.

ბედმა გაგვიღიმა, რომ თქვენ ადრე ჩამოხვედით და მოხერხდა მშვიდად გვესაუბრა და დავმეგობრებულიყავით, ჩვენ კი თქვენი შეყვარებაც მოვასწარით.

ჩემი მეგობრები მოუთმენლად ელიან, რომ სიტყვას არ გატეხთ და ზაფხულში ჩვენთან ჩამოხვალთ, ალბათ, ზაფხულს პასტერნაკიც საქართველოში გაატარებს.

რუს მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლით ერთი კარგი საქმე მოგვარდა. ამას, ალბათ, მოგიყვებიან, მაგრამ თქვენი წინადადება „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველი რომანტიკოსების დასტამბვის თაობაზე, აქ, ჩვენთან, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება (იგულისხმება მოგვიანებით, სახელდობრ, 1940 წელს „საბჭოთა მწერლის“ მიერ „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული წიგნი „ქართველი რომანტიკოსები. ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი“. რუსი პოეტების თარგმანითა და ნ. ტიხონოვისა და ნ. ტინიანოვის რედაქციით). თუ აქამდე პასუხს ვაყოვნებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა, ეს გამოცემა შეთანხმებული ყოფილიყო თარგმანების საერთო გეგმასთან, რომელიც ბრიგადის მიერაა შემუშავებული და ოფიციალურად გაფორმებული. ამ დღეებში „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველი რომანტიკოსების გამოცემის საკითხს განათლების კომისარიატის კოლეგიაზე განიხილავენ და თქვენ სხდომის ოქმს მიიღებთ, რომელშიც თქვენთვის საინტერესო ორგანიზაციულ საკითხებზე ამომწურავი პასუხი იქნება გაცემული.

თქვენ ბევრი რამ გაკავშირებთ საქართველოსთან, მაგრამ ეს წამოწყება ჩვენ უფრო მეტად გვაკავალდებულებს, გულითად მეგობარს მადლობა ვუთხრათ.

გთხოვთ, არ დაგვივიწყოთ და გაგვახაროთ წერილით.

გკოცნით და გეხვევით.

თქვენი ტიციანი“.

მალე პასუხი მივიღეთ:

„ლენინგრადი, 17.11.34.

ძვირფასო ტიციან!

მოხარული ვარ, რომ ნინო ალექსანდრეს ასულთან ერთად მალე გვესტუმრებით. მოუთმენლად მოგელით. თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდი უკვე გამომცემლობას გადავეცი და „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ყველა სიხარულით გაეცნო მას და ქართველი რომანტიკოსების ღირსეულად გამოცემისათვის ყველაფერს იღონებენ. ოღონდ ყველა დააფიქრა თქვენმა ცნობამ, რომ მასალის დიდი ნაწილი თქვენ მიერ გამომცემლობა „საბჭოთა ლიტერატურაში“ გამოსაცემ წიგნში შევა. საქმე ისაა, რომ „პოეტის ბიბლიოთეკას“ და გამომცემლობასაც სურთ გამოსცენ სხვებისაგან განსხვავებული, თვითმყოფადი წიგნი, რამენაირად ორივე გამოცემის განსხვავებული ვარიანტები უნდა მოხერხდეს.

უღრმესი მადლობა, რომ ანთოლოგიის გამოცემის კომიტეტის წევრად ამირჩიეთ. თქვენ კარგად იცით, თუ როგორ მაინტერესებს და მიყვარს ქართული პოეზია.

ზაფხულში მეუღლესთან ერთად თითქოს მართლაც ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას. დიდი სიამოვნებით ვიგონებ საღამოებს, როცა სერგო დავითის ძე ჰამლეტის მამას წარმოადგენდა!

გულითადი სალამი ნინო ალექსანდრეს ასულს. ჩემი მეუღლე და შვილი თქვენ დაუსწრებლად გიცნობენ და ძალზე მოხარული იქნებიან თქვენი ნახვისა. პასტერნაკებს თავს მდაბლად ვუხრი, ხომ არ ჩამოვლენ თქვენთან ერთად?

გეხვევით, ჩემო მეგობარო!

თქვენი ი.ტ.

P.S. თვის ბოლოს, 27-ში ან 28-ში ოთხი დღით ქალაქიდან გასვლა მომიწევს, როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ამან ჩვენს გეგმას ხელი არ შეუშალოს“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ტინიანოვს სსრკ მწერლების პირველ ყრილობაზე შევხვდით. ტინიანოვი, ტიციანი, ბაბელი მაშინ მალე დამეგობრდნენ და დროს ყოველთვის ერთად ატარებდნენ. იური ნიკოლოზის ძე თბილისს იხსენებდა, განსაკუთრებით ლოლა შენგელაიას, რომლითაც იგი მოხიბლული იყო და კიდევ ერთხელ თბილისში ჩამოსვლას იფიცებოდა.

ყრილობის შემდეგ ჩვენ მისგან კიდევ ერთი წერილი მივიღეთ.

„დეტსკოე სელო. 28. 12. 34.

ძვირფასო ტიციან!

დაიჯერებთ — მხოლოდ ავადმყოფობას შეეძლო შეეშალა ჩემთვის ხელი, რომ თქვენ მშვენიერ

წერილზე მაშინვე არ მეპასუხა. თქვენ მიერ გამოგზავნილი სადღეგრძელო ისეთი კარგი და ცოცხალია, რომ მას ჩემს ყველაზე დიდ შენაძენადაც კი ვთვლი უკანასკნელი წლების მანძილზე. დეტსკოე სელოში ვისვენებ, ყოველდღე ვსეირნობ, ვუსაქმურობ. ეს ადგილი ძალიან მომწონს. უფრო დიდ ხანსაც დავყოფდი აქ, მაგრამ უნდა დავბრუნდე.

საბა ორბელიანი მივიღე, რომორც კი გამოვჯანსაღდები, ჩავუჯდები. ჩემი მხურვალე მეგობრული სალამი გადაეცით ნინო ალექსანდრეს ასულს, ელენე მიხეილის ასულს, სერგო დავითის ძეს და ნატოს. ყრილობაზე მის გამოსვლას (კულუარებში) ვერასოდეს დავივიწყებ.

გილოცავთ ასე უეცრად კარზე მომდგარ ახალ წელს და გეხვევით, ჩემო ძვირფასო მეგობრებო.

თქვენი ი. ტინიანოვი“.

ტიციან ტაბიძე და ნინა მაყაშვილი-ტაბიძისა

ტინიანოვთან ძალზე თბილი, მეგობრული შეხვედრები ლენინგრადში ჩვენი ყოფნის დროსაც გრძელდებოდა — იქნებოდა ეს ქართული პოეზიის საღამოები, თუ უბრალო თავყრილობა. ტინიანოვთან სტუმრობისას დრო ძალზე სწრაფად გადიოდა, იური ნიკოლოზის ძე ბევრ ლენინგრადელ მწერალს ბაძავდა. მათ შორის კორნეი ჩუკოვსკისაც.

ტინიანოვებთან მიხეილ ზოშჩენკოს შევხვდით და გავიცანით. თავიდანვე თვალში მომხვდა, თუ როგორ ყნოსავდა იგი თუთუნს, ამით ზოშჩენკო მოხუცებულ ქალს მაგონებდა: როცა ჩემი გაკვირვება გამოვხატე, ზოშჩენკომ თქვა, რომ თუთუნის დაყნოსვა ნერვებს მიწყნარებსო. მითხრა, რომ იგი საშინელი ნევრასთენიკია, ვერავითარ ხმაურს ვერ იტანს და ბინას მხოლოდ იზოლირებულს ეძებს. თან ერთი ამბავი გაიხსენა: მისთვის ბინა მიეცათ, მგონი, „მოიკაზე“. ძალზე გახარებული იყო. ბინა წყნარი, უხმაურო ჩანდა, რემონტის დროს ყველაფერი იღონა, რათა აბსოლუტური სიჩუმით უზრუნელეყო თავი. როცა ყველაფერი გაკეთდა, ფრიად კმაყოფილი ზოშჩენკო თურმე ფანჯარას მიუახლოვდა და, ოი, საშინელებავ! რას ხედავს, მისი ფანჯრები პირდაპირ სამშობიარო განყოფილების ფანჯრებს გადაჰყურებდა. ზოშჩენკომ წარმოიდგინა (იქნებ არა მარტო წარმოიდგინა) ქალების კივილი, ახალშობილთა ტირილი და გააფთრებულმა ფანჯარა მიაჯახუნა. ბინამ მის თვალში უწინდელი სილამაზე დაკარგა და იქ ცხოვრება წამებად ექცა.

ტინიანოვებთან ჩვენ მწერალი ვ. კავერინი გავიცანით, რომელსაც იური ნიკოლოზის ძის და ჰყავდა ცოლად.

ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, ტინიანოვი ვიქტორ შკლოვსკისთან ერთად გვესტუმრა.

ტიციანმა შკლოვსკის უთხრა:

— ერთხელ, გვიან ღამით თქვენს მოთხრობას „დედას“ ვკითხულობდი, მან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემ-

ზე, რომ მაშინვე ნინო გავაღვიძე და თავიდან ბოლომდე ჩავუკითხე მოთხრობა.

მეც დამამახსოვრდა ეს მოთხრობა დედასა და ორ ქალიშვილზე. დედა ის-ის იყო მიიცვალა. ერთი ქალიშვილი ექიმთან წავიდა გარდაცვალების მოწმობის ასაღებად, მეორეს მიცვალებულთან მარტო დარჩენის შეეშინდა, კარი გაიხურა და მეზობელთან შევიდა. ამასობაში ექიმმა თვით გაიხსენა, რომ დებისთვის მოწმობა არ მიუცია და დაბრუნდა. რეკა, რეკა, იმდენ ხანს რეკა ზარი, რომ კარი თვით მიცვალებულმა გაუღო!

ტინიანოვმა, მახსოვს, აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა თითქოს გამოგონილი არ იყო და მაშინ ვიქტორ შკლოვსკიმ თქვა, მოთხრობაში აღწერილი ამბავი მის საკუთარ დედას გადახდენოდა თავს. იგი იმდენად მიეჩვია სხვებზე ზრუნვას, რომ უკვე კლინიკური სიკვდილის შემდეგ ზარის ხმამ მიაღწია მის ჯერ კიდევ მიუმქრალ აზროვნებამდე და ფეხზე წამოაყენა. ამ შემთხვევის შემდეგ ვიქტორ შკლოვსკის დედამ, ექიმთა მეთვალყურეობით, კიდევ ხუთი წელი იცოცხლა.

ტიციანმა აღნიშნა, მოთხრობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, იმიტომ, რომ მეტად ცხოვრებისეულიაო.

— ნინოს, მაგალითად, ასეთივე დედა ჰყავს. თუ ჩვენ რაიმე დაგვჭირდება, რაც არ უნდა დაემართოს, ადგება და მაინც ყველაფერს გაგვიკეთებს!

მეორეჯერ იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვი საქართველოში მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. ერთ ხანს ისინი თბილისში ცხოვრობდნენ.შემდეგ მე და ტიციანმა ბორჯომში წავიყვანეთ. ტინიანოვებს იქაურობა ძალიან მოეწონათ და გადაწყვიტეს, მთელი ზაფხული ბორჯომში გაეტარებინათ ტინიანოვი იქ ძალიან ბევრ ქართულ ოჯახს დაუახლოვდა, მათ შორის მუსიკათმცოდნე ნიკო ჩიგოგიძეს და მის ცოლს — ნინო კოზმინსკაიას, ცნობილ ვიოლონჩელისტს.

«მე გავუგე თბილისს — ეს არის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქალაქთაგანი, იგი მთლიანად ისტორიითაა სავსე. თბილისზე აღა-მაჰმადხანის შავი ნაბდის ლანდი ჯერ კიდევ მოჩანს, ეს საჭურისი დასავლეთელ დამპყრობლებზე ნაკლებ როდი ოცნებობდა ქვეყნების დაპყრობაზე, თბილისის მთაზე კი გრიბოედოვის საფლავია, რომელიც თბილისს და საქართველოს ღვიძლივით უყვართ.»

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის ბრიგადის წევრმა, ტინიანოვმა ბევრი რამ გააკეთა, რათა ქართული ლიტერატურა რუსი მკითხველებისათვის გაეცნო.

ტინიანოვმა რუსულად თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მას ლოლოტა ვირსალაძე ეხმარებოდა, როცა ჩვენ ლენინგრადიდან მივემგზავრებოდით, ლოლოტამ სადგურში მოირბინა და ტიციანმა უკვე დაძრული მატარებლიდან გადმოსძახა ტინიანოვს:

— იური ნიკოლოზის ძევ, გაიცანით, ეს ფოლკლორისტია, ლოლოტა ვირსალაძე, ლამაზია, ჭკვიანიც. იგი უთუოდ დაგეხმარებათ.

და მართლაც, საბა ორბელიანზე მუშაობისას ლოლოტა ტინიანოვს ძლიერ დაეხმარა.

სწორედ ამაზე ლაპარაკობდა 1937 წლის 21 მარტს ლენინგრადში ერთ-ერთ საღამოზე ტიციანი.

„ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიწყებთ, რომ იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვმა, რომელიც თავისი რომანებით დაკავშირებული იყო საქართველოსთან, „ვეზირ მუხტარის სიკვდილში“ ბრწყინვალედ იგრძნო საქართველოს კოლორიტი. მანვე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანი — მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ოსტატი, და არა მარტო საქართველოსი, შეიძლება, მთელი აღმოსავლეთის საუკეთესო მწერალი, ლუდოვიკო მე-14-ის, „მეფე მზის“ კარზე ელჩად მივლინებული მაშინ, როცა „მზე“ უკვე ესვენებოდა. სულხან-საბა ორბელიანი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე დამარხეს. ტინიანოვის მიერ თარგმნილ მის „სიბრძნე სიცრუისას“ მალე მთელი საბჭოთა კავშირი გაიცნობს. იური ნიკოლოზის ძე ამ წიგნის რედაქტორიც იყო. თავის დროზე უფლისწულებმაც ვერ შეძლეს, დიდი მწერლის საფლავზე ქვა დაედოთ და საფლავი დაიკარგა: ახლა სულხან-საბა ორბელიანს მთელი საბჭოთა კავშირი გაიცნობს, რაღა თქმა უნდა, იგი ამის ღირსია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქ, ლენინგრადში, ქართველ რომანტიკოსების წიგნი გამოდის, საქართველოს ოთხი ბრწყინვალე პოეტის კრებული: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის. ამ წიგნის რედაქტორები არიან იური ტინიანოვი და ნიკოლოზ ტიხონოვი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ წიგნი შესანიშნავი გამოვა“.

იმავე საღამოს ტინიანოვმა ილაპარაკა ტიციანსა და მის პოეზიასთან დამოკიდებულებაზე:

„აი, როდის ვნანობ, სულითა და გულით ვნანობ, რომ პოეტი არა ვარ, რომ მე ლექსებს არ ვწერ. მაშინ მე დავწერდი მიძღვნას და ტიციან ტაბიძეს გავუგზავნიდი. აი, როდის ვნანობ, რომ მისეულ ხელოვნებას, შესანიშნავ ხელოვნებას ვერ ვფლობ.

როცა მე ტიციანს ვუსმენდი, მისი ლექსები მესმოდა (სამწუხაროდ, მისი ენა არ ვიცი), თითქოს ხელოვნების ჭეშმარიტ სათავეებთან ვიდექი, მე მისი მესმოდა.

ტიციანი თბილისში ვნახე და ვე-

რასოდეს დავივიწყებ ამ შეხვედრას, მივხვდი, როგორ იბადება მისი ლექსი, მისი ბრწყინვალე პოეზია, რომელიც ჩვენ საქართველოსთან გვაახლოებს და საქართველოს — ჩვენთან.

მე გავუგე თბილისს — ეს არის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქალაქთაგანი, იგი მთლიანად ისტორიითაა სავსე. თბილისზე აღა-მაჰმად-ხანის შავი ნაბდის ლანდი ჯერ კიდევ მოჩანს, ეს საჭურისი დასავლეთელ დამპყრობლებზე ნაკლებ როდი ოცნებობდა ქვეყნების დაპყრობაზე, თბილისის მთაზე კი გრიბოედოვის საფლავია, რომელიც თბილისს და საქართველოს ღვიძლივით უყვართ.

უნდა ითქვას, რომ ტიციანი თავის ქალაქში ისე დადის, როგორც საკუთარ სახლში. იგი თავის ლექსწინარე გრძნობებში (მას კი ასეთი გრძნობები მუდამ ჭარბად აქვს) ისტორიულია. მისთვის ისტორია — ეს თაროზე მიგდებული წიგნი კი არაა, ისტორია მასშია და მასთანაა. ტიციანი ისტორიას გრძნობს, ამიტომაა იგი ასე გასაგები ჩვენთვის, რუს ხელოვანთათვის, რუსული პოეზიისათვის, რომელიც თვითონ ტიციანსაც უყვარს და ესმის კიდეც.

და როდესაც მე მასთან ვიყავი, ყველაფერი ისტორიულ სამოსელში ეხვეოდა, ტიციანთან დღევანდელ დღესაც, საბჭოთა დღესაც ისტორიის სხივი ადგას. ამ საბჭოთა დღესაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვალი ამჩნევია. და ნუ ამტკიცებს ტიციანი, რომ მე ჩავიფიქრე წიგნების გამოცემა, რომლებიც მან ახსენა და რომელთა გამოცემაში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია. რა თქმა უნდა, ეს წიგნები მან ჩაიფიქრა, ეს წიგნები უცილობლად საუბრებისას იშვა, მისი საუბრებისას — ცოცხალი, ჭეშმარიტი პოეტის საუბრებისას. იგი ცხოვრებაშიც ისეთივე პოეტურია, როგორც მისი ლექსები, როგორც კითხვის შესანიშნავი მისეული მანერა, რომელასაც შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტი ფლობდეს.

და თუ დღეს სულხან-საბა ორბელიანი — საქართველოს ბრწყინვალე პროზაიკოსი, და შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსი პოეტები რუსულ ხელოვნებაში შემოდიან და საბჭოთა მკითხველების ბაგეებით მათი სახელები წარმოითქმება, როგორც საკუთარი პოეტების სახელები, ამაში ტიციანს ვეებერთელა დამსახურება მიუძღვის და მე მას, როგორც პოეტს, როგორც ბრწყინვალე ადამიანს, მეგობარს, ჩვენს მეგობარს, ისე მივესალმები".

ტინიანოვმა ტიციანი სწორად აღიქვა. ისტორია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი საფუძველი იყო, ისტორიიდან იგი თანამედროვეობამდე მოდიოდა და ამიტომ თანამედროვეობას განსაკუთრებით მწვავედ და ღრმად გრძნობდა. მრავალი ძაფი აკავშირებდა მას თავის ქვეყანასთან, მის ხელოვნებასთან. არ დარჩენილა საკითხი, რომელსაც ტიციანი არ შეხებოდეს, რაიმე არ დაეწეროს, იყო ეს ძველი მწერლების შემოქმედება, რომლის გამოცემა საჭირო იყო, მუსიკა და კომპოზიტორები, მხატვრები, და მსახიობები, მშენებლები. ყველაფერში, როგორც შეწირული, მთელ გულსა და სულს აქსოვდა და ვისაც არ უნდა მიემართა მისთვის, რუსს, სომეხს, აზერბაიჯანელს თუ უცხოელს, იგი ყველასთან საერთო ენას გამონახავდა და ყველას შთაგონებით ელაპარაკებოდა საქართველოს ისტორიაზე, თანამედროვე საქართველოზე, რომელიც ამდენი საუკუნეების წამების შემდეგ აგრერიგად აყვავდა. **ტიციანის საუბრების შემდეგ მსმენელები საქართველოს, მისი ხალხის განუყრელ მეგობრებად იქცეოდნენ.**

ტიციანი ბევრს მოგზაურობდა და უკან მუდამ მოხიბლული ბრუნდებოდა. მას დანახვის უნარი შესწევდა, შეეძლო დანახულით აღფრთოვანება. ეს გზიდან გამოგზავნილ ღია ბარათზე წაწერილ პატარა წერილშიც იგრძნობა:

„ძვირფასო ნინო!

გუშინ სამარყანდში ჩამოვედი. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ზღაპრული ქალაქია — მთლიანად მეჩეთებითაა მოფენილი. ამ ღია ბარათზე თამერლანის აკლდამაა, რომლის ნახვა ჟრუანტელს მოგგვრის. დავდივარ ქალაქში და შენს ძმას, მიხეილს, ვეძებ, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. გკოცნი ძლიერ შენ და ნიტას. დედას და იოსებს ჩემი მოკითხვა გადაეცი.

შენი ტიციანი.

აპრილი, 1934 წ."

ახლა არ იკითხავთ, ახალგაზრდობა როგორ უყვარდა! ახალგაზრდობის სიყვარული მისი ცხოვრების აზრს შეადგენდა. ტიციანი ახალგაზრდა პოეტების საღამოებზე დადიოდა, უყვებოდა მათ ხელმეორედ გადაკითხულ წიგნებზე. ლაპარაკობდა ლიტერატურის პრობლემებზე. არწმუნებდა მათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილში მონაწილეობის გარეშე პოეზია ერთფეროვანი და კარჩაკეტილია. ახალგაზრდობაც ხშირად მოდიოდა ტიციანთან სახლში და მაშინ იგი თაროდან წიგნებს გადმოიღებდა, პროზაული ნაწარმოებებიდან მათთვის საინტერესო ადგილებს უკითხაუდა. მას დილამდე შეეძლო ახალგაზრდა პოეტებთან მჯდარიყო, მათთან ესაუბრა...

«და თუ დღეს სულხან-საბა ორბელიანი — საქართველოს ბრწყინვალე პროზაიკოსი, და შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსი პოეტები რუსულ ხელოვნებაში შემოდიან და საბჭოთა მკითხველების ბაგეებით მათი სახელები წარმოითქმება, როგორც საკუთარი პოეტების სახელები, ამაში ტიციანს ვეებერთელა დამსახურება მიუძღვის»

ფელიქს ხოდოროვიჩი და თბილისი

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, პერიოდულად აღმოსავლურ თუ დასავლურ ცივილიზაციათა გავლენის სფეროში ექცეოდა, საზრდოობდა მათი მიღწევებით და საკუთარ მდიდარ ტრადიციებთან სინთეზში ქმნიდა თვითმყოფად, ნაციონალურ კულტურას, რომელშიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს სახვითი ხელოვნება ასრულებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და განვითარების ახალ კაპიტალისტურ ფაზაში შევიდა. ფეოდალური ეპოქის იდეურ-ესთეტიკური სისტემა შეიცვალა ახალი აზროვნებითა და მხატვრული მოთხოვნებით, შუასაუკუნეების ფრესკას ჩაენაცვლა ქართული ხელოვნებისათვის აქამდე უცნობი დაზგური მხატვრობა (მოგვიანებით, რელიეფს – მრგვალი ქანდაკება). საქართველოში დაზგური ფერწერის ჩასახვამ პორტრეტული ჟანრის დამკვიდრება განაპირობა, რომელიც იმ დროისათვის ერთადერთი კულტივირებული მიმართულება იყო. ამ ეტაპზე პორტრეტულ ჟანრში შექმნილი ნამუშევრების ავტორები, ხშირად დასავლეთ ევროპისა თუ რუსული ფერწერული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. მათ დიდი როლი ითამაშეს მრავალეროვნული XIX საუკუნის თბილისის მხატვრული ცხოვრების ფორმირებაში, რომელიც ტრადიციულად კავკასიის კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში თბილისში ადგილობრივი, ნაციონალური პორტრეტული სკოლა ყალიბდება, 80-იანი წლებიდან კი საფუძველი ეყრება რეალისტურ ხელოვნებას, ფორმირდება რუსეთსა თუ დასავლეთში განსწავლულ ქართველ მხატვართა ახალი თაობა (რ. გველესიანი; ა. მრევლიშვილი; გ. გაბაშვილი; მ. თოიძე), რომელიც, ერთი მხრივ, აფართოებს შემოქმედებით დიაპაზონს, საფუძველს უყრის მრავალ დარგსა თუ ჟანრს (პორტრეტის გვერდით ჩნდება პეიზაჟი, ნატურმორტი, ისტორიული თუ ყოფითი ჟანრი, თემატური სურათი), ამავე დროს ისწრაფვის სინამდვილის რეალური ასახვისაკენ და უარს ამბობს ტრადიციულ გამომსახველობით ხერხებზე, ეროვნულ ფორმაზე (ეროვნული მხოლოდ თემატიკა, სამოსი, ატრიბუტიკა და ტიპაჟია – დომინირებს თხრობითობა, სიუჟეტი).

დავით ერისთავის ბიუსტი, 1899 წ., მთაწმინდის პანთეონი



დავით ერისთავის ბიუსტის ფრაგმენტი

გუსტავ რადეს ბიუსტი, თბილისი

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ხელოვნებაში მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო სურათი იქმნება. რუსეთში, საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, რუსმა ხელოვანებმა შედარებით სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფ თბილისს შეაფარეს თავი, სადაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ავანგარდული კულტურული გარემოს შექმნისა და დამკვიდრებისათვის. თბილისის არტისტულ კაფეებში, სალონებსა და დუქნებში ჩქეფდა ბოჰემური ცხოვრება. ხელოვნებათა სინთეზში ცოცხლდებოდა თეატრალიზებული გამოსვლები, იმართებოდა ლიტერატურული თუ პოეზიის საღამოები, დისკუსიები მოდერნისტულ მხატვრობაზე. აქ თავს იყრიდნენ მოწინავე ავანგარდულ პოზიციებზე მდგომი რუსი, პოლონელი, ქართველი ხელოვანები, რომელნიც ხატავდნენ თბილისის კაფეებისა და დუქნების კედლებს (ს. ვალიშევსკი; ს. სუდეიკინი; ს. სორინი; ლ. გუდიაშვილი; დ. კაკაბაძე; ძმები ი. და კ. ზდანევიჩები). თბილისში იმ დროისათვის, უკვე დრომოჭმულ აკადემიურ მხატვრობასთან ერთად, არსებობდა ისეთი თანადროული მოდერნისტული მიმდინარეობები, როგორიცაა: სიმბოლიზმი, კუბიზმი, დადაიზმი; გამოიცემოდა ჟურნალები, ფუტურისტული წიგნები (პოლიგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები), რომელთა ავტორი ქართული და ევროპული ავანგარდის სულისჩამდგმელი — ილია ზდანევიჩი იყო. სწორედ ილია ზდანევიჩმა 1921 წელს პარიზში, ემიგრაციის შემდეგ, საზღვრებს გარეთ გაიტანა და მსოფლიოს გააცნო ნიკო ფიროსმანის სახელი.

ალექსანდრე პუშკინის ბიუსტი, 1892 წ. თბილისი

დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი, მთაწმინდის პანთეონი

საუკუნის დასაწყისში საფუძველი ეყრება საქართველოში ქანდაკების დარგის განვითარებას, რომელშიც დიდი წვლილი ახალგაზრდა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ შეიტანა. მან საფრანგეთში მიიღო განათლება და ერთი წელი ოგიუსტ როდენის სახელოსნოში გაატარა, რომელმაც თავისთავად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მომავალი ხელოვანის შემოქმედებაზე. მანამდე კი საქართველოში ქანდაკებებს უცხოელი მოქანდაკეები ქმნიდნენ. ერთ-ერთი მათგანია **ფელიქს ხოდოროვიჩი.**

1858-1863 წლებში ფელიქს ხოდოროვიჩი სწავლობდა მოსკოვის ფერწერის სასწავლებელში. 1863 წელს პოლონეთის აჯანყების თანაგრძნობისთვის იგი სასწავლებლიდან გარიცხეს და კავკასიაში გადაასახლეს. 1864 წლიდან ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში.

1870 წლიდან ხოდოროვიჩი თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ასწავლიდა. მისი სახელი ქართული სამხატვრო სკოლის ორგანიზატორთა შორის მოიხსენიება. ის ავტორია არაერთი ცნობილი ადამიანის ქანდაკებისა, მთიელთა ცხოვრების ამსახველი მისი ჟანრობრივი კომპოზიციები და ბრინჯაოს ქანდაკებები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

1872 წელს მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში სამხატვრო გამოფენაზე წარმოდგენილი ბრინჯაოს ქანდაკებისთვის ოქროს მედალი დაიმსახურა.

ზურაბ ქაფიანიძე — ქართული კინოს ვარსკვლავი

მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე ქართული კინოს ვარსკვლავებს შორისაც კი გამორჩეული იყო თავისი გარეგნობით, ხმით, ქცევით. ვაჟკაცებს განასახიერებდა ეკრანზე და ცხოვრებაშიც ასეთი იყო. დევგმირს ჰგავდა. სტკიოდა ყველაფერი, რაც ქვეყანას და თითოეულ ადამიანს აწუხებდა.

საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზურაბ ქაფიანიძე 1937 წლის 1 აპრილს დაიბადა. რაჭაში დაბადებული ბიჭის ცხოვრება უცნაურად წარიმართა. თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩასაბარებლად ჩამოვიდა, მაგრამ ქუჩაში კინოსა და თეატრის ვარსკვლავმა აკაკი ხორავამ შენიშნა, როცა ამხანაგებთან ერთად იდგა და ხმამაღლა იცინოდა, მერე კაცი გაგზავნა მასთან. როდესაც ზურაბს უთხრეს, ვინ იბარებდა, შერცხვა. ეგონა, რომ ამ უდიდეს არტისტს მისთვის საყვედური უნდა მიეცა. ბატონ აკაკის უკითხავს, სად აბარებდა, არანაირი ტექნიკური ინსტიტუტი, საბუთები ჩემთან უნდა შემოიტანოო. მაშინ აკაკი ხორავა თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო.

ბატონი აკაკი 4 წელი შვილივით ზრდიდა, ყველაფერში ეხმარებოდა, როგორც პროფესიულად, ასევე მატერიალურად. ზურაბს ერთი მამა რაჭაში ჰყავდა, მეორე — თბილისში, აკაკი ხორავას სახით. 1961 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. ხორავამ თავისი საყვარელი მოსწავლე აკაკი ვასაძეს ჩააბარა, რომელიც მაშინ ალექსი მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ასე დაიწყო ზურაბ ქაფიანიძის თეატრალური ცხოვრება ქუთაისში. ეს იყო 1961-1964 წლები. 1964 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი გახლდათ და მისი კარიერა კინოში გაგრძელდა.

მისი პირველი კინოდებიუტი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმ „მიხაში“ შედგა. ამის მერე კი ეკრანზე 50-მდე პერსონაჟი განასახიერა.

მონაწილეობდა ფილმებში: **„ხევსურული ბალადა“, „დათა თუთაშხია“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ღიმილის ბიჭები“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ლონდრე“, „ბებერი მეზურნეები“, „ფეოლა“, „ნერგები“ და სხვ.**

კინოში ოცწლიანი პაუზა ჰქონდა. ბოლოს კი, 2010 წელს, ზაზა კოლელიშვილის ფილმში „ომი და ქორწილი“ ითამაშა.

„წუხელის ბიჭი დაბადებულა...“ – შეუძლებელია ზურაბ ქაფიანიძის წაკითხული ეს ლექსი ერთხელ მოგესმინა და მეხსიერებაში არ ჩაგრჩენოდა. ამ სტრიქონებს განსაკუთრებული ემოციით კითხულობდა. თავად მას ერთი გოგონა და ორი ვაჟი დარჩა.

მსახიობი ახალგაზრდობიდანვე შუმერების კულტურით იყო გატაცებული. ამ სფეროს სიყვარულისა და ინტერესის გამო ფილოლოგიის ფაკულტეტიც კი დაამთავრა. უამრავი კვლევა ჰქონდა ჩატარებული, წიგნიც გამოუშვა. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, ერთ-ერთ გაკვეთილზე მისმა მასწავლებელმა რომ თქვა, ყველა ასო-ნიშანში შინაარსი დევსო. მაშინ ზურას ამაზე გასცინებია. წლები გავიდა და მათ შინაარსზე დაფიქრდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შუმერული ანბანის შესწავლა. მან თავისი კვლევებით იმის დამტკიცება სცადა, რომ ქართველები შუმერების პირდაპირი შთამომავლები არიან.

1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

სიცოცხლის ბოლო პერიოდი საავადმყოფოში იწვა, ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც მის სანახავად იყო მისული, უთხრა, ახლა ქვეყანაში არეულობა და მიტინგებიაო (2011 წლის 26 მაისის ცნობილი მოვლენები იგულისხმა). ისედაც ცუდად იყო და ამ ამბების გამო მისი მდგომარეობა უფრო

ზურაბ ქაფიანიძე:
ვისაც ჩემი შეეშინდება, ე.ი. რაღაც მზაკვრული და არაქართული აქვს ჩაფიქრებული

დამძიმდა. 2 ივლისს სახლში ინსულტით გარდაიცვალა.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზურაბ ქაფიანიძე, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ხმამაღლა გამოხატავდა გულისტკივილს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მსახიობმა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ბოლომდე ამოთქვა თავისი სათქმელი და საქართველოს ფეხზე დაყენების იმედით წავიდა ამ ქვეყნიდან.

ფილმიდან „ვედრება“

ზურაბ ქაფიანიძე:

ამერიკელებმა რაღაც ღარიბები გვნახეს, მოგვჩერებიან, როგორც დურაკებს

— „ვარდების ხელისუფლებამ“ ბოლო 7 წლის განმავლობაში ისე გაათახსირა ქართველი ერი, რისი გაკეთებაც აღა მაჰმად ხანმა ვერ შეძლო. **დღეს საქართველოში ათახსირებენ ქართულ ენას, ქართულ სულიერებას. ათეულობით ათასი ქართველი გააქციეს ქვეყნიდან. ამაზე უარესი საქართველოს არც ერთ ისტორიულ მტერს არ გაუკეთებია.** სააკაშვილის ხელისუფლებამ ისე გარყვნა და გაათახსირა მოსახლეობა, რაზეც საქართველოს ყველაზე საშიში მტერი, მურვან ყრუც კი ვერ იოცნებებდა. დღეს სკოლა სკოლას, უნივერსიტეტი უნივერსიტეტს, ქართველი ქართველს არ ჰგავს. უგუნურმა პრეზიდენტმა ათასობით ღვაწლმოსილი პედაგოგი სახლში დასვა, მათ ნაცვლად კი 21 წლის გაურკვეველი ორიენტაციისა და წარმოშობის ხალხი „ჩამოათრია“ ბავშვების გასარყვნელად. რისთვის ჩამოიყვანეს, რა უნდა ინგლისელ მასწავლებელს ჩვენს სკოლაში? ბავშვებს რომ ტვინი გამოურეცხონ? ჩემს სახლში რომ შემოხვალ და ხმის ამოღების უფლებას წამართმევ, აღარ არის ის ჩემი სახლი. მაგათ ჰგონიათ, მეორედ მოსვლის დროს იესო ქრისტე ტანკით ან ვერტმფრენით ჩამოვა დედამიწაზე, დაარტყავს წრეს თბილისს და რუსთაველზე დაჯდება. წაიკითხონ სახარება, იქნებ, ცოტათი გამოფხიზლდნენ და აზრზე მოვიდნენ, რა ენა გვაქვს და რა ხალხი ვართ.

— დღეს ტელევიზიით ხშირად საუბრობენ მამათმავლობაზე, როგორც ჩვეულებრივ მოვლენაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ასეთი ადამიანები. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს?

— ამერიკისა და ევროპის წამხედურობამ მოგვიტანა ეს საზიზღრობა. ქართველებს თუ გამრავლება და სიცოცხლის გაგრძელება გვინდა, მაგ გზით არ მრავლდება ერი! თუ ერი არ გაამრავლა, რაში მჭირდება მაშინ შვილი? ასეთი ადამიანები, ცოდვებით დამძიმებულები, სიბერეში რომ შევლენ, მომვლელი რომ აღარ ეყოლებათ და მარტო დარჩებიან უპატრონოდ, მაშინ მიხვდებიან, რა შეცდომაც დაუშვეს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.

— არის თუ არა ეს ერთგვარად სახელმწიფო პოლიტიკის ბრალი?

— რა თქმა უნდა, სახელმწიფომ, როგორც მამამ, ისე უნდა მოუაროს თავის ქვეყანას. თუ კარგი მამა ხარ, ოჯახში ამორალობა და გარყვნილება არ უნდა დაუშვა. უბედურება ისაა, რომ თვითონ ხელმძღვანელობაა საკუთარი ქვეყნის მტერი. დღევანდელი ტელევიზიებიც საქართველოს მტრები არიან. ოღონდ დააფინანსონ და, რასაც გინდა, იმას გაგიკეთებენ. კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის უტვინო



ფილმიდან „ნატვრის ხე“

ფილმიდან „ივანე კოტორაშვილის ამბავი“

უფრო მეტი იყო, ვიდრე ჭკვიანი, მაგრამ ერთ ტვინიან კაცს ემორჩილებოდა ყველა. დღეს ერთი ჭკვიანი კაცი ვერ გვეღირსა. ადრე ხალხს უყვარდა ერთმანეთი, საკუთარი ქვეყანა. ერთმანეთს პატივს სცემდნენ, ილია უყვარდათ, რუსთაველი, აკაკი, გალაკტიონი. დღეს ასე აღარ არის. ეს ხალხი რომ არ გეყვარება და არც გეცოდინება, რანაირი ქართველი ხარ, მითხარი?! ჩვენი განადგურება უნდათ და ზოგიერთი ქართველიც უწყობს ამაში ხელს. შეიხედეთ ტელევიზიებში, რავარი გრიალი აქვთ, სად არის აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ლტოლვილების გაჭირვება? რა უხარიათ, ერთი ჩვენც გაგვაგებინონ... ქვეყნის დაქცევა? მუხრან მაჭავარიანს აქვს ერთი ასეთი ლექსი: „ვინც გინდა იყო, გინდ არქიფო თუ გინდა ზაქრო, რა გიხარია, შე შობელ-ძაღლო?“

— საქართველოს და ამერიკის მეგობრობას როგორ შეაფასებთ? რამდენად სასიკეთოა ეს ჩვენი ქვეყნისთვის?

— ამერიკელებმა 2008 წელს რუსეთთან რომ აბურდული ამბავი გვქონდა, ფოთში სამხედრო გემი შემოიყვანეს, იმიტომ, რომ რუსეთი კიდევ უფრო გაეღიზიანებინათ და უფრო გაეაქტიურებინათ საქართველოში რუსების ქმედებები. როგორ ავხსნა ახლა ეს მე? კეთილმეგობრული დამოკიდებულებით?! როგორ ავხსნა ის, ათასობით ამორალური მასწავლებელი რომ შემორეკეს ჩვენს სკოლებში ქართველი ბავშვებისა და ქართული ენის მოსასპობად?! ესაა მეგობრობა?! დღეს მკაცრად აპროტესტებენ, რომ ადრე ყველაფერს რუსული წარწერები ჰქონდა და რუსულის გავლენა იყოო. დღეს რომ ყველაფერს ინგლისური წარწერები აქვს, ამაზე რატომ აღარ ჩივის ის ხალხი?! ის რუსი ფარული მტერი მაინც არ იყო, პირდაპირ იქცეოდა, ამათ კიდე ისეთი მაიმუნური ხერხები აქვთ, ისე დაგვამხობს და დაგვაქცევს, შეიძლება ცოცხალი კი დაგტოვოს, მაგრამ — გაუბედურებული და გასაცოდავებული! მაგათ ჰგონიათ, აღარც რუსთაველი გვყოლია, აღარც თამარი, აღარც აღმაშენებელი, აღარც ილია. ამერიკელებმა რაღამც ღარიბები გვნახეს, მოგვჩერებიან როგორც დურაკებს. დურაკები თვითონ არიან!

— რა უნდა შეიცვალოს, რომ ქართველი ერი საბოლოოდ არ გადაგვარდეს?

— რა და ერთი ღირსეული ქართველი უნდა გამოჩნდეს, რომელიც საქართველოს გადარჩენის საქმეს ჩაუდგება სათავეში. **საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ქართველები, რომლებსაც საქართველოს დღევანდელი ყოფას ტკივათ, ერთგულები არიან სამშობლოსი და საკუთარი ხალხის.** ოპოზიციის იმედიც არ მაქვს. არც ერთხელ არ დამიძახა ოპოზიციამ და მივხვდი, რომ არც ისინი იქნებოდნენ გულწრფელები საქართველოს სიყვარულში და სწორიც აღმოვჩნდი. **ვისაც ჩემი შეეშინდება, ე. ი. რაღაც მზაკვრული და არაქართული აქვს ჩაფიქრებული.** იმედი მაქვს, ღვთის შეწევნითა და წყალობით, გამოჩნდება ვინმე ღირსეული და ფეხზე დააყენებს საქართველოს.

«როგორ ავხსნა ის, ათასობით ამორალური მასწავლებელი რომ შემორეკეს ჩვენს სკოლებში ქართველი ბავშვებისა და ქართული ენის მოსასპობად?! ესაა მეგობრობა?!»

დიდი ბჭობა

დიდმა მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ და სამშობლოს მოამაგემ ვახუშტი ბაგრატიონმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბედუკულმართობამ სამშობლოს მოწყვიტა და მთელი ცხოვრება უცხოეთში გაატარა, მაინც შეძლო ფასდაუდებელი განძი დაეტოვებინა თავისი ქვეყნისთვის.
„ყმაწვილკაცობა მემატიანისა“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც ავტორმა კლავდია დევდარიანმა ვახუშტი ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს მოუყარა თავი. ქვემოთ გთავაზობთ ერთ თავს წიგნიდან, რომელიც მოგვითხრობს, რომ, სულხან-საბა ორბელიანის რეკომენდაციით, სასახლეში „დიდ ბჭობაზე“, რომელსაც უნდა გაერჩია ტყვეთა გაყიდვის საქმე, სრულიად ახალგაზრდა ვახუშტის არა მხოლოდ დასწრების უფლება დართეს, არამედ ერთ-ერთი მდივნის მოვალეობის შესრულებაც დააკისრეს.

ვახტანგ VI

დიდი ბჭობის მონაწილენი სასახლეში იკრიბებოდნენ. სასახლეში დიდი სამზადისი იყო. დიდსა და პატარას დიდი ბჭობა ეკერა პირზე.

სახლთუხუცესს გაჭირვება ადგა, ადვილი არ იყო ამდენი ხალხისათვის ადგილის მიჩენა.

სულხან-საბა სამდივნოს საქმეებს აწესრიგებდა. მისი სურვილი იყო, დიდ ბჭობას ყველა მდივანი დასწრებოდა, ძველიცა და ახალიც. არ უნდოდა, დარჩენოდათ არც ერთი სიტყვა ჩაუწერელი. ამ ბჭობაზე იყო დამოკიდებული მომავალი ბედი ქვეყნისა.

წინაღამით დიდხანს ითათბირეს პაპა ლევანმა, ვახტანგმა და სულხან-საბამ. სულხან-საბამ ვახტანგს ნებართვა გამოსთხოვა, დიდ ბჭობას ვახუშტიც დასწრებოდა, როგორც მდივანი.

— ნაადრევი ხომ არ იქნება, ბატონო სულხან-საბა?! — გაამჟღავნა თავისი ეჭვი ვახტანგმა.

— დიდი ბჭობა ღირსშესანიშნავ ამბად დარჩება ჩვენს მოღვაწეობაში, გაზრდილო ჩემო! მინდა, ვახუშტი დაესწროს ამ ბჭობას, ბევრ რამეს საგულისხმოს გაიგებს. ჟამთააღმწერლის ბედს იმზადებს, დე, მცირე ასაკიდანვე იცოდეს, რა ხდება სასახლეში.

— თქვენ რას იტყვით, მამავ ბატონო! — მამას მოუბრუნდა ვახტანგი, — ჯერჯერობით მენანება მძიმე უღლისათვის.

— ჩვენი ქვეყნის ბედი მძიმე უღელია ყველასათვის, შეეჩვიოს ამ უღლის ტარებას.

— შეძლებს რაიმეს ჩაწერას?! — მიუბრუნდა სულხან-საბას ვახტანგი.

— აი, ნახვთ. მართალია, მდივნობისათვის ვერ გავიმეტებთ მაგის ნიჭსა და უნარს, ფრიად სერიოზული სახელმწიფო მოღვაწე კი დადგება.

— იქნებ სასულიერო მოღვაწეობისათვის გავამზადოთ?!

— არა, შვილო, ვერც მაგ გზას დაადგება. მართალია, მას ერთნაირი უნარი აქვს, იყოს ერისკაცი და სამღვდელოც, მაგრამ მისი ბუნება დაჩოქილ სიცოცხლეს ვერ შეეგუება. ასეთი ადამიანი, ძნელია, ერთი რამისათვის განსაზღვრო. მისი ნიჭი შემოფარგვლას ვერ აიტანს. ბუნება მისი ფართოსა და უსაზღვრო ასპარეზს მოითხოვს.

ეამა ვახტანგს სიყრმისა და სიყვარულის შვილის ესოდენ შექება, მსახურს მოუხმო და უბრძანა:

— ბაღიდან ახალგაზრდების ხმა მესმის, ჩემი ვახტანგი მაახლეთ დაუყოვნებლივ!

დიდი ბჭობისათვის ჩამოსულთ ახალგაზრდებიც ახლდნენ. ბაღი სავსე იყო. ახალგაზრდების მხიარული ყიჟინა ცას უერთდებოდა.

— ბატონიშვილო, გამგებელი გიხმობს! — მიეახლა ვახუშტის მსახური, მაგრამ ვახუშტი ისე იყო თამაშში გართული, მსახური ხელის აქნევით მოიცილა.

— ვახუშტი, მამა გიხმობს! — მკლავზე ხელი შეახო თამარმა. ვახუშტი მხოლოდ ახლა გამოერკვა, სახეზე ორი ხელი მოისვა, — ბაქარ, მარჯვედ იყავ, ქორმა წიწილები არ წაგართვასო, დაუბარა და მსახურს გაჰყვა.

— ნუ გეშინია, ვახუშტი, მტერს არ გავახარებ, ამიერიდან მტაცებელთა დღე დაბნელებულია, — მიუგო ბაქარმა.

მსახურმა მცირე დარბაზის წინ შეაჩერა ვახუშტი. მეკარეს დასტური გამოთხოვა. ვახუშტიმ გაიგონა, როგორ მოახსენეს მამას:

— ვახუშტი ბატონიშვილი გეახლათ, ბატონო!

ვახუშტიმ უცნაურად შეიფრთხიალა. ეს პირველი იყო, პატრონს რომ მოახსენეს: — ვახუშტი ბატონიშვილი გეახლათო!

მამა, პაპა ლევანი, მოძღვართმოძღვარი სულხან-საბა, — სწრაფად მოავლო თვალი ყველას ვახუშტიმ.

— ხვალ, დილის ჟამსა ათსა, დიდი ბჭობა იწყება, ვახუშტი! — უთხრა მამამ, — ვახტანგი წუთით შეყოვნდა. „რა ბრდღვიალა და ჭკვიანი თვალები აქვს. მართალია სულხან-საბა, ამ თვალების პატრონს მოქმედების არეს ვერ შემოუფარგლავ“. — ბატონი სულხან-საბა ფრიად მოწყალეა შენს მიმართ, შვილო ჩემო, შუამდგომლობს, დიდ ბჭობაზე შენს დასწრებას გვთხოვს, შენ რას იტყვი?

ვახუშტის ყელში რაღაც გაეჩხირა. ბაგენი მაგრად მოკუმა, თავი ასწია, ჭერს დაუწყო ცქერა.

„სიხარულმა სათქმელი დაუხშო, — გაუელვა ვახტანგს, — სიხარულის ცრემლის რცხვენია და თვალი ჭერს გაუშტერა“.

არა, ხმის ამოღება არ შეუძლია ვახუშტის, სუნთქვაც შეეკრა, ცალ მუხლზე დაიჩოქა, გამგებლის ხელს ემთხვია, დღეს პირველად ემთხვია მამის ხელს კი არა, გამგებლის ხელს. უცნაურად მოუნდა სულხან-საბასაც ხლებოდა. მამა თითქოს მიუხვდა სურვილს.

— ეახელი მოძღვარსა შენსა მადლის მოსახსენებლად.

ვახუშტი სწრაფად გაჩნდა სულხან-საბას წინ, ხელზე ემთხვია, ჩუმად, ისე, რომ მარტო სულხან-საბას გაეგონა, წაიჩურჩულა:

— გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო მოძღვართმოძღვარო, იმ ბედნიერებისათვის, რომელიც დღეს მომანიჭეთ! სულხან-საბამ შუბლზე აკოცა ვახუშტის:

— ხვალ დილისათვის მზად ყოფნა მიბრძანებია!

ვახუშტის არ ახსოვს, როგორ გამოვარდა გარეთ. ბაღიდან ისეთი ხმაური მოდიოდა, ცას სწვდებოდა ტოლების ყიჟინა. ვახუშტის გულს ტოლებისაკენ არ გაუწევია. თითქოს გაიზარდა, უეცრად გაიზარდა, თავის ტოლებს გადააჭარბა და სადღაც შორს, შორს წავიდა.

მამის ბიბლიოთეკაში შევიდა. იქ შესვლის უფლებაც სულხან-საბამ მოუპოვა. კითხვას გული ვერ დაუდო. ხვალინდელ დღეზე ფიქრი არ ასვენებდა.

ბაღიდან მონადენი ხმაური შეწყდა. ალბათ, დასაძინებლად წავიდნენ. აღარც მცირე დარბაზიდან გამოდიოდა შუქი. თვითონ კი მაინც იჯდა. უეცრად თვალებზე ხელი ააფარა ვიღაცამ.

სულხან-საბა ორბელიანი

— თამარი! — შესძახა ვახუშტიმ, — უცნაურად ეამა დის თითების შეხება.

განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი უფროს და-ძმას. თამარის ყოველი სიტყვა კანონი იყო ვახუშტისათვის.

— რად არ მოხველ ბაღში?!

— თამარ, საყვარელო! — ვახუშტიმ ხელისგულები დაუკოცნა დას. — ხვალ დიდ ბჭობაზე ხლება მიბრძანა მამამ!

— რას ამბობ, ვახუშტი, ბედნიერო! — თამარმა თავზე ხელი შემოხვია ძმას და ხუჭუჭი თმები დაუკოცნა, — რად არ მითხარ?

— მარტო დარჩენა მინდოდა ჩემ სიხარულთან.

— არც მე გინდოდი?!

— მარტო შენ გნატრობდა გული და ამისრულდა.

— ამოდენა პატივი დაგდეს, დასაძინებლად რად არ მიდიხარ. ჩქარა წადი, დაისვენე.

და-ძმა ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა მამის ბიბლიოთეკიდან, დასაძინებლად თავთავიანთ სამყოფელისაკენ წავიდნენ.

ვახუშტის თვალს რული არ ეკარებოდა. თავს აჯერებდა, უნდა დაიძინოო უთუოდ — ეს პირველი გამოცდაა, ვინძლო მარცხი არ მოგივიდესო.

ოდნავ, სულ ოდნავ წათვლიმა ბატონიშვილს. გაუვალი ტყე ესიზმრა, იმერეთის ტყე, წაბლის ხეები ყვაოდნენ და წაბლის ყვავილის სურნელი იდგა ირგვლივ. აყვავებულ წაბლებს შორის ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, მისი ჩურჩული ვახუშტიმდე მოიტანა ნიავმა.

— შვილო, ვახუშტი! — ნიავივით ჩუმად ჩურჩულებდა ქალი. ვახუშტი მიხვდა, ეს დედა იყო, მისი დედა. ვახუშტის არასოდეს უნახავს იგი. გაიქცა, უნდა დაინახოს დედა, მის სახეს შეხედოს, მაგრამ უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდა და ქალი გაიტაცა. მისდევს ვახუშტი, მაყვლის, შინდის, კუნელისა და თხილის ბუჩქებს მიარღვევს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაეწია დედას. ვერც სახე გაარჩია.

ამის შემდეგ რული აღარ მიეკარა ბატონიშვილს. რაზე ფიქრობდა? თვითონაც ვერ გეტყოდა; ფიქრები ერთმანეთში აერია, ყველაფერზე ფიქრობდა და ყველა ფიქრს მაინც ერთთან მიჰყავდა — ხვალინდელ დიდ ბჭობასთან.

სულხან-საბას შთაგონებაც გაახსენდა — „ეს სოფელი მღერასა ჰგავს, ყმაწვილთა სათამაშოსა, ვინც მისდევს, ხელსა უწოდენ“. სიხარული დაეუფლა, ზე წამოაგდო — ხვალ, ხვალ საბოლოოდ გადაწყდება, ხელსა უწოდენ თუ არა. კვლავ სულხან-საბას სიტყვები ჩაესმა: — „ამპარტავნობა, რომელი თავხედობაი არს“.

ვახუშტი აივანზე გამოვიდა, აივანი მტკვარზე იყო გადაკიდებული, მდინარესა და ბაღს გადასცქეროდა. სასახლის მოედნიდან ცხენთა ჭიხვინი ისმოდა, რითაც ისინი მზის პირველ სხივებს ესალმებოდნენ.

ბაღს დილის მკრთალი შუქი გადაჰკვროდა, სიო ხეებს შორის დაჩურჩულებდა, ყვავილთ ბილი-

ლებს სტაცებდა, აკისკისებული ბილილები ბაღს მოსდებოდა, ვახუშტის მათი მხიარული სიცილი ესმოდა.

ყაურშხანიდან გაღვიძებულ ფრინველთ ხმაური ისმოდა. იღვიძებდა ყველაფერი.

იღვიძებდა სასახლეც.

საკანონმდებლო დარბაზში მოწვეულნი იყვნენ: მუხრანის ბატონი — ერეკლე, ტყვეებით მოვაჭრე არაგვის ერისთავი — გიორგი, ქსნის ერისთავი — დავითი, ავთანდილ ამილახვარი, დივანბეგი ერასტი და ლუარსაბ ორბელიანი.

კათოლიკე მისიონერების მორთმეულმა საათმა ათჯერ დაიძახა — გუგუ, გუგუ! და საბჭოს დიდ დარბაზში ვახტანგი შებრძანდა, მამა ლევანთან, მოძღვართმოძღვარ სულხან-საბასთან ერთად. უკან მდივნები მოჰყვებოდნენ. ყველაზე ბოლოს ყველაზე ახალგაზრდა მდივანი ვახუშტი ბატონიშვილი მისდევდა გრაგნილით ხელში.

შემოსულნი დარბაზის ერს მიესალმნენ. დათუნა ერისთავმა ვეღარ მოითმინა, გრიგოლს გადაუჩურჩულა:

— უკვე დაუწყია თავისი ლეკვის წვრთნა!

გიორგი ერისთავმა მარცხენა წარბი ზე აწია, დათუნას მოწყალე თვალით გადახედა:

— ჭკუა-გონებას უქებენ მაგ ლაწირაკს!

ნაადრევი გაზაფხული დიდ დარბაზს ვერ მორეოდა და საკმაოდ ციოდა. დარბაზი მშვენიერი ორხოებით იყო მოფენილი. სამივე ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და აქა-იქ გაღვივებული მაყლები იდგა.

პირველი, რაც დიდ ბჭობას უნდა გაერჩია — ტყვეთა გაყიდვის საქმე იყო.

ტყვეთა გაყიდვის შეზღუდვით ყიზილბაშ მეციხოვნეთა თარეშიც აილაგმებოდა.

ვახტანგმა მკაცრად შეუტია ტყვეთა გამყიდველ თავადებს, არც არაგვისა და ქსნის ერისთავები დაინდო, აშკარად აგრძნობინა, თქვენი ფარული საქმიანობა ჩემთვის ცნობილიაო. ჰასან ხიმშიაშვილი და როდამაშვილები ისე შეარცხვინეს, თავიანთ ეზო-გარემოდან აღარ გამოესვლებოდათ.

საფიცარი ჩამოართვეს, რომ თავიანთ საბატონოდან ტყვედ არც ერთი სულიერი აღარ გაეყიდათ.

ვახუშტის არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, თავის გრაგნილში სიტყვა-სიტყვით ჩაწერა: — „უსამართლობა ამა სოფელს კაცუსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლენს, დღეთ-სიგრძეობას მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცვარნი ცვარს დააკლებს და ქვეყანა — ნაყოფს. ამ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს“.

შავბედითობის დროს ქართლიდან გაქცეულ გლეხთა მდგომარეობა საჭირბოროტოდ გადაქცეოდა ვახტანგს. დაცარიელებული სოფლები თვალთახედვიდან არ სცილდებოდა, გული უცნაურად შემოკვნესოდა, ძნელი იყო გლეხთა ძველ ფუძეზე დაბრუნება. ამიტომ ეს საკითხიც დიდი ბჭობის განსასჯელად გამოიტანა და ვახუშტის გრაგნილში ასე შეატანინა: „ბატონი თუ ვისმეს გლეხს უბოძებდა ან წაართმევდა, ან ასაყრელს აყრიდა, იასაულთნება არ ჰქონდათ გლეხისათვის ხარისა და მარჩილის გამორთმევისა, — ეს ამიერიდან დიდ უსამართლობად ჩაითვლებოდა. ვისაც გლეხი მიეცემოდა, ხარიცა და მარჩილიც იმასვე უნდა ეზღო“.

დიდმა ბჭობამ საღამომდე გასტანა. განკიცხული თავადები ფეხს ითრევდნენ, ვერ გაერკვიათ, ნადიმს დასწრებოდნენ, თუ არა. არაგვის და ქსნის ერისთავებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ნადიმზე დარჩნენ. მხოლოდ ხიმხიაშვილმა და როდამაშვილმა — შეუძლოდა ვართო — მოიმიზეზეს და სახლისაკენ გაუტიეს. როცა გაიგეს, არაგვის და ქსნის ერისთავები ნადიმზე რჩებიანო, გუნება წაუხდათ და ცხენები სასახლიდან ჩორთით გაიყვანეს.

— რად არ გვითხრეს, თუ რჩებოდნენ? — შეეკითხა ჰასანა ხიმშიაშვილი როდამაშვილს.

— აღარ გვიკადრეს, თითქოს მარტო ჩვენ ვიყოთ ტყვეთა გამყიდველნი, თავი ისე დაიჭირეს, ვითომ მათ არ ეხებოდეს ეს საქმე. მგონი, ჯობდა, ჩვენც დავრჩენილიყავით, ეტყობა, ჯერჯეროობით მყარადაა ვახტანგი, მისი განაწყენება ხელს არ მოგვცემს.

— ერისთავები განა დასანდობნი არიან, ხედავ, როგორ გამოგვთიშეს, განწყდა მაგათი სინსილა.

— რას იზამ, ამჯერად წავაგეთ!

— ფრთხილად უნდა ვიყოთ, თავს ზევით გზა არა გვაქვს, ხომ გაგვიგონია — ამყოლს უნდა აყვეო!

დიდი ბჭობის შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილმა ბიბლიოთეკას მიაშურა, თამარსაც აღუთქვა, დიდი ბჭობის დამთავრების შემდეგ იქ მომაკითხეო. თავისი ჩაწერილის კითხვა დაიწყო.

„ქვეყნის შევიწროვებისა გამო გადასახლებულნი სიტკბომა და სამართალმა უნდა მიიზიდოს!“ — ეს მოძღვართმოძღვარ სულხან-საბას სიტყვები იყო. მოეწონა ვახუშტის თავისი ჩანაწერი.

— შენ უკვე აქა ხარ? მდივნებთან გეძებდი, ვერ გიპოვნე! — მოესმა ვახუშტის დის ხმა.

თამარის დანახვამ სახე გაუბრწყინა ბატონიშვილს.

— მოგილოცო გამარჯვება?

— მომილოცე, დაო ჩემო, ერთი სიტყვა არ გამიმრუდებია, ყველაფერი ზუსტად ჩავწერე.

— ოჰ, როგორ მიხარია შენი გამარჯვება, ჩემო ვახუშტი! აბა, წამიკითხე!

„სასტიკად აიკრძალოს ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა ჩვენს ქვეყანაში“. — ამ ბრძანებას ჩვენი ქვეყნის გამგებლის, ვახტანგის, ბეჭედი ექნება.

— შენ გენაცვალე, რა ბედნიერი ხარ, ბჭობას რომ დაესწარი.

— მართლაც ბედნიერი ვარ, დაო! — ამოიოხრა ვახუშტიმ.

— წამოდი, ტოლებსაც გაუზიარე შენი სიხარული.

ვახუშტიმ გრაგნილი აკრიფა. კარებში სულხან-საბა შეეფეთათ.



ვახუშტი ბატონიშვილი

თამარი სწრაფად უკან ჩამოდგა:

— მე წავალ, ვახუშტი, ვინძლო, შენც მალე მოხვიდე!

— მალე მოვა, შვილო, მალე! — გაუღიმა თამარს სულხან-საბამ. — აბა, ვახუშტი, მაჩვენე შენი ჩანაწერი!

ვახუშტიმ გრაგნილი გაშალა, სულხან-საბამ ჩაიკითხა.

ბაღში ერთად გამოვიდნენ სულხან-საბა და ვახუშტი.

ვახუშტიმ თავის მოძღვარს სახეში შეხედა, თავი აიღო, დაიწყო:

— დარბაზის კარი გაიღო, შემობრძანდა ვახტანგი, გამგებელი ქართლისა, მას მარჯვენა მხარს უმშვენებდა მოამაგე ჩვენი პაპა ლევანი და მარცხენა მხარს — მოძღვართმოძღვარი ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა ღიმილით შესჩერებოდა ვახუშტი ბატონიშვილს. ის კი ისეთი სიზუსტით ყვებოდა დიდი ბჭობის ყოველ წვრილმანს, რომ სულხან-საბაც გააკვირვა. ბევრი საღი გონების ყმაწვილი გაუზრდია სულხან-საბას, თვით ვახტანგის საღ გონებას ხშირად გაუკვირვებია, მაგრამ ამას სხვანაირი მადლი სცხია. სულხან-საბას შეეცოდა უდროოდ დაბრძენებული ბიჭი.

— წადი, შვილო, შენს ტოლებში წადი, ღმერთმა გონება და მარჯვენა გიკურთხოს.

ვახუშტი ბატონიშვილმა თავი მორჩილად დახარა, ტოლების ყიჟინას ყური მიუგდო. ბილიკს გაჰყვა. ბილიკი აყვავებულ ნუშებს შორის მიდიოდა. ვახუშტიმ იგრძნო, რომ აქედან იწყებოდა მისი ცხოვრების ბილიკი. ეს ნუშის ხეივანი ამიერიდან ვახუშტი ბატონიშვილის ხეივნად იწოდებოდა.

სულხან-საბა მისჩერებოდა მიმავალს და ფიქრობდა: „ვახუშტი ბატონიშვილის აღზრდით დავაგვირგვინებ ჩემს აღმზრდელობით მოღვაწეობას, გმადლობ, ღმერთო, ჩემი ცხოვრების ბოლო ჟამს ღირსი გამხადე ასეთი მოწაფისა“.

ვახუშტის ტოლებში გამოჩენასთან ერთად შეწყდა აურზაური. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ინტერესით შესჩერებოდნენ თავიანთ ტოლს, ყველაში რომ გამოარჩიეს.

თამარი მიეახლა ძმას:

— მოდი, ძმაო ვახუშტი, ამათაც უთხარი ჩვენი ქვეყნის სიკეთე.

— ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში მოძმეთა ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა, ვეღარც სხვა ტომისანი გაყიდიან ჩვენს ხალხს.

თამარმა ხელი ხელს შემოჰკრა. თვალები ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაპყრო:

— გმადლობთ, ღმერთო, მშვიდობა აღირსე ჩვენს ქვეყანას, ყიზილბაშთა თარეშს ბოლო მოეღო.

ახმაურდნენ ახალგაზრდები, ერთმანეთს კოცნიდნენ, ულოცავდნენ, ამხნევებდნენ.

პაპუნა ძოძუაშვილი ახალგაზრდებს შესჩერებოდა, თვალთაგან აღტაცების ცრემლი სდიოდა და ის დღე აგონდებოდა, მისი ოჯახი ლეკებმა რომ ააოხრეს. ისღა გადარჩა ბოსტნის კვლებში გაწოლილი.

— მოედანზე წამოდი, ხალხს მივულოცოთ, ვამცნოთ ახალი კანონები, — გადაუჩურჩულა პაპუნამ ვახუშტის.

— თამარ, მოედანზე მივდივართ, ხალხს უნდა ვამცნოთ ახალი ამბები.

— მეც წამოვალ, ძმაო, ქალებს ყველაზე მეტად უჭირთ, გავახარებ: დედებს, დებს, ცოლებს, ტოლებს.

ანჩისხატის ზემოთ მოედანი ხალხით იყო სავსე. აქ მოეყარათ თავი ხელოსნებს, ვაჭრებს და თბილისის მოქალაქეებს. სასახლისაკენ იმედიანი თვალით იყურებოდნენ. მომავლებს გარს შემოეხვივნენ.

— ხალხნო, ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა და მიტაცება აიკრძალა. ვინც ამ გადაწყვეტილებას დაარღვევს, ქვეყნიდან და ხალხიდან მოკვეთილი იქნება. შინაურიცა და გარეულიც ერთნაირად დაისჯება. ასეთია კანონი ვახტანგისა.

— გაუმარჯოს გამგებელს ქართლისას, ვახტანგსა!

— გაუმარჯოს ქრისტიან ვახტანგს!

— გაუმარჯოს პატრონსა და ქომაგს ჩვენსას! — ცაში ქუდებს ისროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ულოცავდნენ.

— ტყვეთა გაყიდვის აკრძალვას გაუმარჯოს!

— ვენაცვალე ჩვენს ვახტანგს, ერისთავებს ფრთები რომ შეაკვეცა!

— ვეღარც ყიზილბაშნი იპაპიჯვრებენ, მოუსპეს შემოსავლის წყარო!

— ამოგვწყვიტეს, ადამიანო!

— ქვეყანა გაანადგურეს!

— ადამიანი გარეთ ვეღარ გამოსულა!

თამარს გარს ქალები შემოხვეოდნენ, მანდილის ყურით თვალებს იწმენდდნენ, ხელებს უკოცნიდნენ. მის მამას და გამზრდელს ლოცავდნენ, დღეგრძელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებდნენ.

იმ ღამეს თბილისში არავის დაუძინია, ქუჩებში დადიოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ, ახალ კანონს იწონებდნენ, სასახლის კარის შეუვალობას აღიარებდნენ.

ზეიმობდა თბილისი.

წმიდა თამარ მეფის საკვირველი ხილვა

თამარ მეფის მემატიანეს აღწერილი აქვს შემდეგი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან:
ვერ გაიტაცა მეფე თამარი ამქვეყნიურმა შვება-სიამემ, ვერც სამეფო გვირგვინისა და კვერთხის ძლიერებამ, ვერც ძვირფას ქვათა სიუხვემ და სხვა ულევმა სიმდიდრემ, რამეთუ ყველაზე მეტად მან უფალი ღმერთი შეიყვარა და ზურგი აქცია ქვეყნიურ საცდურთ. ყოველღამ მღვიძარებდა, მუხლმოდრეკილი ილოცვიდა და მხურვალე ცრემლთა ღვრით ევედრებოდა უფალს წყალობას მთელი ერისთვის, დანარჩენ დროს კი ხელსაქმეს უთმობდა, ღამ-ღამობით დაშვრებოდა და ამგვარი შრომით მოპოვებულ სახსარს ღარიბ-გლახაკთ და ქვრივ-ობოლთ შეაწევდა.
ერთი ასეთი შემთხვევა მოვიხსენიოთ:

ოდეს ღამით ხანგრძლივი ლოცვისა და შეუსვენებელი ხელსაქმობის შემდეგ დაღლილ თამარს უნებლიეთ მიეძინა, სიზმრისეულ ჩვენებაში საკვირველად წარმტაცი ადგილი იხილა — სამოთხე, რომლის სიმშვენიერის გადმოცემა არ ძალუძს ადამიანის ენას. იქ ოქრო-ვერცხლით შემკული ტახტები იდგა, წმინდანთა დასაჯდომელად. ერთ-ერთი მათგანი ყველაზე აღმატებული და ძვირფასი ჩანდა, ოქროთი და თვალ-მარგალიტით შემკული. როცა ეს ზეაღმატებული ტახტი იხილა, თამარმა გაიფიქრა:

„მე ხომ მეფე ვარ და, ალბათ, ეს ტახტიც ჩემთვის არის გამზადებული!“

და გაემართა კიდეც მისკენ, რათა ზე დამჯდარიყო ხელმწიფებრივად, მაგრამ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა:

„ეს ტახტი შენთვის არ არის განმზადებული, რადგან არ ძალგიძს მისი დასაკუთრება!“

გაოცდა თამარი:

„ვინ არის ჩემზე აღმატებული, რომ ეს ტახტი დაიკავოს?“

„ეს ტახტი შენს მსახურ დედაკაცს ეკუთვნის, რადგან თორმეტ მღვდელს მისი ხელით მოქსოვილი შესამოსელი აცვია, როცა საკურთხეველში ტრაპეზის წინაშე დგანან უსისხლო და პატიოსანი მსხვერპლის შესაწირად! ამიტომაც იგი შენზე აღმატებულია აქ. შენ კი, რაკი მეფე ხარ, ეგ დიდებაც გეყოფა, ხოლო ტახტად ეს იყოს საკმარისი შენთვის“, — და დაბლა მდგომ, ნაკლები ღირსების ტახტზე მიუთითა...

გაიღვიძა თუ არა თამარმა, იმ მსახური დედაკაცის მოყვანა ბრძანა. და მართლაც, ღვთისნიერმა ქალმა აღიარა თავის ხელმწიფის წინაშე, — ფარულად მოქსოვე სამღვდელო კვართნი და ფილონნი და მივუძღვანე მღვდელმსახურებსო.

ამის შემდეგ წმინდა თამარმა ალექსანდრიიდან ვაჭრების მიერ ჩამოტანილი მატყლი შეიძინა, ძაფებად დართა და ასევე თორმეტი სამღვდელო შესამოსელი მოქსოვა, რომელნიც საკუთარი ხელით თავმდაბლად მიუძღვნა ღირსეულ მღვდელმსახურებს!..

ქართულ ანბანზე უთქვამთ...

● „ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“.

უილიამ ედუარდ დევიდ ალენი, ინგლისელი ორიენტალისტი (1901-1973)

● „ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია“.

პ. კ. უსლარი, რუსი ენათმეცნიერი (1816-1875)

● „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

ნიკო მარი

აღმოჩენა, რომელმაც, შესაძლოა, საქართველოს ისტორია შეცვალოს

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ იგოეთთან, გრაკლიანის გორაზე ხანგრძლივი კვლევების შედეგად უძველესი ნივთები აღმოაჩინეს. გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლი საზოგადოებრივი ცხოვრების სამასათასწლიან უწყვეტ განვითარებას ასახავს. ახლახან ძეგლს ეროვნული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ გრაკლიანის გორა, რომელიც თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის მშენებლობის დროს 2007 წელს გამოვლინდა, ყოველწლიური არქეოლოგიური კვლევების შედეგად ახალ და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. როგორც ძეგლთა დაცვის სააგენტოში აცხადებენ, ადგილზე **აღმოჩენილი არტეფაქტები უნიკალურია და უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს.**

გრაკლიანის ძეგლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გახლდათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი და არქეოლოგი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მისი ინფორმაციით, ეს მონაპოვარი დაახლოებით დმანისის აღიარებული ძეგლის თანადროულია; რომ გორაზე მოპოვებულია ძველი ქვის ხანის ნივთები — უაღრესად პრიმიტიული ქვის იარაღი, რომლის ასაკი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე 300 000 წელი და დაახლოებით 1,5 მილიონ წელს ან ცოტა მეტსაც ითვლის.

გამოკვლევები სპეციალურად ჩაატარა ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა, **პროფესორმა გურამ გრიგოლიამ** და თარიღიც მისი განსაზღვრულია, თუმცა საბოლოო დასკვნის მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი. მიუხედავად ამისა, მეცნიერებს მისჩნიათ, რომ, გრაკლიანი გორის სახით, საქმე უნიკალურ მრავალფენიან ძეგლთან გვაქვს.

საქართველოში მსგავსი ტიპის მრავალფენიანი ძეგლი უკვე არსებობს, თუმცა გრაკლიანის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ აქ უკვე გამოვლენილია საზოგადოების განვითარების 11 სხვადასხვა ეტაპის ამსახველი მატერიალური კულტურა ქვის ხანიდან ვიდრე შუასაუკუნეებამდე და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი თავმოყრილია ერთ ბორცვზე. სწორედ ეს ადგილი გამოიყენებოდა ათასეულობით წლის მანძილზე სამოსახლოდ, ეკონომიკური და კულტურული აქტივობისთვის, რისი დამადასტურებელი ნაშთებიც დიდი რაოდენობითაა მოპოვებული. საკმარისია, დავასახელოთ თუნდაც ერთი ფაქტი — აქ მოპოვებულია მსოფლიოს უპირველეს ურბანულ ცენტრში — სამხრეთ მესოპოტამიაში არსებულ ქალაქ ურუკში ძვ.წ. აღ. IV-III ათასწლეულებში დამზადებული ორი საბეჭდავი (ისინი დოკუმენტების ან საკუთარი ქონების დასაბეჭდად გამოიყენებოდა), რომლებიც არა მხოლოდ ინტენსიური საგარეო ურთიერთობების, არამედ ადგილობრივი საზოგადოების სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ნათელი დასტურია და ეს ხდებოდა 6 ათასი წლის წინ.

ძეგლზე ფართომასშტაბიანი კვლევები მხოლოდ ახლა იწყება.

გრაკლიანის გათხრებამდე ითვლებოდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში გარკვეული კრიზისის ხანა იდგა, მოსახლეობა შეთხელდა, თითქოს ეკონომიკურად და კულტურულად დაკნინდა. გრაკლიანის გათხრების შედეგებმა კარდინალურად შეცვალა საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი — დადგენილია, რომ სწორედ ძვ.წ. აღ. V-IV საუკუნეებში ქართლის მოსახლეობა განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. მოსახ-

ლეობა მჭიდროდაა დასახლებული და აქვს შესანიშნავად ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობა, ეწევა სასოფლო-სამეურნეო და აქტიურ საწარმოო საქმიანობასაც.

გრაკლიანზე იწარმოებოდა მშვენიერი კერამიკა და ბრინჯაოს ნივთები, სრულდებოდა საყოველთაო კულტმსახურება, აქვე იყრიდა თავს იმდროინდელი ცივილიზაციის ცენტრებში — ფინიკიაში, ეგვიპტეში, ირანში, საბერძნეთში, კოლხეთში დამზადებული ნაწარმი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ფართო საგარეო და სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა გარე სამყაროსთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა არა მხოლოდ თიხის, რკინისა და ბრინჯაოს, არამედ ძვირფასი ლითონის ნაწარმსაც — აღმოჩენილია ვეცხლისა და ოქროს სამკაული და ხელისუფლების დამადასტურებელი ინსიგნიები. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აქ მუზეუმის მშნებლობა აუცილებელია.

საგულისხმოა, რომ გრაკლიანის განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხით დაინტერესებულია იკრომის (იუნესკოს არქეოლოგიური ძეგლების დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრი) გენერალური დირექტორი სტეფანო დე კარო. მასთან თანამშრომლობის პროცესი უკვე დაწყებულია.

„მე ყოველთვის მხარს ვუჭერ საერთაშორისო თანამშრომლობას და ამისი დასტურია არაერთი ერთობლივი საერთაშორისო პროექტი, რომელთაც ჩვენი უნივერსიტეტი არქეოლოგიის მიმართულებით გერმანიის, ავსტრიის, შოტლადიის, ინგლისის, იტალიისა და სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან ერთად ახორციელებს“, — ამბობს ლიჩელი.

მეცნიერთა აზრით, ამ ტერიტორიაზე მუზეუმის მშენებლობა არა მხოლოდ ძეგლის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, არამედ მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების რაოდენობასაც. ძეგლთა დაცვის სააგენტოს ძეგლის განვითარებისთვის შესაბამისი გეგმა უკვე გააჩნია, თუმცა აქ ჯერ კვლევითი სამუშაოები უნდა გაგრძელდეს, რისთვისაც შესაბამის სეზონს ელოდებიან.

ეს იმდენად მრავალფეროვანი ძეგლია, კვლევები აქ არასდროს დასრულდება.

თბილისის ისტორიიდან

რუსთაველის გამზირისა და ვერის დაღმართის კუთხეს დღემდე „ზემელად“ მოიხსენიებენ და, ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, თუ ვინ იყო ზემელი.

ევგენი ზემელი აფთიაქარი და ჰომეოპათიური აფთიაქის მფლობელი გახლდათ. აფთიაქი ოლგას ქუჩისა და ვერის დაღმართის კუთხეში მდებარეობდა. არსებობს მცდარი ვერსია, რომ თითქოს ეს აფთიაქი მელიქ-აზარიანცის „შემოსავლიანი სახლის“ პირველ სართულზე იყო განთავსებული. XIX საუკუნის თბილისში სააფთიაქო ბიზნესით, ძირითადად, გერმანელები იყვნენ დაკავებული: **ევგენი ზემელი, ფერდინანდ ოტენი, ფლორა შენგერგი, ფრიც გლეზერი, ენგელბრეხტ შენგარდი** და სხვები. ზემელსა და ოტენს სამი აფთიაქი ეკუთვნოდათ, სულ კი 1912 წლისთვის თბილისში 23 აფთიაქი და 30 სააფთიაქო მაღაზია ფუნქციონირებდა. ცნობილი ფაქტია, რომ ზემელი ფულს უხდიდა ტრამვაის ვატმანებს, რათა გაჩერებისას მათ ხმამაღლა დაეძახათ: „ზემელის აფთიაქი!“.

XX საუკუნის 70-იან წლებში, სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ზემელის აფთიაქი დაანგრიეს, მაგრამ სახელი „ზემელი“ ამ ადგილს დღემდე შემორჩა.

რკინის მადნები, ლითონის დამუშავება და ცივი იარაღის წარმოება საქართველოში



საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში, ლითონის დამუშავება ქრისტესშობამდე VI-V ათასწლეულების მიჯნაზე იწყება. ამას ხელს უწყობდა სამხრეთ კავკასიაში არსებული ხელსაყრელი პირობები: ლითონის მადნების მრავალგვაროვნება და ნაირსახეობები (ოქრო, სპილენძი, დარიშხანი, ტყვია, თუთია, ვერცხლი, რკინა, ვოლფრამი, მოლიბდენი, მანგანუმი, პოლიმეტალური საბადოები), საწვავი მასალის სიუხვე (სხვადასხვა ჯიშის ხის ჯიშები და ნახშირი), წყლის უზომოდ დიდი რესურსები და, რა თქმა უნდა, ხელოსანთა ის მაღალი დონე, რომელიც ნელ-ნელა, საუკუნეების მანძილზე მუდმივად იხვეწებოდა.

გეოლოგიური მონაცემებით, საქართველოში ცნობილია 200-ზე მეტი სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონის, რკინისა და პოლიმეტალური საბადოებისა და ზედაპირული გამოვლინებების ადგილები. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა უმთავრეს საბადოზე აღმოჩენილია მადნის მოპოვებისა და დამუშავების კვალი. დასაწყისში ლითონის დამუშავება წარმოებდა თვითნაბადი ოქროსა და სპილენძის ცივი წესით გამოჭედვის სახით. უკვე მომდევნო პერიოდში, ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. IV-II ათასწ.) ფერადი ლითონების მადნის ათვისებამ გაიარა განვითარების ყველა კლასიკური საფეხური — ჟანგეული მადნების ათვისებიდან დაწყებული, ვიდრე სულფიდური მადნების მოპოვება — დამუშავებისას წარმოებაში რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით დამთავრებული (ირ. ღამბაშიძე, ბ. მინდიაშვილი, ბ. გოგოჭური, კ. კახიანი, ი. ჯაფარიძე - უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი, 2010). ტექნოლოგიურად, ხელოსნები სპილენძში უმატებდნენ დარიშხანს და იღებდნენ ბრინჯაოს, ეს ფაქტი დამახასიათებელია საქართველოს მელითონეებისათვის, რადგან სხვა ქვეყნებში, სპილენძს ძირითადად კალას უმატებდნენ. **სპილენძის მოპოვების, მათი გამოდნობისა და მათგან მიღებული ბრინჯაოს ნივთებისა და იარაღის დამზადების უმაღლეს დონეს ძველქართულმა ტომებმა III-II ათასწლეულების მიჯნაზე მიაღწიეს.** კერძოდ, ასეთ ლითონის მომპოვებელ და გადამამუშავებელ რეგიონებს, ძირითადად, განეკუთვნებოდნენ კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის, სამაჩაბლოსა და კახეთის, ხოლო მცირე კავკასიონზე და აჭარა-თრიალეთში ქვემო და შიდა ქართლისა და აჭარა-გურიის სამთო-მეტალურგიული კერები; აგრეთვე, სამეგრელოსა და იმერეთის მცირე გამოვლენები.

ჩვ.წ.-მდე II ათასწლეულის დასაწყისი საქართველოში აღინიშნა ლითონის — ჯერ სპილენძისა და ბრინჯაოს, ხოლო შემდეგ რკინის — მასიური წარმოებით. ასე მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ლითონთა გამოდნობის ცენტრების მრავალრიცხოვნებით არქეოლოგები, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვანს, გამოყოფენ რაჭის რეგიონს. მეცნიერისა და არქეოლოგის — გელა გობეჯიშვილის აზრით, აქ მარტო ბრილის სამაროვანში (საერთო ფართობი 700 კვ.მ.) აღმოჩენილი და შესწავლილი იყო 250 სამარხი. მეცნიერთა აზრით, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც ჯერჯერობით გვიმალავს მრავალსაუკუნოვანი მიწაყრილები. მთელი ეს ტერიტორიები, სადაც ჩატარებული იყო არქეოლოგიური სამუშაოები, მოფენილია ლითონის ნიმუშებით (როგორც ბრინჯაოს, ასევე რკინის). ეს ნანახი არტეფაქტები მიგვანიშნებენ აქაური მოსახლეების საკმაოდ მაღალი განვითარების დონეზე და, აგრეთვე, შორეულ ქვეყნებთან მჭიდრო კონტაქტებზე (რაზეც მიგვითითებს სამარხებში ნაპოვნი დიდი რაოდენობით ეგვიპტური

მინის მძივები).

რაჭის ამავე რაიონში იქნა ნანახი ლითონის მადნების დაახლოებით 150 გამონამუშევარი და გამოსადნობი და დასამუშავებელი სახელოსნოები. **როგორც ჩანს, რკინის გამოდნობა და მისგან ნაკეთობის დამზადება II ათალწლეულის დასაწყისში საკმაოდ პრობლემატური იყო, რადგან, ჯერ ერთი, ხელოსნებს უჭირდათ მაღალი ტემპერატურის მიღება და მეორეც, სუფთა რკინა იმდენად რბილია, რომ მისგან შეუძლებელი იყო მტკიცე ცულის ან თუნდაც დანის დამზადება, ამიტომ ლითონური ნაკეთობის დამზადებას შენადნობების დამატება სჭირდებოდა. ამ დამატებებმა წარმოშვა ფოლადიცა და თუჯიც.** ჩვეულებრივი რკინა საიარაღო მასალად გადააქცია ჭვარტლმა. სწორედ ჭვარტლს ან ხის ნახშირს ძალუძს, რბილი რკინა მტკიცე თუჯად ან ფოლადად გარდაქმნას. რკინის ზოგიერთი „სახეობა“ იწრთობოდა გახურებული მდგომარეობიდან წყალში გაცივებით, ზოგიერთი კი — არა. ფოლადის ეს თვისება — იწრთოს წყალში გაცივებისას, მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს რკინასა და ფოლადს შორის. ქართველი არქეოლოგების მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა ცხადყო, რომ II ათასწლეულის ბოლოსათვის მკვეთრად

სურ.1. ა) სატევრები, შუბის პირი, ნაჯახი და ბ) თმის ქინძისთავი ბრილის სამარხიდან (რაჭა). ქრისტესშობამდე XVIII საუკუნე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

გაიზარდა რკინის ნაკეთობათა რაოდენობა, რაც თავისთავად შეუძლებელი იყო მოპოვებული მადნებისა და გამოდნობილი რკინის ნაკეთობათა მოცულობის გაზრდის გარეშე. მაგრამ ამის მიუხედავად, **მკვეთრი ნახტომი რკინის მოპოვებისა და დამუშავებისა შეიმჩნევა ცოტა მოგვიანებით (X-IX საუკუნეები ჩვ.წ.).**

რკინის მადნების ადგილობრივი რესურსები მოიხმარებოდა უხსოვარი დროიდან. ეს საბადოები და მადანგამოვლინებები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მადნების მარაგებითა და წარმოშობის პირობებით. საქართველოს ტერიტორიაზე რკინის მეტალურგია და „რკინის ხანის“ დასაწყისი თანდათანობით ძლიერდებოდა, თუმცა იგი არ ჩამოყალიბებულა, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი მიმდევრობა. ლითონის დამუშავების ხელოსნები მუდამ ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციები და გაემეორებინათ ბრინჯაოში უკვე აპრობირებული ფორმები.

იმ დროის რკინის სადნობი სახელოსნოები, როგორც წესი, შედგებოდა ერთი ან ორი სადნობი ღუმელისგან, ქვის მაგიდისგან და სპეციალურად გამოყოფილი ფართისგან, სადაც ინახებოდა ცეცხლგამძლე თიხის მარაგები. კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი სადნობი ღუმელები წარმოადგენდნენ ორმოს, რომელშიც ეწყობოდა მადანი და ხის ნახშირი. ორმოს თავზე იქმნებოდა თაღი მოკლე მილით; გვერდიდან კი მოწყობილი იყო სპეციალური საბერველი. ამ ორმოს ფსკერი ნახევრადსფერული იყო და გვერდები კი მოპირკეთებული ქვით. წიდის ამოღება არ ხდებოდა. იგი ღუმელის ძირში გროვდებოდა. წარმოების ნარჩენები — წიდის დიდი რაოდენობა, ღუმელის გადახურებული თიხის იზოლაცია და ჭურჭელი იყრებოდა მთის ფერდობებზე.

საქართველოს ისტორიის განვითარების მთელი ამ პერიოდისათვის ლითონის სადნობი ღუმელების ფორმები პრაქტიკულად შეუცვლელი რჩებოდა მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში. ხე-

ქართველი არქეოლოგების მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა ცხადყო, რომ II ათასწლეულის ბოლოსათვის მკვეთრად გაიზარდა რკინის ნაკეთობათა რაოდენობა, რაც თავისთავად შეუძლებელი იყო მოპოვებული მადნებისა და გამოდნობილი რკინის ნაკეთობათა მოცულობის გაზრდის გარეშე.

ლოსნების გამოცდილებამ (რკინის მადნების გალღობა და მისგან პროდუქციის შექმნა) გამოიწვია სადნობი ღუმელის მუდმივი პარამეტრების არსებობის აუცილებლობა. წლების, საუკუნეების და ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა, რომ მაღალხარისხიანი ლითონის დასამუშავებლად საჭიროა ღუმელი, რომლის მშენებლობისათვის აუცილებელია მისი ზედა რკალისათვის მუდმივი სიდიდეები.

სურ.2. ქართული სატევრების პირები: ზედა სურათზე: რკინა (ბრილი, რაჭა); ქვედა — ბრინჯაო (ნიგოზეთი, იმერეთი). ჩვ.წ-მდე პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარი.

ამავე პერიოდის არქეოლოგიური მონაცემები ყურადღებას იპყრობს იმით, რომ **საქართველოში იყო ლითონის გამოლღობისა და დამუშავების ძალიან მაღალი დონე.** მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც მხოლოდ სამთავრო (მცხეთის რ-ნი). ამ ადგილებში იყო განლაგებული რკინის წარმოებები, აქვე იყიდებოდა და შესაძლებელია, რომ აქედანვე ხდებოდა ამ ნაკეთობათა ექსპორტირება. ამ ნაკეთობების ულამაზესი დიზაინი და შესრულების ხარისხი გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ადგილობრივი მადნის მომპოვებელთა, მეტალურგებისა და ხელოსნების მდიდარი ტრადიციების შენარჩუნებას. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, **როგორც ჩანს, ქართველური ტომებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იარაღის არსებობა და, აქედან გამომდინარე, მისი დამზადებაც**. ეს ტომები უძველესი დროიდან სხვადასხვა სახეობის შუბებს ამზადებდნენ და იყენებდნენ. ბერძენი ისტორიკოსების მონაცემების მიხედვით, კოლხებს მოკლე შუბები ჰქონდათ, ხოლო მოსხებს (მესხებს) და ხალიბებს (ქართველური ტომებია) — გრძელი.

გამორჩეულნი იყო, აგრეთვე, იარაღის სხვა სახეობებიც, რომლებიც მკვეთელი იარაღების რიცხვს მიეკუთვნებოდა. ესენი იყო: ხმალი, მახვილი, ხანჯალი, დაშნა, დიდი სატევარი, სატევარი და ცული. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ძველ დროში ყველაზე მეტად გავრცელებული ხმალი ყოფილა. იგი სხვადასხვა მოყვანილობის იყო და რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: პირი, კოტა (ხელის მოსაკიდებელი), ვადა ან ჯვარედი. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, **ქართული კლასიკური ხმალი სწორი ფორმის იყო და მას „შვეტი" ერქვა.** საეკლესიო მხატვრობიდან ჩანს, რომ ასეთი ფორმის ხმლები საქართველოში XII საუკუნემდე იყო გავრცელებული, ხოლო XIII საუკუნიდან ხმლის ფორმა ოდნავ იცვლის სახეს და იხრება. ხმალი ორპირად მჭრელი იარაღი არ იყო, მას ერთ მხარეზე ჰქონდა ფხა, ხოლო მეორეზე — ყუა, ანუ გნდე. საქართველოში საუკეთესო ფოლადი (ე. წ. დამასკოს ან ბულატი) VII-XII საუკუნეებში იწარმოებოდა. იარაღის დამზადების საიდუმლოებები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ეს ცოდნა ინახებოდა, როგორც ოჯახური რელიქვია. ლითონის მოხარშვისა და მისგან იარაღის გამოჭედვის გამოცდილება, თვით ხელოსნისა და მისი შვილების გარდა, არავის გაეზიარებოდა. ასე მაგალითად, შოთა რუსთაველი რამდენჯერმე მოიხსენიებს იარაღს, მაგრამ არაფერს ამბობს მისი შექმნის პირობებზე.

XIV საუკუნიდან ფოლადის და განსაკუთრებით ბულატის დამუშავება საქართველოში (ჩვენი ცნობით, მთელ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთშიც) ორი-სამი საუკუნის განმავლობაში, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით მივიწყებას მიეცა. სამაგიეროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხელობის განვითარება საქართველოში ხდება XVIII საუკუნის დასაწყისში და პიკს აღწევს XIX საუკუნეში. ამ პერიოდში საქართველოში, და განსაკუთრებით თბილისში, იქმნება ბულატის იარაღი, რომელიც წარმოუდგენლად დიდ მოწონებას იმსახურებს მთელ კავკასიაში, რუსეთსა და ევროპაში (ეს ექსპონატები დღესაც დაცულია ერმიტაჟში, მოსკოვისა და გერმანიის ისტორიულ მუზეუმებში).

აკადემიკოს გ. მელიქიშვილის აზრით, უძველეს დროს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რკინის დასამუშავებელი კერას წარმოადგენდა ადგილი, რომელიც მოიცავდა თანამედროვე თურქეთის, საქართველოს, სომხეთის, ირანისა და სირიის ნაწილის ტერიტორიებს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე XII-XI საუკუნეებში ეს რაიონი წარმოადგენდა ძველი სახელმწიფოს — ფულუადიის შემადგენელ ნაწილს. სწორედ ამ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული მაღალი ხარისხის ლითონის სახელი. ლითონის ნაყში და მოხატულობა წარმოადგენდა ბულატის ფოლადისგან დამზადებული ნაკეთობის ყველაზე მთავარ, გარეგნულ განმასხვავებელ ნიშანს. ოსტატები გულდასმით ინახავდნენ ბულატის წარმოების საიდუმლეობას და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. დამზადების რეცეპტი უმკაცრესად იყო გასაიდუმლოებული. საიდუმლოს გათქმისთვის მკაცრი სასჯელი იყო დად-



სურ. 3. ა) ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ფორმები. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი). ბ) მეტალურგიული ცენტრი ამირანის გორა. გ) ქურაში ჟანგბადის მისაწოდებელი თიხის მილი მაღალი ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

გენილი. ბულატის დამზადების რამდენიმე ცნობილი ცენტრი არსებობდა. განსაკუთრებით განთქმული იყო სირიის ქალაქი დამასკო. იქ ჯერ კიდევ 1800 წლის წინ არსებობდა ფოლადის წარმოების პირველი მსხვილი სახელოსნო. „დამასკური ფოლადი“ მოგვიანებით ბულატის ფოლადის კრებით ცნებად გადაიქცა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში მზადდებოდა. **თბილისში წარმოებული იარაღი განთქმული იყო კავკასიის ფარგლებს გარეთაც. არსებობს ცნობები, რომ XVIII საუკუნეში კავკასიის მთიელ ხალხებსა და ირანს ხმლები და ხანჯლები მიეწოდებოდათ თბილისიდან.**

ათწლეულების მანძილზე ბულატის წარმოებით გამოირჩეოდა ელიაზაროშვილების (მოგვიანებით მოხდა ამ გვარის რუსიფიცირება ელიაზაროვად) გვარი. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და ფოლადის წარმოების სპეციალისტმა კ. ჩოლოყაშვილმა თავისი კვლევებით დაადგინა, რომ ამ ოჯახმა ბულატის წარმოების საიდუმლოება შთამომავლობით მიიღო თავისი წინაპრებისგან. იმ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამ იარაღის ერთ-ერთი შემქმნელი **გიორგი ელიაზაროშვილი**, რომლის ხელობითაც აღფრთოვანებულმა მ. ი. ლერმონტოვმა მას თავის ლექსში „პოეტი“ მიუძღვნა შემდეგი სიტყვები: „В серебряных ножнах блистает мой кинжал, Геурга старого изделье. Булат его хранит таинственный закал, Для нас давно утраченное зелье“. გიორგის შვილმა — **ყარამან ელიაზაროშვილმა** გააგრძელა მამის საქმე და ამზადებდა ბულატის იარაღს ქართული ნალებისგან, თურქული ფოლადის ნაქლიბისგან, თუჯისგან და რკინისგან. ეს იარაღი გამოირჩეოდა ისეთი მაღალი ხარისხით, რომ, როგორც პ. ანოსოვი წერდა, „ამ სატევრების გამოცდისას მათი მეშვეობით ხარებს ერთი დარტყმით აჭრიდნენ თავებს“. ამავე პერიოდის რკინის დამუშავების წესებზე მიგვითითებს რაჭაში, წედისში მადნის მოპოვებისა და მისი გადამუშავების თავისებურებები. აქ ძველ დროში ძირითად საქმიანობას შეადგენდა **მეტალურგობა.** მათ ჰქონდათ საკუთარი რკინის საბადო ველუანთას „ქვა-წითელას“ სახელწოდებით. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს ოდითგანვე ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ ხეობას „სარკინეთი“ ეწოდებოდა. რაც შეეხება იმ ხალხს, რომელიც ამ რკინის გადამუშავებით იყო დაკავებული, მათ **რკინის კაცებს** ეძახდნენ. ისინი თავიანთი საქმიანობის მიხედვით იყოფოდნენ რამდენიმე ჯგუფად: **მაძიებელნი,** რომელნიც აწარმოებდნენ საბადოს მიგნებას; **ამომცნობნი**, რომელნიც მადნეულის ხარისხს და მის რკინად გამომავლობას ამოწმებდნენ; **მთხრელნი,** რომელნიც საბადოდან მადნეულის გამოწველას აწარმოებდნენ; **მზიდავნი,** რომელთაც ევალებოდათ მადნეულის გადაზიდვა დანიშნულ ადგილას; **მკაზმავები**, რომელთაც ევალებოდათ მადნის გაკაზმვა და მისი შემზადება დასაწურად; **მწურავები,** რომელნიც აწარმოებდნენ დაკაზმული რკინის მადნის დარიგებას საწურ ბოვში და წურვის მსვლელობის წესიერად წარმართვას; **მბერავები**, რომლებიც უსხდნენ საბერ-

ველს და ხელაწყობით უბერავდნენ განუწყვეტლად; **მეუროვენი**, რომელნიც ბოვიდან ამოღებულ დაწურულ რკინის ლუგვს ხის დიდი ურიებით ბეგვდნენ ქვის ბრტყელ გრდემლზე — საბეგვ ქვაზე; **მენახშირენი**, რომელთა უშუალო საქმეს წარმოადგენდა სხვადასხვა ჯიშის ხის ნახშირის დაწვა–დამზადება; **მჭედლები**, ანუ „კვერით ხურონი“, რომელთა მიერ წარმოებდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების რკინის გაჭედვა; მადანს რკინის კაცები უწოდებდნენ ლითონს, ხოლო მადნეულის საბადოს — სალითონეს. რაჭის სარკინეთში მაღალი ხარისხის რკინის დამზადებაში დიდ როლს თამაშობდა, ერთი მხრივ, მადნეულის გარჩევა, სხვადასხვა ხასიათის ხის ნახშირი, სადუღი მიწა, წრთობის წესი; ხოლო მეორე მხრივ — რკინის მადნეულში სარევი ლითონის „ფაშას“ (შავი ქვა) მირთვა. მადანში გარკვეული პროპორციით შავი ქვის დამატება, რომელიც ძველი წესი ყოფილა და ცნობილი იყო, როგორც ხალიბური რკინის დამზადების წესი, ქმნიდა რკინისაგან ჭედურ საფოლადე მასალას. ჩვენი აზრით, ეს შავი ქვა მანგანუმის მადანს უნდა წარმოადგენდეს. რკინის დამუშავების პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰქონდა ერთგვარ მიწას, რომელსაც „სადუღი“ ეწოდებოდა, რომლის ხმარებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხარისხიანი რკინის დაყენების საქმეში. წურვის დროს იგი იცავდა რკინას ცეცხლში ჩაწვისა და გამოფიტვისგან, ხელს უწყობდა დნობის ნორმალურ მსვლელობას და ნელნელა სათანადოდ წურავდა ლითონს. მჭედლები რკინის გახურების მსვლელობისას აყალო მიწას, კაჟს, სილას, ქვაკაჟას ხმარობდნენ. რკინის დამუშავება სპეციალურ ქურებში ხდებოდა. 1820 წლისათვის წედისში 20 ასეთი ქურა იდგა. თვით სოფლის სახელიც — წედისი რკინის მეტალურგიასთან არის დაკავშირებული. აკაკი წერეთელი მიუთითებდა: **„დღესაც არის ჩვენში, რაჭის მაზრაში**

სურ. 4. რკინის წიდები, რომელიც რჩებოდა ლითონის გადამუშავების შედეგად.

ერთი მთა, გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარი დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას ჰქვია წედისი, ანუ ჭედისი“ (აკ. წერეთლის კრებული, 1897 წ). იმ დროს წედისის რკინა მოიხმარებოდა არა მარტო რაჭაში, არამედ ის გაჰქონდათ როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც. წედისის რკინის წარმოებაში ჩართულნი იყვნენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე სხვა სოფლებიდან მოსული ხალხი. დამუშავების პროცესი ატარებდა სეზონურ ხასიათს (ძირითად სამუშაო პერიოდს წარმოადგენდა შემოდგომა და ზამთარი). დაახლოებით იმავე სურათს ვაწყდებით ზემო იმერეთში, სადაც სოფ. ტყიბულის, საწირისა და სორმონის მიდამოებში არსებობს რკინის მცირე საბადოები. ტყიბულთან ძირითად საწარმოო ობიექტს რკინის ოხრა წარმოადგენდა, რომელიც იმ ტერიტორიაზე გვხვდება დიდი ქვარგვალების სახით. აქ მადნის დამუშავება მიმდინარეობდა პერიოდულად. ცალკეული მცირე საბადოების გამომუშავება ხდებოდა 3-4 წელიწადში. ამ სოფლებში მადნის მოპოვება ხდებოდა ერთდროულად დაახლოებით 30 ოჯახის მეშვეობით, წლის იმ დროს, როდესაც ისინი არ იყვნენ დაკავებულნი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. რკინის გამოლღობა ხდებოდა მწირე მადნებიდან, სადაც რკინის შემცველობა არ აღემატებოდა 17%. XVIII-XIX საუკუნეებში რკინის მადნების დამუშავება დაახლოებით იმავე წესით ხდებოდა თითქმის მთელ საქართველოში (რამდენიმე რეგიონის გარდა). XIX საუკუნის ბოლოს, მაშინ, როდესაც საკმაოდ გავრცელდა ცეცხლსასროლი იარაღი, რკინის გამოდნობა და მისგან ბულატის მიღება ფაქტობრივად შეწყდა. ამას დაემთხვა ის, რომ იმპორტირებული ფოლადი (მართალია, გაცილებით უხარისხო) შეუდარებლად უფრო იაფი იყო. ასე მაგალითად, ამ პერიოდში, არამხოლოდ საქართველოში, არამედ ინდოეთსა და სირიაშიც კი ცივი იარაღის წარმოება უკვე ხდებოდა ინგლისური და შვედური უბრალო ფოლადის გამოყენებით. დღეს საქართველოში ენთუზიასტი ხელოსნების და ზოგიერთი ამ საქმეს შეყვარებული სხვა პირის მეშვეობით აღდგენილია მაღალხარისხოვანი ფოლადის — ბულატის წარმოება.

საკითხავია, კონკრეტულად სად მოიპოვებდნენ ჩვენი წინაპ-

რები ნედლეულს და საიდან ხდებოდა მათი ტრანსპორტირება?

მაგალითისთვის, ლიტერატურული ცნობებით, დამასკოს მახლობლად არსებობდა მთა, რომელიც შედგებოდა ბუნებრივი რკინისგან, ნახშირბადისგან (0,9-1%), ვოლფრამიტისგან (8-9%), ცოტა გოგირდისა და ფოსფორისგან. უძველესი ხელოსნები უბრალოდ ატეხავდნენ ნატეხებს ამ ქანებს და მისგან ამზადებდნენ ხმლებსა და ხანჯლებს. მოგვიანებით მისგან მიიღეს ვოლფრამიტული ბულატი.



სურ. 5. ხმალი. II ათასწლეულის მეორე ნახევარი. სამთავრო. მცხეთის რაიონი.

საიდან მოჰქონდათ მადანი ძველქართულ ტომებს, რას ხმარობდნენ ნედლეულად? ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე, ასეთი მადნის მოსაპოვებელი ადგილები შეიძლება რამდენიმე ყოფილიყო:

1. ყველაზე ადვილად მოსაძიებელ და მოსაპოვებელ ნედლეულს, რომელიც როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით, მიწის ზედაპირზე იდო, წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე და მდ. ჭოროხის ხეობაში გავრცელებული **მაგნეტიტური ქვიშები.** ეს ნედლეული, ბაზალტური ქანების დაშლის პროდუქტს წარმოადგენს. ისინი თავის შემადგენლობაში დაახლოებით 11% მაგნეტიტს შეიცავს. ეს რკინისშემცველი ქვიშები მრავალრიცხოვან მდინარეებს ჩამოჰქონდა და ილექებოდა შავი ზღვის სანაპიროზე. ეს ზუსტად ის მასალაა, რომლისგანაც, ჩვენი აზრით, მიიღებოდა ცნობილი **ხალიბური რკინა**. ამ ქვიშებისაგან დამზადებულ ლითონს (არისტოტელეს აზრით) ჰქონდა ვერცხლის ფერი და ითვლებოდა დაუჟანგავად. ალბათ, ამ მაგნეტიტური ქვიშების გამდიდრებასთანაა დაკავშირებული კოლხეთის დაბლობის ძველი ქართველური ტომების სადგომებში ნანახი დიდი მოცულობის აბაზანები, რომლებიც დამზადებული იყო უხეში თიხისაგან. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ რკინის ოთხი ძირითადი ქანთმაშენი მინერალიდან, კოლხეთის ტერიტორიის ამ ქვიშებში გვხვდება სამი. ესენია: ჰემატიტი, მაგნეტიტი და ლიმონიტი. პირველი ორი შეიცავს 65-70% სუფთა რკინას. მადანსალღობი სახელოსნოების მაღალ კონცენტრაციას ვაწყდებით მდ. ჩოლოქის შუა წელში, სადაც დაფიქსირებულია ჩვ.წ.-მდე VI-II საუკუნეების დიდი ნაქალაქარი. ასეთივე სახელოსნოებია ნანახი მდ. ხობისა და ოჩხამურის აუზებში, რომელთაგან ყველაზე ძველი დათარიღებულია ჩვ.წ.-მდე IX საუკუნით.

2. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს მცირე კავკასიონის მეტალმატარებელი ზონა და განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ ნაწილი (მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისისა და ნაწილობრივ დმანისის რაიონები), რომელზეც განლაგებულია მრავალრიცხოვანი ლითონური გამადნებები. მათ შორის რკინის გამადნებებიც. ამ მადნიანი ველის გეოლოგიურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რომ აქ არის კონცენტრირებული, როგორც ჰემატიტური (ჩათახი, მადნისწყარო და სხვ.), ასევე მანგანუმ-ჰემატიტური (თეთრიწყარო, მადნის სერი, სოშები და სხვ.) საბადოები. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რაიონშია განლაგებული კოლჩედანური, სპილენძის, ოქროსა და პოლიმეტალური საბადოები, რომლებიც შეიცავს არც თუ ისე მცირე ვერცხლსაც. რკინის უძველესი მეტალურგიისათვის, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამ ტერიტორიაზე განლაგებული იყო ჰემატიტური და მანგანუმ-ჰემატიტური მრავალრიცხოვანი გამადნებები. არ არის გამორიცხული, რომ ძველი მეტალურგები მაღალხარისხიანი ფოლადის მისაღებად მადანს მანგამუმს უმატებდნენ. თუმცა ისინი იმავე შედეგს მიიღებდნენ მანგანუმ-ჰემატიტური მადნების უბრალო დამუშავებით. აქვე ავღნიშნავ, რომ ჩათახის საბადოს წარმოება XX საუკუნის დასაწყისამდე ფუნქციონირებდა.

3. საქართველოს ლითონის დამუშავების ისტორიაში არც თუ მცირე როლს თამაშობდა ძამის სკარნული რკინის საბადო ოქროთი (აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური სეგმენტი. სოფ. ტყემლოვანას მიდამოები). აქ გასული საუკუნის 40-60-იან წლებში აღმოჩენილი იყო ლითონის სახარში უძველესი ღუმელები და წიდების აუარებელი რაოდენობა. სამწუხაროდ, ეს ნანახი სახელოსნოები განადგურდა.

4. ეს არის მცირე გამადნებები აფხაზეთის, სვანეთისა და ზემო სამეგრელოს ტერიტორიებზე, სადაც მადანში Fe_3O_4-ის შემცველობა 91-95% აღწევს. აგრეთვე, რაჭისა და ზემო იმერეთის მადანგამოვლინებები, სადაც მოძიებული იყო უძველესი მეტალურგიული კერები.

დავით ყუფარაძე,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ISSN 1987-5908